ლექსები ბელადებზე თუ კანონი? A2

სახელმწიფოებრივი განვითარების საზოგადოებრივი საფუძვლები A8

ავტომობილი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 6 იანვარი, 2005 წელი. №2 (862) ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### ბსეკი მოსახლეობას დახმარებას სთხოვს



"24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილესთან დავით შარაშენიძესთან.

A4

## უცხოეთი

### ბრძოლა ბელორუსისთვის



მას შემდეგ, რაც უკრაინაში პოლიტიკური კრიზისი დასრულდა, დემოკრატიულმა ლიდერებმა, კიევიდან ვაშინგტონამდე, საუბარი დაიწყეს ბელორუსის შესაძლო გარდაქმნაზე.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 6/1 | 7/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 8 |
| ქუთაისი | 7 | 9 |
| ბათუმი | 9 | 12 |
| სოხუმი | 4 | 6 |
| ფოთი | 8 | 11 |
| თელავი | 5 | 8 |
| ზუგდიდი | 6 | 9 |
| გორი | 2 | 5 |
| ახმეტა | 4 | 7 |
| ჭიათურა | 3 | 7 |
| გაგრა | 3 | 3 |
| სამტრედია | 7 | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8256 |
| ევრო | 2.4901 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5201 |
| რუბლი | 0.0658 |

# იძებნება... აფხაზეთი!



*კონცეფციამ, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი პაატა ზაქარეიშვილია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

პოლიტიკისგან განზე მდგომი თუ მასთან შორი-ახლოს მოტრიალე ქართველი ინტელექტუალები, ფაქტობრივად, სიზიფეს შრომას ეწევიან - პრეზიდენტის მითითების თანახმად, სამეცნიერო წრეებსა და არასამთავრობო სექტორში უნდა შემუშავდეს კონცეფცია, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საფუძველი გახდება. თუმცა, ახლავე ნათელია, რომ როგორ კონგენიალურ თეორიასაც არ უნდა მიაგნონ თბილისში, სოხუმში მაინც არავინ იტყვის, აფერუმ თქვენს გამჭრიახობას, ეს რა იდეალური ვარიანტი გიპოვნიათო.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან საერთო ენის მონახვა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ოფიციალურმა სოხუმმა, თავის დროზე, უარყო ე. წ "ბოდენის დოკუმენტიც", რომელიც ქართულ საზოგადოებას იმის გამო დაუმალეს, რომ იგი მეტისმეტად "პროაფხაზური" იყო და აფხაზეთის სუვერენიტეტს ლამის დამოუკიდებელი სახელმწიფოს თამასამდე სწევდა. მაგალითად, "ბოდენის დოკუმენტის" თანახმად, "აფხაზეთი წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სუვერენულ წარმონაქმნს - სახელმწიფოს საქართველოს შიგნით"...

გაგრძელება A3 გვერდზე

# უკრაინაშიც ყველაფერს კადრები გადაწყვეტენ?

## საკადრო პოლიტიკა ახალი ხელისუფლების გამოცდა იქნება



*კიევში ეჭვობენ, რომ პრემიერ-მინისტრად, რევოლუციიის ერთ-ერთი ბელადის, იულია ტიმოშენკოს ნაცვლად, ამჟამინდელ ვიცე-პრემიერს, მიკოლა აზაროვს წარადგენენ.*

ნიკა თარაშვილი

*რევოლუციური ეიფორია, ახალი წლის საზეიმო განწყობასთან ერთად, ნელ-ნელა გაივლის და სულ მალე დადგება დრო, როდესაც ის პირები უნდა დასახელდეს, ვინც "ნარინჯისფერი რევოლუციის" ბელადის გვერდით "თვისობრივად ახალი" უკრაინული სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგება. ახალი ხელისუფლების დაკომპლექტებისას საკადრო პრობლემების წარმოქმნაზე კიევში უკვე ღიად საუბრობენ. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა მოქმედმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გუშინ დააკმაყოფილა ვიქტორ იანუკოვიჩის თხოვნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად პირველი ვიცე-პრემიერი მიკოლა აზაროვი დანიშნა. მთავრობის მეთაურის შესაძლო კანდიდატურების განხილვა ხმამაღლა მიმდინარეობს და თუ თავად იუშენკოს სიტყვებს მოვიშველიებთ, "კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმებაც არ არის გამორიცხული".*

გაგრძელება A5 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:
1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელმოწერა გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო!**

**ჩვენ, იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც ბოლო 9 წლის განმავლობაში ინტენსიურად ვმუშაობთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხებზე და რეგულარულად ვხვდებით ჩვენს აფხაზ კოლეგებს სახალხო დიპლომატიის ფორმატით, თავს მოვალედ ვთვლით, მოგაწოდოთ რამდენიმე მოსაზრება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე.**

**ჩვენი პრინციპული, ამოსავალი დებულებაა:**

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია და შესაბამისი მოლაპარაკებები კონსტრუქციულად შეიძლება წარიმართოს მხოლოდ გარკვეული წინაპირობების შემთხვევაში:**

**წინაპირობა I: ქართულმა მხარემ უნდა განაცხადოს, რომ იგი არ შეეცდება ქართულ-აფხაზური პრობლემის გადაჭრას შეიარაღებული გზით.**

ეს მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგან ქართველები აფხაზების მიერ აგრესორებად არიან აღქმული. აღქმა კი, კონფლიქტებში, წამყვანი ფაქტორია და ზოგიერთ რეალობაზე უფრო არსებითია. "მტრის ხატის" შექმნას, 1992-1993 წლების ომის, გალისა (1998 წელი) და კოდორის (2001 წელი) მოვლენების გარდა, ხელი შეუწყო დღემდე არსებულმა პოლიტიკურმა ფორმულამ: "ჩვენ მზად ვართ, კონფლიქტი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი, პოლიტიკური მოლაპარაკების გზით, მაგრამ თუ არ გამოგვდის, მაშინ სამხედრო ძალას მივმართავთ". ასეთი ფორმულის ტირაჟირებისას, საუბარი მშვიდობაზე მხოლოდ რიტორიკად აღიქმება. ეს ფორმულა - "მშვიდობიანი გზა, თუ არა და ძალის გამოყენება" - თავიდანვე შეიცავს მუქარას, აფხაზურ მხარეს მის მეორე ნაწილზე აკეთებინებს აქცენტს და, შესაბამისად, საშიშროების განცდას უძლიერებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთი ეუთო-ს ზღუდავს

### საქართველო კი მისიის ევროკავშირით ჩანაცვლებაზე ფიქრობს

ნინო გომართელი

რუსეთმა ეუთო-ს მუდმივი საბჭოს 2004 წლის უკანასკნელ სხდომაზე უარი თქვა ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკუთარ მოთხოვნას, რომ ეუთო-მ საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის განხორციელება აღარ განაგრძოს.

მოსკოვი ზღუდავს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც იგი საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთების მონიტორინგს ახორციელებს, დიდი როლი შეასრულა რუსეთის მხრიდან "ჩეჩენი და საერთაშორისო ტერორისტების" საქართველოს ტერიტორიაზე დევნის საშიშროების თავიდან აცილებაში.

ქართული მხარე აღნიშნულ მოქმედებას პროვოკაციად აფასებს და ეუთო-ს მისიის შეწყვეტის შემთხვევაში, მის ევროკავშირით ჩანაცვლებას არ გამორიცხავს.

**"რუსეთის მცდელობებს ჩვენ პროვოკაციად ვაფასებთ, რადგან ეუთო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც მსოფლიოს ატყობინებს, რომ არავითარი "ბოევიკები" ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთში არ გადადიან და ის არ აძლევს რუსეთს იმის საფუძვლებს, რომ წერტილოვანი დარტყმები განახორციელოს**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ეკა კვესიტაძის სვეტი

# ლექსები ბელადებზე თუ კანონი?

დღეს ზეიმი გვაქვს პატარებს
და ჩვენი გული ხალისობს,
ვზეიმობთ რადგან დღეს ბაღში
მიხეილ ქარელს ვმასპინძლობთ.

რევოლუციით მოსული
მთავრობა რომ გვყავს ქებული,
იმათში თქვენ ხართ ერთ-ერთი
ყველაზე გამორჩეული
(და ასე შემდეგ).

ეს გარითმული ხოტბა ორი დღის წინ თავისუფლების ინსტიტუტში ერთმა ქალბატონმა მოიტანა, რომელმაც განაცხადა, რომ გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში მის შვილს ამ ლექსის სწავლას ავალებდნენ.

სტალინზე ლექსები არასოდეს წამიკითხავს. საბედნიეროდ, ჩემს დროს ასეთი სისულელეების დაზუთხვას სკოლაში უკვე აღარ ავალდებულებდნენ. მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ზემოხსენებული ლექსი სწორედ რომ ამგვარი სტილისტიკითაა დაწერილი. უბრალოდ, ძია ლენინისა და ძია სტალინის ხატებას, ბიძია მიხეილის ხატება ჩაენაცვლა. ვერაფერს იტყვი, მნიშვნელოვანი პროგრესია.

შიდა ქართლის გუბერნატორს წიგნიერებასა და განსწავლულობას ნამდვილად ვერავინ დასწამებს, მაგრამ სტალინზე ლექსი მაინც ექნებოდა ნასწავლი. შესაძლოა, ბავშვობიდან ოცნებობდა კიდეც, რომ გორში არა მხოლოდ სტალინზე, არამედ მასზეც "ემღერათ". შესაძლოა, ამაზე ვერც კი ოცნებობდა. მაგრამ რევოლუციას ბევრი მოულოდნელობა მოსდევს.

დღეს ის პრეზიდენტისათვის იდეალისტია, ოქრუაშვილისთვის კი მეგობარი. და ამ დროს რა მნიშვნელობა აქვს, რას ლაპარაკობენ შიდა ქართლის მცხოვრებლები მასზე.

სამაგიეროდ მნიშვნელოვანია ის, რასაც ოქრუაშვილი იტყვის. მნიშვნელოვანზე მეტიც, რადგან მისი სიტყვა კანონზე მაღლა დგას, იმდენად მაღლა, რომ მის ნათქვამს ჟურნალისტებიც კი უაპელაციოდ იღებენ. ოქრუაშვილი ამბობს: "მე მინდა, ეს ადამიანები ციხეში ერთ თვეში ვიხილო", რამდენიმე საათში კი, წამყვანი არხის მთავარ საინფორმაციო პროგრამაში უკვე მტკიცებით ფორმაში ამბობენ, რომ "ეს ადამიანები" ციხეში მოხვდებიან. შესაშური ერთსულოვნებაა, ამაზეც ვერაფერს იტყვი.

პრეზიდენტი სააკაშვილი ოქრუაშვილს შეჰპირდა, რომ თავდაცვის მინისტრად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე დატოვებს, ანუ - გაურკვეველი ვადით, და ამ კარტბლანშის გამოყენებას ახალი თავდაცვის მინისტრი მისთვის ჩვეული ფორმით აპირებს.

ერთი საკითხია, რა ბრალი მიუძღვით ოქრუაშვილის მიერ დასახელებულ პირებს სხვადასხვა მაქინაციებში, მაგრამ მეორე საკითხი და კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილს თავი არა მარტო თავდაცვის მინისტრი, არამედ მოსამართლეც და თვით კანონიც კი ჰგონია.

თუ გოროზი სახის მინისტრის მიერ ნათქვამი "მე მინდა" ჟურნალისტებმაც კი ჭეშმარიტებად მიიღეს, მაშინ, ბუნებრივია, ეს "მე მინდა" პირდაპირი მესიჯი და ღია ზეწოლაა პროკურატურასა და სასამართლოზე.

და კიდევ ერთი: როგორც დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება მაშინ, როცა ირკვევა, რომ ყაზარმების გარემონტება გაცილებით ძვირი დაჯდა, ვიდრე ეს რემონტი სინამდვილეში ღირდა, ასეთივე კითხვის ნიშანი ჩნდება მაშინაც, როცა მინისტრი აცხადებს, რომ ორი ყაზარმა მისი და ქარელის მეგობრებმა გაარემონტეს.

ყველას აინტერესებს, ვინ არიან ისინი, ვინც ჯარის ხარჯზე ხელი მოითბო, მაგრამ ისიც ძალიან საინტერესოა, ვინ არიან ოქრუაშვილის და ქარელის ეს საერთო მეგობრები და რა წარმომავლობის ფულით გარემონტდა ეს ყაზარმები. იქნებ გვითხრას ეს ბატონმა მინისტრმა.

საბჭოთა დროს საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა სტაინბეკმა თქვა, ეს ის ქვეყანაა, რომელსაც კანონები კი არა, ადამიანები მართავენო. ადამიანების მმართველობამ უკვე მიიყვანა საქართველო რევოლუციამდე.

მაგრამ, დღეს უკვე დადგა დრო, როცა ამ ქვეყანაში მთავარი კანონი უნდა იყოს და არა სააკაშვილის, ოქრუაშვილის თუ ჟვანიას სურვილი.

და მაშინ ბაღებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში "ბელადებზე" ჯანმრთელობისათვის საზიანო ლექსებსაც აღარ ასწავლიან.

მოკლედ

## თერჯოლაში კვლავ სახელისუფლებო კრიზისია

თერჯოლაში კვლავ სახელისუფლებო კრიზისია. მესამე თვეა, რაიონი პირველი პირის გარეშეა დარჩენილი. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალმა გურამ ქარქაშაძემ გასული წლის ნოემბერში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მას შემდეგ ადგილობრივ "ნაციონალებსა" და ყოფილ "სოციალისტებს" შორის ამ პოსტისათვის ფარული ბრძოლა განახლდა.

თერჯოლაში გამგებლობის რამდენიმე სავარაუდო კანდიდატი სახელდება, რომელთაგან ყველაზე გამოკვეთილი "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი სერგო კირკიტაძეა. თუმცა, ასოცირებული საკრებულო, რომლის უმრავლესობა ყოფილი "სოციალისტების" გუნდს წარმოადგენს, საკუთარი კანდიდატის დასახელებას აპირებს. ამჟამად გამგებლის მოვალეობას ვერავინ ასრულებს, რადგან გარდაცვლილი გურამ ქარქაშაძე ოფიციალურად გამგებლის პირველი მოადგილე იყო. **ინტერ-პრესი**

## ჩეჩენი პატიმრების სასამართლო ეპოპეა სრულდება

8 იანვარს საბოლოოდ დასრულდება 2002 წელს დაწყებული 13 ჩეჩენი პატიმრის სასამართლო ეპოპეა. გირევის საგუშაგოზე საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადმოლახვისა და იარაღის უკანონო შენახვისთვის დაკავებულთა ნაწილის ექტრადიცია რუსეთში ფარულად მოხდა, დანარჩენების ექსტრადიციასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი დიდხანს გაჭიანურდა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ჩეჩნებად მონათლულ პატიმართა ნაწილი საქართველოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ, ნაწილს კი საზღვრის გადმოკვეთისა და იარაღის ტარების ბრალდებები საერთოდ მოეხსნათ და დარჩათ ერთადერთი ბრალდება - მათთან ერთად დაკავებული ხუთეულის რუსეთში ექსტრადიციის დროს საპატიმროში წინააღმდეგობის გაწევა. ამ ბრალდების გამო, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მათ 4-4 წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მსჯავრდებულებს სასჯელი შეუმსუბუქა და თითოეულ მათგანს 2 წლითა და 5 თვით პატიმრობა არგუნა. 2004 წლის ბოლოს კი მათ პატიმრობის ვადა ამოეწურათ და 31 დეკემბერს გაათავისუფლეს კიდეც ერთი მათგანი - ალიევი. გუშინ გათავისუფლების ჯერმა ასლანბეგ ხანჩუკაევს მოუწია. დარჩენილი სამი პატიმარი - მაგამედოვი, ისაევი და კუშტანაშვილი 8 იანვრამდე გათავისუფლდებიან. **24 საათი**

## შპს "საქაერონავიგაცია"

## განცხადება

2004 წლის 23 დეკემბერს გაზეთ *24 საათში* გამოქვეყნებულ განცხადებაში საწვავის კონკურსის გზით შესყიდვასთან დაკავშირებით, შეტანილია ცვლილება: **2005 წლის 8 იანვრის** ნაცვლად საკონკურსო წინადადებების მიღების ვადა გაგრძელდა **2005 წლის 14 იანვრის 17.00 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია". დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: +995 77 798548 (საკონტაქტო პირი ბესო სეხნიაშვილი).

# ეს არაა ქვეყნის მართვის თანამედროვე ტექნოლოგია

**დღის შეკითხვა:**
*1. თავდაცვის მინისტრმა თავის განცხადებაში კონკრეტულ პირებზე ბრძანა - ვისურვებდი, ეს ადამიანები დაახლოებით ერთ თვეში ციხეში მეხილაო. რამდენად შეეფერება ამგვარი სტილი ისეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკს, როგორიც ირაკლი ოქრუაშვილია?*
*2. ოქრუაშვილმა, ძირითადად, დაასახელა თავდაცვის სამინისტროს შუალედური რგოლის ჩინოვნიკები, უმაღლეს ხელმძღვანელობაზე სიტყვა არ დასცდენია. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს?*

ვერიკო თევზაძე

**დავით ზურაბიშვილი,** *პარლამენტარი:*

**1.** ფორმა, შეიძლება, თავდაცვის მინისტრისთვის მთლად შესატყვისი არ იყოს. თუმცა, შინაარსს თუ გავითვალისწინებთ - თუ მართლა ისეთი დარღვევებია, როგორც მინისტრმა ილაპარაკა - ეს საგანგაშოა. აქედან გამომდინარე, მესმის კიდეც მისი მხრიდან სათქმელის ასეთი ფორმით გაცხადება.

ვიმეორებ, შეიძლებოდა, უფრო რბილადაც თქმულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში განცხადების შინაარსი უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რა ტონალობაში ამბობს ამას მინისტრი.

**2.** თუ დარღვევები არის, მარტო შუალედური რგოლი ვერ იქნება დამნაშავე. ბუნებრივია, პასუხისმგებლობა მაღალი თანამდებობის პირებსაც დაეკისრებათ.

**დავით ბერძენიშვილი,** *პარლამენტარი:*

**1.** ეს კარგად შეესატყვისება ოქრუაშვილის მოღვაწეობის იმ პერიოდს, როცა იურისტობას თავი დაანება და მინისტრების სავარძლები მოიარა. ეს მისი ადვოკატობის დროინდელი სტილი არ არის.

ჩემი აზრით, ამ განცხადებაში უფრო მეტად საინტერესო სხვა რამ არის. ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით ამბობს, ერთიანი ვართო და ამ დროს მუდმივად მიმდინარეობს სააკაშვილის წრის მინისტრების მხრიდან პწკენები, ღრენები, შეშინებები და ხანდახან დაჭერებიც კი ჟვანიას კამპანიის მიმართ. ბარამიძის სისუსტეების დაფარვა რომ ნდომოდა, მაშინ თავდაცვის ახალი მინისტრი ასეთი ღია და აგრესიული არ იქნებოდა. ეს არის პერმანენტული გაფრთხილებების ნიმუში იმის შესახებ, თუ ვინ არის საქართველოს ხელისუფლებაში პატრონი. ეს იყო დარტყმა ბარამიძეზე და, შესაბამისად, გაფრთხილება ჟვანიასი.

არ მიმაჩნია, რომ ეს ქვეყნის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიაა. ეს არის ნახევრად ტოტალიტარული, ნახევრად ავტორიტარული, მნიშვნელოვანწილად, ინფანტილური და არასერიოზული მიდგომა ქვეყნის მართვისადმი. მოგწონს ბარამიძე? - გაიყვანე მინისტრად, არ მოგწონს? - მაშინ, გაუშვი სახლში! თუ მოგწონს ჟვანია, იყოს ნორმალური პრემიერ-მინისტრი, თუ არ მოგწონს, მაშინ ნუ ამცირებ, სახლში გაუშვი. ასე რომ, მე არ ვარ აღფრთოვანებული სააკაშვილის სტილით. თუ ასე გააგრძელებს, ყველაფერი ძალიან ცუდად შემოუბრუნდება.

**2.** ოქრუაშვილმა ბარამიძე რომ არ დაასახელა, გასაგებია: ბოლოს და ბოლოს, კაცი ვიცე-პრემიერად ჰყავთ მთავრობაში!..

**დავით უსუფაშვილი,** *იურისტი:*

**1.** ეს არის მკვეთრი ფორმით გამოხატული, ირაკლი ოქრუაშვილის აზრი, რომელშიც ვერანაირ სამართლებრივ პრობლემას ვერ ვხედავ. თავისთავად ის ფაქტი, რომ მინისტრი კონკრეტული თანამდებობის პირების საქმიანობის შესწავლის თხოვნით მიმართავს გენერალურ პროკურატურას, მიანიშნებს იმაზე, რომ მინისტრს ეჭვი აქვს ამ პირების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

რაც შეეხება თქვენს ქვეშეკითხვას: იგრძნობა თუ არა თავდაცვის მინისტრის ტონალობაში, რომ იგი ყოფილი გენერალური პროკურორია? - ასე ვუპასუხებდი: ოქრუაშვილი ცხოვრებაში ყოველთვის პროკურორის სტილით გამოირჩევა. ასე რომ, მის ქმედებებში ახალ შტრიხებს ვერ ვხედავ.

**2.** როგორც მე მომეჩვენა, აქცენტი იყო გაკეთებული სამეურნეო საკითხებში ჩართულ თანამდებობის პირებზე, რომლებიც განაგებენ მომარაგებას და ხელი მიუწვდებათ ფინანსურ და მატერიალურ სახსრებზე. ამით ოქრუაშვილი მიანიშნებს, რომ დანაშაული ამ სფეროში შეინიშნება. ჩემთვის ერთი რამ ცხადია და არ მინდა, ოქრუაშვილს სხვა ილუზია ჰქონდეს: ეს თანამდებობის პირები ზემდგომების გარეშე ვერანაირ დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ. არა მგონია, ირაკლი ოქრუაშვილი სხვაგვარად ფიქრობდეს.

**ლევან რამიშვილი,** *თავისუფლების ინსტიტუტი:*

**1.** მე მგონია, თავდაცვის მინისტრს უფრო თავშეკავებული განცხადება უნდა გაეკეთებინა. რა თქმა უნდა, დარღვევებზე რეაგირება აუცილებელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. პრობლემა სულ სხვა საკითხს ეხება: იმ ფონზე, როცა ეჭვქვეშ დგას სასამართლოს დამოუკიდებლობა, ხშირია ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის სისხლის სამართლებრივი დევნა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით ხორციელდება, მინისტრს მეტი თავშეკავება მართებდა.

მხილების ამგვარ სტილს სათავე დაუდო მიხეილ სააკაშვილმა, როცა იგი ოპოზიციის ლიდერი იყო. როდესაც ოპოზიცია ამხელს სამართალდამცველი ორგანოების უმოქმედობას, ბუნებრივია და ლოგიკურია, ვინაიდან ადრესატი ამ განცხადებებისა იყო საზოგადოება და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. დღეს, როდესაც ასეთი განცხადებები კეთდება იგივე ხალხის მიერ (რომელიც უკვე ხელისუფლებაში იმყოფება), ნებსით თუ უნებლიეთ, ეს აღიქმება, როგორც სასამართლოს, ზოგადად, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე ზეგავლენა. ამიტომ საჭიროა სტილის გადასინჯვა.

**2.** პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობას ეკისრება. მთლიანობაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პოლიტიკურს გუნდს, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა, იგი ყველაზე თანაბრად ნაწილდება.

**კობა ლიკლიკაძე,** *სამხედრო ექსპერტი:*

**1.** არც თავდაცვის და არც სხვა მინისტრებისთვის ამგვარი სტილი მისაღები არ არის. ციხეში წავიდეს თუ არა ადამიანი, ამას ჩვენთან (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია) სასამართლო წყვეტს. თანაც, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ეს ადამიანები უკვე დისკრედიტებული, სახელგატეხილი არიან საზოგადოების წინაშე (მე არავის ვგულშემატკივრობ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არ აქვს). გარდა იმისა, რომ ბატონ მინისტრს სურს, ეს ხალხი ციხეში იხილოს, ასევე უნდა, მათმა მშობლებმა ნაძარცვი ფული უკან დააბრუნონ. მოკლედ რომ ვთქვათ, აქცენტები გაკეთებულია, განაჩენიც გამოტანილია.

**2.** როდესაც ფინანსების ხარჯვით ნაწილზეა საუბარი, საქმეში ჩახედულმა კაცმა იცის, რომ ამგვარი საკითხები სამხედრო საბჭოს დახურულ სხდომებზე წყდება და, საერთოდ, ყველანი საქმის კურსში არიან. აქედან გამომდინარე, ბრალდების პასუხისმგებლობის გია ბარამიძისაგან აცილება და თქმა იმისა, რომ ბარამიძის ირგვლივ იყო ცუდი ხალხი, თორემ ის პატიოსანი ადამიანია, არამართებულად მიმაჩნია. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება გავიგოთ, როგორც გია ბარამიძის შექება. მეორე მხრივ კი მე, როგორც რიგითმა მოქალაქემ, შემიძლია ვთქვა, რომ ბარამიძე თავის ადგილზე არ იყო, იგი იყო არა მინისტრი, არამედ, უბრალოდ, გაცვლითი ფიგურა. ეს ნებისმიერი სახელმწიფო მოხელისთვის ყველაზე ცუდი ბრალდებაა.

# რუსეთი ეუთო-ს ზღუდავს

პირველი გვერდიდან

**პანკისზე თუ სხვა ტერიტორიებზე, რისი დიდი სურვილიც აქვს,"** - განმარტავს "24 საათთან" ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი კოტე გაბაშვილი.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"დამარცხებული არ ვართ, მაგრამ არც რაიმე სასიხარულო გვაქვს," - აცხადებს კოტე გაბაშვილი.*

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთს ამით "პოლიტიკური გაცვლის განხორციელება" სურს - ეუთო-ს ბიუჯეტის საკითხის დათმობით, გარკვეული შემსუბუქების მიღება უნდა, რაც რუსეთისთვის, "როგორც არადემოკრატიული სახელმწიფოსთვის", ყველაზე საინტერესო საკითხს - არჩევნებზე დამკვირვებელთა ჯგუფის რაოდენობის შემცირებას ეხება.

მთელი წლის განმავლობაში რუსეთი აცხადებდა, რომ საზღვრის მონიტორინგი "არაეფექტური" და ზედმეტად ძვირი ჯდებოდა, სინამდვილეში კი მისია აშკარად მაღალეფექტურობით გამოირჩეოდა და მისი შენახვის თანხებიც დასავლეთის ქვეყნებიდან მოდიოდა. ეუთო-ს წლიური შემაჯამებელი კონფერენციისათვის კი მოსკოვმა არგუმენტი შეცვალა და განაცხადა, რომ აღნიშნულმა მისიამ თავისი ფუნქცია შეასრულა, რადგან საზღვარზე ვითარების გამოსწორება მოახერხა, და ის საჭირო აღარ არის.

**"რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების ურთიერთმოქმედება წარმატებულია და მონიტორინგის გაგრძელება საჭირო აღარ არის,"** - ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ განცხადებაში.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს "ჯეიმსთაუნის ფონდის" მიმომხილველს ვლადიმირ სოკორს.

**"საბოლოოდ, მოსკოვს სურს, გააუქმოს საზღვრის მონიტორინგის მისია და გამორიცხოს ნებისმიერი სახით იქ საერთაშორისო მისიის არსებობა, რათა საქართველო რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩეს,"** - მიიჩნევს იგი და რუსეთის სურვილებს შემდეგნაირად განმარტავს: **"საერთაშორისო მისიის ყოფნის გარეშე, რუსეთი შეძლებს: საზღვრის საქართველოს მონაკვეთზე თავად განლაგდეს; მოახდინოს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე, რომ მიიღოს თანხმობა სხვა საკითხებზე საქართველოს ტერიტორიაზე "ანტიტერორისტული" მოქმედებების კუთხით; ამასთან, საქართველოში განლაგებული რუსეთის ბაზებისგან გადაიტანოს ყურადღება, რაც მოსკოვმა უკვე გარკვეული წარმატებით მოახერხა, როდესაც თბილისი-ვაშინგტონის ურთიერთობების დღის წესრიგში, პანკისის ხეობაში ტერორისტთა ყოფნის შესახებ ყალბი განცხადებები გააკეთა."**

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი იმის თაობაზე, რომ ეუთო შეწყვეტს თავის მისიას საქართველოში, რადგან ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის განხილვის საკითხი ახლო მომავალში კიდევ დადგება დღის წესრიგში, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს გამოსავალი და ევროპისა და უშიშროების თანამშრომლობის ორგანიზაციას ევროკავშირი ჩაენაცვლება.

**"ევროკავშირი დაგვეხმარება, ზეწოლა მოვახდინოთ რუსეთზე. ეუთო-ს მისიის ევროკავშირით ჩანაცვლება ასე უცებ ვერ მოხდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს მოხდება, საქართველოსთვის უკეთესიც იქნება,"** - ამბობს კოტე გაბაშვილი.

ეუთო-ს ევროკავშირით ჩანაცვლების თაობაზე საუბარი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ევროკავშირის უმაღლეს კომისარს ხავიერ სოლანას შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხავიერ სოლანას სთხოვა დახმარება საზღვრის გაკონტროლებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეუთო აღნიშნულ მისიას შეწყვეტს.

**"რადგან ეუთო-ს ბიუჯეტზე კონსენსუსის მიღწევა არ მოხდა, ჯერჯერობით მოქმედებს ძველი ბიუჯეტი და, აქედან გამომდინარე, საჭიროა მუშაობა, რომ საქართველოში მისიის შეწყვეტა არ მოხდეს. ჯერჯერობით, დამარცხებული არ ვართ, მაგრამ არც რაიმე სასიხარულო გვაქვს,"** - აცხადებს კოტე გაბაშვილი.

ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახური უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს დეპარტამენტს მომზადებული აქვს იმ პატიმართა სია, რომლებსაც ფინანსური ამნისტია უნდა შეეხოთ და მათ კოლონიები ამ დღეებში უნდა დატოვონ.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად, საპატიმრო დაახლოებით 40-მა პირმა უნდა დატოვოს.

სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში ამ ინფორმაციას ჭორს უწოდებენ და აცხადებენ, რომ მსგავსი სიის შესახებ მათ არაფერი იციან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ოსიაურში გამგზავრება გადადო. ამის გამო, შეიარაღებული ძალების ოსიაურის სამხედრო ბაზაზე გუშინ დაგეგმილი რეზერვისტთა მორიგი ბატალიონის გამოშვების ცერემონია აღარ გაიმართა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში მინისტრის გამგზავრების გადადების მიზეზს არ აკონკრეტებენ და აცხადებენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი რეზერვისტთა მორიგი ბატალიონის გამოშვებას უახლოეს დღეებში დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იტალიის არასამთავრობო ორგანიზაცია "ტერა დელ ფუოკოს" 15-კაციანმა ჯგუფმა, რომელსაც რუსმა მესაზღვრეებმა ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოში შემოსვლის უფლება არ მისცეს, საზღვარი უკვე დატოვა და სტავროპოლისკენ გაბრუნდა. როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, ისინი სტავროპოლიდან მოსკოვში ჩაფრინდებიან და საქართველოში შემოსვლას იქიდან შეეცდებიან და თუ იქაც დაბრკოლება შეექმნებათ, მაშინ სოჭის ან თურქეთის გავლით ჩამოვლენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეების" თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ საქართველოს ხელისუფლების მიერ ერთი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების ნუსხა გამოაქვეყნა. მოსიძე საუბრობს 23 შეცდომაზე; მათ შორისაა: სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჯარების შეყვანა და ათეულობით "პირტიტველა" ჯარისკაცის დაღუპვა; ქართული იდეოლოგიის დისკრედიტაციის მცდელობა; ბიზნესის წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეზღუდვის მცდელობა; ყოფილი პოლიტიკური პარტნიორებისა და მეგობრების (დავითაშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილები) მომდურება და ოპოზიციაში გადასვლის იძულება; თსუ-ს რექტორად პრეზიდენტის დედის მეგობრის დანიშვნა; ახალი "მოქალაქეთა კავშირის" შექმნა (იგულისხმება ნაციონალების, დემოკრატებისა და ბურჯანაძის გუნდის სრულიად ხელოვნური გაერთიანება), რაც წინდაწინვე განწირულია წარუმატებლობისა და გახლეჩისათვის და სხვა. საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეების" თავმჯდომარე მასმედიას ამ სიის შევსებას ჰპირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 32 წლის კახაბერ ხალვაში და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში მცხოვრები, 29 წლის ანზორ კვირიტაძე, რომლებმაც აჭარის ტელევიზიასთან 22 წლის ელგუჯა დავითაძეს და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თოდოგაურში მცხოვრებ, 26 წლის ვაჟა მგზავრიძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო აჭარის ტელევიზიის კუთვნილ ავტომანქანას საქარე მინა ჩაუმტვრიეს. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ბათუმის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს თანამშრომლებმა მეტროპოლიტენის პატრულის თანამშრომლის დაჭრაში ეჭვმიტანილი ორი ძმა - სოფელ ხაშმში მცხოვრები 33 წლის ზაქრო და 31 წლის ზურაბ თევდორაშვილები დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა თევდორაშვილებმა მეტროს სადგურ "ავლაბრის" ქვედა ვესტიბიულში წინააღმდეგობა გაუწიეს და დანით გულმკერდის არეში დაჭრეს საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორი მამუკა მეტრეველი. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებისას ორივე ძმა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მათგან ამოღებულია 4,3 გრამი მარიხუანა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, სენაკის რაიონის სოფელ ჭალადიდში მცხოვრებ ლევან ცომაიას, სოფელ შხეფში მცხოვრებ პაატა სახოკიას, აფხაზეთიდან დევნილ ბესიკ ჩიქობავას, სოფელ მეორე ნოსირში მცხოვრებ გენადი ხურციას და რომული არახამიას დაკავებისას დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდათ. ამოღებულია ავტომატი "აკს"-ი მჭიდით და 12 ვაზნით, ორი ავტომატი "აკმ"-ი 2 მჭიდით და 9 ვაზნით, ორი ცალი ხელყუმბარა "ფ-1", აირის უნომრო პისტოლეტი "გიოდ-სტარი" 12,9 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და ნიღაბი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 საპყრობილეს მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 28 წლის ჯუანშერ ნანეიშვილი, რომლისაგან ამოიღეს 0,024 გრამი ჰეროინი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„ რაგბიმ იმდენი რამ მოგვცა,რომ ახლა ვალის დაბრუნება გვმართებს “



„რადიო დილა“
ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

# იძებნება... აფხაზეთი!

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ პანაცეა არ არსებობს, ნატვრისთვალის ძებნის (ორივე მხარისთვის მისაღები კონცეფციის შემუშავება) ცალმხრივი პროცესი ერთი წუთითაც არ წყდება და ამ საქმით თბილისში დღეს გულმოდგინედ არიან დაკავებული. აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით მიმდინარეობს ცხარე კამათი, "იხარშება" ძველი და იწერება ახალი კონცეფციები. ყველას უნდა, რომ აფხაზეთის ხელახლა "აღმომჩენთა" წინა რიგებში იყოს.

არადა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტში უკვე დევს საქართველოს ხელისუფლებისთვის მისაღები აფხაზებთან შერიგების პირობების პროექტი და მალე მას, ამა თუ იმ ჯგუფის სახელით, ფართო საზოგადოებას წარუდგენენ.

პოლიტოლოგიის ინსტიტუტში გუშინ გამართული დისკუსიის მონაწილეთათვის საჯილდაო ქვას წარმოადგენდა კონცეფცია "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ", რომლის პროექტიც პირველად გასული წლის ზაფხულში გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა. მისი ერთ-ერთი ავტორი პაატა ზაქარეიშვილი შორს არის იმ აზრისგან, რომ დოკუმენტის იდეალიზება მოახდინოს.

**"ჩვენი პოლიტიკური და პოლიტოლოგიური ფანტაზიები იურიდიულ ჩარჩოებში მოვაქციეთ და კონცეფციის სახით ჩამოვაყალიბეთ. არა მგონია, მისი მთლიანად განხორციელება შესაძლებელი იყოს. იგი უფრო აფხაზეთის საკითხის პროვოცირებას ემსახურება და მაქსიმალურად ითვალისწინებს იმ რისკფაქტორებს, რომლებმაც, შეიძლება, საქართველო დააზარალოს,"** - აცხადებს ზაქარეიშვილი, რომლის თქმითაც, ამ დოკუმენტით ხელისუფლების ყველა ხვრელი უკვე ამოვსებულია - არ არსებობს სტრუქტურა, რომლისთვისაც კონცეფციის პროექტი არ მიეწოდებინოთ.

როდესაც კონცეფციის ერთ-ერთ ავტორს თავად არ მიაჩნია საკუთარი "ნაწარმი" სრულყოფილად, რა გასაკვირია, რომ სხვები მას ხელაღებით აკრიტიკებდნენ. გუშინდელ დისკუსიაში მონაწილე საზოგადოებრივი მოძრაობა "დაბრუნების" თავმჯდომარე მალხაზ პატარაია შეეცადა, "განსჯის საგანი" მაქსიმალურად დაეკნინებინა.

"საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" კონცეფციის ავტორებს პატარაია საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებს.

**"ამ კონცეფციის რეალიზების სურვილში უცხო ქვეყნის ინტერესები იკითხება. საქართველოს ფედერალური მოწყობა, თავის დროზე, გრაჩოვმა და ელცინმა შემოგვთავაზეს. კონცეფციის ავტორები დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას ეწევიან. მათი გზა აფხაზეთს ხავერდოვნად ჩამოგვაცილებს,"** - ამტკიცებს "დაბრუნების" თავმჯდომარე. მისივე განცხადებით, თითქმის ანალოგიური იყო ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული "რესპუბლიკელების" კონცეფცია, რომელიც ამ ეტაპზე "ენჯეოთი" შეინიღბა და ახალი შეფუთვით მიეწოდა საზოგადოებას.

მალხაზ პატარაიას ასეთი რადიკალური მიდგომის ახსნა, ალბათ, მისივე განცხადებაში შეიძლება ვიპოვოთ.

**"ჩვენ გვაქვს ალტერნატიული კონცეფცია. ისიც ეროვნული უშიშროების საბჭოში დევს და, უბრალოდ, მტვერი აქვს მოსაშორებელი,"** - დასძენს პაატა ზაქარეიშვილის "კონკურენტი ფირმის" წარმომადგენელი.

გუშინდელი დისკუსიის დანარჩენი მონაწილეები კონცეფციის შეფასებებში გაცილებით მოზომილები იყვნენ.

თემურ მჟავია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **"ამ კონცეფციას გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებისთანავე მაღალი შეფასება მივეცით. ამასთან, იგი დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ და მისი ცალკეული დებულებები დეტალურად გავაანალიზოთ."**

თემურ ჩილაჩავა, თსუ სოხუმის ფილიალის პრორექტორი: **"კონცეფცია ნიჭიერი ხალხის დაწერილია, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმები მის დედააზრს, რომ მთავარია, სახელმწიფო საზღვარი ფსოუზე გადიოდეს, ხოლო რა იქნება თავად აფხაზეთში - მეორეხარისხოვანია... ან როგორ შეიძლება დოკუმენტში იმის ჩაწერა, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი ეროვნებით მხოლოდ აფხაზი უნდა იყოს? ეს რასიზმის გამოვლინებაა!"**

ვახტანგ თორდია, აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე: **"ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფციაა. მისი ავტორები მართლები არიან იმაში, რომ ფედერალიზმზე უარის თქმა და უნიტარიზმის მოთხოვნა წაგებული თამაშია და ამას მსოფლიო ვერ გაგვიგებს."**

ერთი სიტყვით, აფხაზეთის "ძებნა" გრძელდება. მის "პოვნამდე" ჯერ საკმაოდ შორია და ამას დისკუსიის მონაწილეებიც აცნობიერებენ.

**"ილუზიებს უნდა მოვეშვათ. წლევანდელი წელი აფხაზეთის დაბრუნების წელი ნამდვილად ვერ იქნება. თუმცა, აფხაზეთის დაბრუნების მკვდარი წერტილიდან დაძვრის წლად აუცილებლად უნდა იქცეს,"** - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

პირველი გვერდიდან

თავდაცვისა და საფრთხის მოლოდინში მყოფი აფხაზური მხარე კი კონსტრუქციულ დიალოგს თუნდაც იმიტომ ვერ გამართავს, რომ ნაცვლად სამშვიდობო პროცესის განვითარებისა, ორიენტირებული იქნება სავარაუდო საფრთხის მოგერიებაზე. შესაბამისად მოლაპარაკების პროცესს დააკლდება სასურველი შედეგისათვის აუცილებელი კომპონენტი - ნდობა.

ქართველთა მხრიდან ძალის არგამოყენების ნების გამოვლენა მნიშვნელოვანია სწორედ დღეს, როცა ქვეყანაში პრიორიტეტად ჯარის გაძლიერებაა დასახული. ნათლად და დამაჯერებლად უნდა გაცხადდეს, რომ ჩვენს მშენებარე ჯარს არ აქვს და არც ექნება მისიათა ჩამონათვალში აფხაზ ხალხთან სამხედრო დაპირისპირება.

არის მეორე გარემოებაც, რის გამოც მუქარის ენით ლაპარაკი არაპროდუქტიულია: აფხაზურ საზოგადოებას სჯერა თავისი სიმართლის. მუქარა მასში არა მხოლოდ საფრთხის განცდას, არამედ ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფის განცდასაც იწვევს. ამ ნეგატიური გრძნობის გაქარვების გარეშე კი კონფლიქტი არასოდეს გადაწყდება. ძალით, შესაძლოა, ტერიტორია დაბრუნდეს, მაგრამ პრობლემა თაობებს გაჰყვება და აფხაზეთში ვერ შეიქმნება უსაფრთხოების შესაფერისი გარემო.

**წინაპირობა II: ქართულმა მხარემ უნდა მოახდინოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამომწურავი შეფასება.** უნდა მოხდეს აფხაზეთში ომის დაწყების, მისი მიმდინარეობის, მისი დასრულების და ომისშემდგომი განვლილი 11 წლის ანალიზი. უნდა შეფასდეს კონფლიქტის როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისე ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური, სამართლებრივი, დემოგრაფიული და სხვა ასპექტები. შეფასება უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური და გულწრფელი, ძალზე საქმიანი და ყოველგვარი პატრიოტული პათეტიკისა და რიტორიკისაგან დაცლილი.

ასეთმა პირუთვნელმა და ამომწურავმა შეფასებამ წერტილი უნდა დაუსვას მომხდარსა და განვლილს, რათა მხარეებმა მომავლისაკენ გაიხედონ. თუკი ასეთი შეფასება არ განხორციელდა, მოლაპარაკებებს, გადაუხდელი ვალებივით, უკან გაჰყვება წარსულის ტვირთი, რაც მხარეებს აიძულებს, ურთიერთბრალდებებისა და ულტიმატუმების ენაზე ელაპარაკონ ერთმანეთს. მხოლოდ ამომწურავი შეფასების მიცემა იძლევა შანსს, რომ მხარეთა შორის დისკურსმა ვექტორი შეიცვალოს და წარსულის ხედვიდან მომავლის ხედვისაკენ გადაინაცვლოს.

ამ შეფასების ქვაკუთხედი უნდა იყოს ის, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ნაციონალური იდეა. ქართულმა მხარემ თავის შეფასებაში პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ შეცდომებზე და თავი შეიკავოს საპირისპირო მხარის შეფასებისაგან.

**წინაპირობა III: ქართულმა მხარემ აფხაზურს უნდა შესთავაზოს პარიტეტულ საწყისებზე აგებული და "მოგება-მოგებაზე" ორიენტირებული დიალოგის პროცესი.**

პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს ქართული მხარე აფხაზურს უნდა მიუდგეს როგორც თანაბარს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით აფხაზური მხარის ხელისუფლება არალეგიტიმურია.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართველთათვის საპირისპირო მხარედ აფხაზები გვევლინებიან და დიალოგის ფოკუსირება სწორედ აფხაზურ მხარეზე უნდა მოხდეს და არა რომელიმე მესამე მხარეზე. ამ დიალოგში კი ისინი თანაბარნი უნდა იყვნენ.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ორივე მხარე კონფლიქტის შედეგად წაგებულია. ამ მხრივ მხარეები უკვე წინასწარ არიან თანაბარ პოზიციაში. შესაბამისად, საჭიროა პარიტეტულობის ახალ დონეზე გადასვლა, რის შედეგადაც დიალოგის ნაყოფი იქნება ორივე მხარის მოგება. "მოგება-მოგების" მოდელი გულისხმობს, რომ აფხაზებიცა და ქართველებიც მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად განვითარების, კეთილდღეობის და ინტერესთა დაკმაყოფილების უფრო მაღალ დონეზე გავლენ. ეს ის მოდელია, როცა კონფლიქტის გადაწყვეტა და მშვიდობიანი შეთანხმება პრაგმატულად ღირებულია და ახალ-ახალი დივიდენდები მოაქვს მხარეთათვის. მდგრადი მშვიდობა მაშინ დამყარდება და შენარჩუნდება, როცა მშვიდობა პრაგმატულად ღირებულია კონფლიქტის ყველა მხარისთვის. მაგრამ პრაგმატულობა უნდა მიესადაგოს სამართლიანობის პრინციპს, რადგან შეთანხმება მით უფრო მომგებიანი ხდება, რაც უფრო მაღალია მისი სამართლიანობის დონე. სამართლიანობისა და პრაგმატულობის ასეთ ურთიერთკავშირზე აგებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია. "მოგება-მოგებაზე" ორიენტირებული, მხარეთა გათანაბრების შემცველი ფორმულა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპს: ჩვენ ვართ საზიარო ისტორიული სივრცის მქონე საზოგადოებები, ორი ძველი ეთნოსი. ჩვენ ორივეს გვაქვს თვითგამორკვევის დაუოკებელი სურვილი. მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ იგი არ უნდა ხორციელდებოდეს ერთმანეთის ინტერესების შელახვის ხარჯზე.

**წინაპირობა 1V: საქართველო უნდა გამოვიდეს ინიციატივით, რათა აფხაზეთს მოეხსნას ეკონომიკური სანქციები და ამით გააუქმოს აქამდე მოქმედი წინააღმდეგობრივი ფორმულა - "შემირიგდი, ჩემთან იცხოვრე, თორემ დაგსჯი".**

უფრო მეტიც, საქართველომ აქტიურად უნდა იზრუნოს კომუნიკაციების - რკინიგზის აღდგენაზე, აფხაზეთში ინვესტიციათა დაბანდებაზე, აფხაზეთის დღევანდელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

აღნიშნული წინაპირობების დაცვის შემთხვევაში, ჩვენი ვარაუდით, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში საფუძველი ჩაეყრება ნდობას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ მოლაპარაკების კონსტრუქციულ განვითარებას. მიგვაჩნია, რომ ნდობის გარეშე ვერავითარი პროექტი, შეთავაზება, ღონისძიება და ძალისხმევა ვერ მოიტანს ქართველთათვის და აფხაზთათვის სასურველ შედეგს.

რა თქმა უნდა, სასურველი შედეგის მიღწევას დასჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა და კონფლიქტის დარეგულირებისათვის რეგიონული ფაქტორის სასიკეთო ტრანსფორმაცია.

მაგრამ ყოველივე ამას ეფექტი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ ქართულ-აფხაზური დიალოგი განვითარდა ნდობის მშენებლობის ზემოთ აღწერილი გზით.

პატივისცემით,

*ნოდარ სარჯველაძე,* თბილისის სახ.უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავჯდომარე;
*ანა წვინარია-აბრამიშვილი,* "კავკასიური სახლი"; ფონდი "კავკასიური დიალოგი"
*მამუკა ყუფარაძე,* ასოციაცია "სტუდია რე"
*გიორგი ანჩაბაძე,* პროფესორი, კავკასიური უნივერსიტეტი; ფონდი "კავკასიური დიალოგი";
*მარინა ფაღავა,* "კავკასიის ქალთა ლიგა", დევნილ ქალთა ასოციაცია "დაეხმარე საკუთარ თავს"; ფონდი "კავკასიური დიალოგი"
*დავით დარჩიაშვილი,* ფონდი "ღია საზოგადოება -საქართველო"
*მიხეილ მირზიაშვილი,* ასოციაცია "სტუდია რე"
*მარინე ელბაქიძე,* ფსიქოლოგი
*ჯანა ჯავახიშვილი,* ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი
*გურამ ოდიშარია,* მწერალი, ფონდი "კავკასიური დიალოგი"
*ნაირა გელაშვილი,* მწერალი, "კავკასიური სახლი"
*ალუ გამახარია,* "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია";
*თამაზ ცინარიძე,* "ექსკომბატანტთა კლუბი"
*თეა გალდავა,* "კავკასიური სახლი"
*მიხეილ ბეროშვილი,* "კავკასიური სახლი"
*ქეთი ღოღელიანი,* ფონდი "კავკასიური დიალოგი"

*თბილისი, 5.01.2005*

# ბეჟან გუნავა "თამაშგარეში"

ყველა ნიშნის მიხედვით, სამეგრელოში პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადანაწილების პროცესი უკვე მიმდინარეობს. წლების განმავლობაში სამეგრელოში ჟვანიას გუნდის მთავარი საყრდენი - ბეჟან გუნავა და მისი გარემოცვა თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. თავად პარლამენტარი ბეჟან გუნავა კი უმრავლესობის რიგებს ტოვებს.

როგორც ამბობენ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ბეჟან გუნავას იმედი ჰქონდა, რომ იგი, რეგიონში საკვანძო პოსტების გადანაწილებისას, გადამწყვეტ სიტყვას იტყოდა და სამეგრელოში არც ერთ საკადრო გადაწყვეტილებას მის გარეშე არ მიიღებდნენ.

თუმცა მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ პრობლემები შეექმნა არა მხოლოდ ბეჟან გუნავას გარემოცვას, არამედ თავად მას.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ პარლამენტიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბეჟან გუნავა და ზურაბ ჟვანიას კარზე მისი ყოფილი "ლობი" - რომან კუსიანი. მათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ვერ გაიყვეს. ორთაბრძოლა რომან კუსიანის სასარგებლოდ დასრულდა. გუნავა კი პარლამენტში უფუნქციოდ დარჩა, რადგან მას არც ერთი სხვა თანამდებობა არ ერგო.

პირველ მარცხს ისიც დაემატა, რომ პრეზიდენტმა სამეგრელოში საკუთარ რწმუნებულად ისეთი ადამიანი დანიშნა, რომელსაც გუნავასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. გიგი უგულავა და ბეჟან გუნავა სახელისუფლებო პარტიის სხვადასხვა შტოსთან ასოცირებული ადამიანები არიან. ცხადია, რომ მათ საერთო ენის გამონახვა გაუჭირდებათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბეჟან გუნავა არასდროს ყოფილა ე.წ. საჯარო პოლიტიკოსი. ამასთან ერთად, ბეჟან გუნავა სამეგრელოში უპირობო გავლენითაც არ სარგებლობდა. მეტიც - "მოქკავშირზე" და, მთლიანად, ხელისუფლებაზე განაწყენებული ადგილობრივები ყველაზე მეტ პრეტენზიას გუნავასა და მის გარემოცვას უყენებდნენ.

ამის მიუხედავად, სამგერელოში გუნავა ყოველთვის ასრულებდა ხელისუფლების დაკვეთებს. შესაბამისად, მას და მის გარემოცვას ყოველთვის ჰქონდათ პრობლემები როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან.

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში გუნავამ ყველა მაჟორიტარული არჩევნები წააგო. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სამეგრელოს მოსახლეობაში იგი ყველთვის ასოცირდებოდა ძალზე არაპოპულარულყოფილ ხელისუფლებასთან.

თუმცა ახლა, შესაძლოა, გუნავამ ახალი პოლიტიკური სარბიელი იპოვოს და იგი იმ ადამიანების გვერდით დადგეს, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას გაუნაწყენდნენ.

*24 საათი*

# სტუდენტური ლიგის ერთ-ერთი ლიდერი ბრალდებებს უარყოფს

"ლეიბორისტული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრის გიორგი სიგუას მამამ, თამაზ სიგუამ განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი მოვლენების შემდეგ უშიშროების სამინისტრო მის ვაჟს ნარკოტიკების "ჩადებით" და დაპატიმრებით ემუქრებოდა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, საქართველოდან გაქცეულიყო, მისი რამდენიმე მეგობარი კი ხელისუფლებამ გადაიბირა. თამაზ სიგუამ მათი გვარები არ დააკონკრეტა, თუმცა ირიბად მიანიშნა, რომ ხელისუფლებამ დაჩი ცაგურიას და ვალერი ჯოხაძის გადაბირება შეძლო.

დაჩი ცაგურია ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ თამაზ სიგუა ახლად დაარსებული მოძრაობის "წინ საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის მიერ იმართება.

როგორც დაჩი ცაგურიამ განაცხადა, სტუდენტური ლიგის ნაწილი ირაკლი ბათიაშვილს მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც მან ლიგის წევრთა ერთ-ერთი მეგობარი ტყეში წაიყვანა და "საქმეები გაურჩია." მისი თქმით, მან და ზოგიერთმა მისმა მეგობარმა უნივერსიტეტთან მიმდინარე აქციებში მონაწილეობაზე უარი იმ მიზეზით თქვეს, რომ იქ ზოგიერთი "მკვდარი პოლიტიკოსი" გამოჩნდა.

"ჩვენ ბათიაშვილისგან საპასუხო დარტყმებს ველოდით და თამაზ სიგუას დღევანდელი განცხადება სწორედ ამაზე მეტყველებს. მისი პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ მაშინ შევიტყვეთ, როცა ის "წინ საქართველოს" პრეზენტაციაზე ირაკლი ბათიაშვილის გვერდით იდგა," - განაცხადა ცაგურიამ.

ამასთან, იგი ირწმუნება, რომ მას და მის მეგობრებს პოლიტიკური ორიენტაცია არ შეუცვლიათ და დღემდე ხელისუფლების და განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ოპოზიციაში რჩებიან.

*ინტერ-პრესი*

# "საზღვარზე შექმნილი პრობლემისთვის პოლიტიკური სარჩულის დადება უსაფუძვლოა"

საქართველო-რუსეთის საზღვართან გაჩერებული სამგზავრო ავტობუსების გარშემო შექმნილ აჟიოტაჟს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი უსაფუძვლოს უწოდებს. მისი განმარტებით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსი-რუსეთის საზღვრის საავტომობილო გზა, რელიეფური და კლიმატური პირობების თვალსაზრისით, ურთულესი მარშრუტია, ამიტომ ზამთრის პერიოდში აღნიშნულ გზაზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება. ალექსიშვილის განცხადებით, საქართველო-რუსეთის საზღვართან გაჩერებული ავტობუსების მფლობელები ამის შესახებ ინფორმირებული იყვნენ.

**"პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ჯვრის მონაკვეთის გადმოლახვა ადრინდელი, არქაული მეთოდებით - ქრთამის საშუალებით სურდათ. აღნიშნული პრობლემისთვის პოლიტიკური სარჩულის დადება უსაფუძვლოა,ვინაიდან გაჩერებულ მგზავრებს ჯვრის უღელტეხილის გადმოლახვა სხვა სატრანსპორტო საშუალებებით შეუძლიათ,"** - აღნიშნა მან.

საქართველოს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის თქმით, ჯვრის უღელტეხილზე იკრძალება მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი მოცულობის ავტობუსების მოძრაობა, დანარჩენი ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. რომან დალაქიშვილის ინფორმაციით, ეს შეზღუდვები 15 აპრილამდე გაგრძელდება.

დაახლოებით 2 კვირაა, საქართველო-რუსეთის საზღვართან სომხეთიდან მომავალი "იკარუსის" ტიპის 7 ავტობუსია გაჩერებული. მგზავრები ჯვრის უღელტეხილის გადმოლახვას დაჟინებით მოითხოვენ.

*24 საათი*

# საქართველოს თავისუფალი ეკონომიკის ინდექსი გაუარესდა

თამარ ივანიძე

საქართველოს თავისუფალი ეკონომიკის ინდექსი გაუარესდა. ამერიკულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თავისუფალი ეკონომიკის ხარისხის მიხედვით 155 ქვეყნის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველო 3,35 ქულით მეასე ადგილზეა.

საქართველო აფრიკის ქვეყნებს - ჯიბუტსა და განას ჩამორჩება და მოზამბიკსა და ლესოტოს უსწრებს. რუსეთი აღნიშნულ რეიტინგში 124-ე ადგილზეა.

შარშან საქართველომ ამავე რეიტინგის მიხედვით 3,19 ქულა დააგროვა.

რეიტინგის მიხედვით, ყველაზე თავისუფალი ეკონომიკა ჰონკონგს გააჩნია, ყველაზე დახურული ეკონომიკა კი - ჩინეთს. მნიშვნელოვანი წარმატება აჩვენა ესტონეთმა, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა. აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების მინისტრი ლექსო ალექსიშვილი აცხადებს, რომ ეს რეიტინგი შედგენილია უკანასკნელი ოთხი წლის მონაცემების მიხედვით, რაც ეკონომიკაში 2004 წელს დაწყებულმა ძვრებმა ვერ გადაწონა.

საინტერესოა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შეფასებაც, რომელთა მოსაზრებითაც საქართველოში ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად კვლავ ბიუროკრატიული ბარიერი რჩება.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, საქართველოს ეკონომიკა გახსნილია უცხოური ინვესტიციებისთვის, მაგრამ არსებობს არაფორმალური ბარიერები, რომლებიც ინვესტორებს დაბრკოლებებს უქმნის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, ინვესტორებს საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემო ბიუროკრატიულად, არაგამჭვირვალედ და კორუფციულად მიაჩნიათ. **"ხშირია არაგამჭვირვალე ადმინისტრაციული პროცედურები და არაპროგნოზირებადი მოთხოვნები ქრთამზე, რაც ინვესტიციებისა და წარმოების ჩაშლისკენაა მიმართული. კაპიტალური ინვესტიციები არ არის შეზღუდული, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული მთავრობასთან. არაფორმალური ბარიერის გათვალისწინებით, რომელიც უცხოურ ინვესტიციებს პრობლემებს უქმნის, საქართველოს შეფასება ერთი პუნქტით გაუარესდა,"** - აღნიშნულია სავალუტო ფონდის შეფასებაში.

ბიუროკრატიული ბარიერების არსებობაზე მიუთითებს აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიუროკრატიული პროცედურები საქართველოს ახალი მთავრობისთვის ერთგვარი გამოწვევაა. **"ინვესტორები უამრავ წვრილმან დაბრკოლებას აწყდებიან და საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით იმედგაცრუება ეუფლებათ,"** - ნათქვამია სავაჭრო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

გაზეთი "ვაშინგტონ თაიმსი" საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულ კორუფციაზე მიანიშნებს. **"საქართველოს მთავრობის მცდელობის მიუხედავად, სასამართლო სისტემაში კვლავ რჩება კორუფცია. საქართველოს სასამართლო სისტემის მოქმედება სამეწარმეო დავებში ხშირად არეულია. ქართველი და უცხოელი ინვესტორები სასამართლოს მიმართ ხშირად უნდობლობას გამოთქვამენ და მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილებები არაკომპეტენტური და მიკერძოებულია,"** - აღნიშნულია გაზეთში.

# გსეკი მოსახლეობას დახმარებას სთხოვს

მაია ურუშაძე

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (UDC), რომელზეც თბილისის მიღმა თითქმის მთელი საქართველოს ენერგომომარაგებაა დამოკიდებული, საზოგადოებას მხარდაჭერას სთხოვს. კომპანიის მენეჯერები აცხადებენ, რომ თუ ხალხი მათ გვერდით დადგება და ენერგორეფორმების აუცილებლობას გაითავისებს, ყველაფერი კარგად იქნება და, რაც მთავარია, საკმაოდ მალე. დღეს "24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილესთან დავით შარაშენიძესთან:*



იური ლობოდინის ფოტო

*"სექტორში მომუშავე კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს - პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ მისი გადაწყვეტა ცალკე ნებისმიერ მმართველ ჯგუფს გაუჭირდება."*

**- ჰქონდა თუ არა დენი რეგიონების მოსახლეობას საახალწლოდ?**

- კი. ზოგიერთი ავარიული შემთხვევის გარდა, ახალ წელს დენი მთელი საქართველოს მასშტაბით იყო. პირველად თავისი არსებობის მანძილზე, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მთელი საქართველოს მასშტაბით აწარმოებს იმპორტს როგორც რუსეთიდან, ისე სომხეთიდან. შემოტანილ ენერგიას საახალწლოდ დაემატა ენგურჰესიც. ეს კი საკმარისია, რომ ელექტროენერგია საქართველოს ყველა რეგიონს მიეწოდებოდეს.

**- საახალწლოდ მოსახლეობას დენი ლიმიტების გარეშე მიეწოდა. შესაბამისად, მოხმარებული დენის საფასურის ამოღებაში ბალანსი კიდევ უფრო უნდა გაირღვეს. დიდი იქნება თუ არა ზარალი?**

- ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ მთელ იმპორტს წინასწარი გადახდის პირობით ვაწარმოებთ. იმ დენისთვის, რომელიც შემოდის, ფული წინასწარ მთლიანად გადახდილია. თუ მოსახლეობას სურვილი აქვს, რომ იმპორტი იანვარშიც გაგრძელდეს, მაშინ ფული უნდა გადაიხადოს, რათა შეიქმნას ფინანსური საშუალება, კიდევ გადავიხადოთ თანხა. ელექტროენერგიას ჩვენ არავინ გვჩუქნის და, შესაბამისად, ვერც ჩვენ გავაჩუქებთ. რაც შეეხება ახალ წლებზე დახარჯულ დენს, მისი საფასურის ამოღებას კომპანია დღესასწაულების მერე დაიწყებს.

**- რა პირობებით შემოიტანეთ დენი საახალწლოდ? საიმპორტო ხელშეკრულებები დამატებით სიმძლავრეზე ძვირ ტარიფს ითვალისწინებდა...**

- მოქმედი ხელშეკრულებებით ახალ წლამდეც სომხეთიდან 80, რუსეთიდან კი 100 მეგავატი შემოგვქონდა. ეს მოცულობა არც ახლა გაზრდილა, მხოლოდ სტაბილური იმპორტის მიმართულებით ვმუშაობთ. რაც შეეხება საზეიმო პერიოდისთვის საჭირო დამატებით სიმძლავრეს, ამუშავდა თუ არა ენგურჰესი, ელექტროგენერაციამაც იმატა. ამიტომ, საახალწლო ელექტრომომარაგების რეჟიმმა არავითარი დამატებითი ფინანსური ვალდებულებები და ხარჯები არ შექმნა. ერთადერთი, რაც უნდა აღინიშნოს, ისაა, რომ დენის ჭარბი მიწოდების პირობებში, მისი საფასურის ამოღებაც უნდა გაიზარდოს. ჩვენ არა მარტო იმპორტის დაფინანსება, არამედ ქვეყნის შიდა გენერაციისთვის თანხების გადახდების გაზრდაც უნდა შევძლოთ.

**- ამოღების მაჩვენებლები როგორია?**

- მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში ერთი წლის წინ არაფერს არ ვრიცხავდით, ახლა უკვე მილიონი გადავრიცხეთ და ეს უკვე რაღაც შედეგია. წინა თვე ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო - 3,5 მილიონი ლარი, ანუ მოხმარებული დენის ღირებულების თითქმის 50 პროცენტამდე თანხა ამოვიღეთ. თანაც, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელს ჩვენ, "თელასისგან" განსხვავებით, "ელექტროსისტემისგან" მიღებული ელექტროენერგიიდან ვანგარიშობთ, "თელასი" კი - მომხმარებელთათვის დარიცხულიდან. ეს ციფრებში ძალიან დიდი სხვაობას შეადგენს. თუ ჩვენს მაჩვენებლებს მთელი წლის მიხედვით შევაფასებთ, წლიური ბალანსი ნეგატიურია, რადგან დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ დამაიმედებელია, რომ თვეების მიხედვით სერიოზული ზრდა შეინიშნება: ერთი წლის განმავლობაში დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 30-დან 50 პროცენტამდე გავზარდეთ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას: ეს ციფრები არ მეტყველებს, რომ მოსახლეობა მზადაა, მეტი გადაიხადოს. ეს ზრდა მხოლოდ კომპანიის მიერ გატარებული რეფორმების შედეგია. ჩვენ კი მოსახლეობისგან რეალური დახმარება გვჭირდება.

**- რას აკეთებდა ამერიკული "პიეი კონსალტინგის" მენეჯმენტი კომპანიაში გასულ წელს?**

- უმთავრესი - გამრიცხველიანების პროცესია. ეს პროცესი ამცირებს დენის მოხმარებას, ზრდის მისი საფასურის გადახდებს და, შედეგად, ამცირებს გარღვევას ენერგობალანსში, რაც კრიზისში მყოფი ენერგეტიკისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. კომპლექსური მუშაობის ფონზე, ამოღების მაჩვენებელიც გაიზარდა. კომპანიამ გაატარა საკადრო ოპტიმიზაცია, გადავიდა რეგიონული მართვის პრინციპზე, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას რეგიონებში თავისი წარმომადგენლები ჰყავს, რომლებიც უკეთ აკონტროლებენ ადგილზე ამოღებულ თანხებს. შედეგად, შემცირდა კორუფციის დონე და ენერგეტიკის კუთვნილი ფული ნაკლებად იკარგება. ჩვენი კომერციული უსაფრთხოების სამსახურმა ელექტროენერგიის დატაცების ბევრი ფაქტი გამოავლინა. სამართალდამცველებს მუდმივად ვაწვდით ინფორმაციას ჩვენ მიერ აღმოჩენილი დარღვევების თაობაზე. ჩვენ მიერ აღმოჩენილი აბსოლუტურად ყველა ფაქტი ფინანსურ პოლიციაში იგზავნება. ზოგჯერ - პროკურატურაშიც. ეს იმ შემთხვევებში, როცა რეგიონებში კაბელებს მოგვპარავენ, ან ჩვენს თანამშრომლებს სცემენ, შეუვარდებიან და დაარბევენ. მაგრამ სამართალდამცველთა რეაგირება, ხშირ შემთხვევაში, არ არის. სამწუხაროა, რადგან ამ დროს დაუსჯელობის სინდრომი ჩნდება.

**- რითი ახსნით ამ პასიურობას?**

- ჩვენს წინააღმდეგ, თუ ხელისუფლების წინააღმდეგ, კონკრეტული ძალები მუშაობენ და ელექტროენერგიის დეფიციტს იყენებენ. არიან ძალებიც, რომლებიც კომპანიის დაქუცმაცებით არიან დაინტერესებული. ამიტომ, ჩვენს ოფისებში შევარდნები მაშინაც კი ხდება, როცა მოსახლეობასთან შეთანხმებულ გრაფიკებს ვიცავთ, ან დენის ტრანსპორტირებაში პრობლემები "ელექტროსისტემას" აქვს. მოსახლეობამაც და მთავრობამაც უნდა გაიგოს, რომ რეფორმას დრო და ხელშეწყობა სჭირდება.

გაზაფხულისთვის უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით დასრულდება კომუნალური გამრიცხველიანების პროგრამა. ინერგება ახალი ბილინგ-სისტემა, დარიცხვის ახალი მეთოდიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემები ცენტრალიზებული მართვის სისტემაზეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, მთელი ინვესტიციები, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოს ენერგოსექტორის სადისტრიბუციო სეგმენტში ჩადო, გარდა ამისა, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარება - 25 მილიონი ევრო მხოლოდ იმ პირობით წამოვა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასაფინანსებლად, თუ ის ერთიანი სახელმწიფო კომპანია იქნება. ამავე პირობით, "მილენიუმის" პროექტიდან 40 მილიონი დოლარის მიღების იმედიც გვაქვს.

**- საქართველოს მთელი ტერიტორიის რა მოცულობა გაქვთ გამრიცხველიანებული?**

- ორი ტიპის გამრიცხველიანება გვაქვს, ინდივიდუალური და საბითუმო. საქართველოს მთავრობამ გამოყო თანხები და "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" 12 ათასი ცალი მრიცხველი შეისყიდა. ეს კომპანიას თითქმის მთლიანად ეყოფა. საბითუმო (კომუნალური) გამრიცხველიანების პროგრამა ოფიციალურად ახალი წლიდან დაიწყება, 4 თვეს გასტანს და კომპანიის ფართობის 90 პროცენტს მოიცავს. უკვე შეძენილი და შემოსულია მრიცხველებიც, ტრანსფორმატორებიც, სადენებიც და საჭირო სხვა მოწყობილობებიც.

რაც შეეხება საბითუმო გამრიცხველიანებას, ეს მხოლოდ ერთი მრიცხველის ყიდვა-დამონტაჟებას კი არა, უზარმაზარ ინვესტიციებს ნიშნავს. ეს ხარჯები, თუ ჩვენ ამას კომპანიის სახსრებით ვერ მოვახერხებდით, ტარიფში უნდა ასახულიყო. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ამ ხარჯის დასაფინანსებლად ის ძველი დავალიანებები გამოვიყენოთ, რომელიც მოსახლეობას ადრე დაუგროვდა. ვიღებთ ამ თანხებს და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ვახდენთ. ეს პროცესი არ უნდა შეფერხდეს, რომ სამომავლოდ ტარიფზე არ იმოქმედოს. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის მხარდაჭერა გვჭირდება.

**- სოციალურად რამდენად სამართლიანია, როცა კომუნალური გამრიცხველიანება ხდება, ინდივიდუალური კი აგვიანებს?**

- როცა კომუნალური მრიცხველები დადგება, თუ ერთი არ გადაიხდის, მისი ტვირთი მეზობლებზე გადავა, რასაც არავინ დაუშვებს და მოსახლეობა თავად მოუწოდებს ერთმანეთს, რომ დენის ფული გადაიხადონ, ან იმდენი მოიხმარონ, რამდენის გადახდაც შეუძლიათ. ყოველ შემთხვევაში, მოპარვას ადგილი აღარ ექნება. მხოლოდ იქ, სადაც მრიცხველები არ იქნება, შეიძლება გაჩნდეს კონკრეტული პრეტენზიები, მაგრამ თავად მოსახლეობამაც უნდა გაიგოს, რომ ადრე თუ გვიან, გამრიცხველიანების პრობლემა მოსაგვარებელია, ერთბაშად კი ყველაფერს ვერ მოევლება.

**- თუ არის ადგილები, სადაც პრობლემები უკვე მოგვარდა?**

- როგორ არა. მაგალითად, რუსთავი. აქ უკვე 80 პროცენტზე მეტია გამრიცხველიანებული. დენის კარგვა მინიმუმამდეა დაყვანილი. თუ ადრე რუსთავი 25 მეგავატს მოიხმარდა, ახლა 10 მეგავატი სიმძლავრე სჭირდება, ანუ დენი იზოგება კიდეც. აქ კომერციული დანაკარგები, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს. მხოლოდ ტექნიკური კარგვებია და, ისიც, სტანდარტების შესაბამისი.

ყველაზე პრობლემური ჩვენთვის დღეს ქუთაისის "წყალკანალია", რომელსაც მოძველებული, ვადაგასული სისტემა აქვს და ბევრ დენს ხარჯავს. "წყალკანალმა" 850 ათას ლარი მარტო ერთ თვეში მოიხმარა, ეს თანხა კი მთელ ქუთაისს საკმაოდ დიდი ხანი ეყოფოდა ელექტროენერგიის იმპორტისთვის. ქუთაისში მთელი მოხმარების 40 პროცენტი სწორედ "წყალკანალს" მიაქვს და ეს ის თანხაა, რომელსაც ვერ ვიღებთ.

რაც შეეხება თავად ქუთაისს, აქ ჯერ მხოლოდ 40 პროცენტია გამრიცხველიანებული. ხალხს ჯერ ძველი დავალიანება არ გადაუხდია. იმ ფიდერებზე, სადაც ეს დავალიანება მარტო 20-მა პროცენტმა გადაიხადა, გამრიცხველიანება შეუძლებელი ხდება, მაგრამ მათი დენი მიეწოდებათ, რადგან ნაწილს ფული გადახდილი აქვს. ბუნებრივია, ასეთ უბნებში კომერციული დანაკარგებიც ბევრია.

**- ხალხი უკმაყოფილოა, რადგან ხშირია საუბრები UDC-ს სისტემაში უკონტროლოდ მოძრავ "შავ ფულზე", რომელსაც კომპანიის სხვადასხვა ეშელონების თანამშრომლები იჯიბავენ...**

- "ქეში" და "შავი ფული" მაშინ ჩნდება, როცა თანხების ხელზე აკრეფა ხდება. პირველი მარტი - ეს ის ბოლოო ვადაა, რომელიც ჩვენ ჩვენს ყველა სერვის-ცენტრს დავუთქვით. ამ თარიღიდან ფულის ხელზე აკრეფა აღარსად აღარ მოხდება და ელექტროენერგიის საფასურს მოსახლეობა მხოლოდ ჩვენს სერვის-ცენტრების სალაროებში ან ბანკებში თავად გადაიხდის. ბევრგან ეს პრაქტიკა უკვე დაინერგა და შედეგიც სახეზეა: დავინახეთ, რომ გარკვეულ რგოლებში თანხები მაინც აკუმულირდებოდა. ეს პირველი მარტიდან გამორიცხული იქნება. ხოლო თუ სისტემაში დარღვევები ან დატაცებები აღმოჩნდება, ისევე, როგორც მანამდე, ახლაც უმკაცრეს ზომებს მივიღებთ.

**- ჩვენს გაზეთში ყოველ ორშაბათს ენერგოსექტორში არსებული პრობლემები შუქდება. "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მონიტორინგისას გამოვლინდა სქემა, რომლის წყალობითაც მილიონობით ლარის ღირებულების ელექტროენერგია უკვალოდ "ორთქლდება". საუბარია მიღებული და დარიცხული ელექტროენერგიის ოდენობით მანიპულირებაზე. ფიქსირდება თუ არა მსგავსი ფაქტები თქვენთან?**

- ახლა ჩვენ ყველა საბითუმო წერტილში, მათ შორის, "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან", უზუსტეს ალფა-მრიცხველებს ვაყენებთ, რომლებიც "ჯი-ეს-ემ სისტემის" მეშვეობით თხუთმეტ წუთში ერთხელ გადმოგვცემს ზუსტ ინფორმაციას დენის გადადინების თაობაზე. მრიცხველების დამონტაჟება ფორსირებულად მიმდინარეობს და წელს გადადინების ყველა საბითუმო წერტილს მაქსიმალურად გავამრიცხველიანებთ. იმ ადგილებში, სადაც "ელექტროსისტემის" მრიცხველები გვაჩვენებდნენ, რომ ჩვენ 49 პროცენტით ვაჭარბებდით გრაფიკით დადგენილ მოხმარებას, ჩვენმა ალფა-მრიცხველებმა გვაჩვენა, რომ გადაჭარბება მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენდა. ანუ, აღმოჩნდა, რომ "ელექტროსისტემა" გაცილებით მეტ ენერგიას გვაწერდა, ვიდრე მოვიხმარდით. მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად მთავარია, ქვესადგურები ვაკონტროლოთ და ზუსტი აღრიცხვა გვქონდეს. ამიტომ, მთავრობასთან დადებული შეთანხმების თანახმად, წელს, 1 აპრილამდე, "ელექტროსისტემის" კუთვნილი ქსელების ნაწილი უნდა გადმოგვეცეს.

**- როდის გახდება ენერგეტიკის თემა არააქტუალური?**

- მოიხმარეთ ელექტროენერგია, მაგრამ მისი საფასური სრულად გადაიხადეთ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ენერგეტიკის შველა, ენერგეტიკა კი - ეს არის ეკონომიკაც, პოლიტიკაც, ბიზნესიც, უსაფრთხოებაც. გასული ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენლად არასწორად ხდებოდა სისტემის მართვა და, შესაბამისად, გამოსწორებაც დროს მოითხოვს. ამიტომ სექტორში მომუშავე კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს - პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ მისი გადაწყვეტა ცალკე ნებისმიერ მმართველ ჯგუფს გაუჭირდება.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პირველად საქართველოს საბანკო სისტემაში

თქვენ არ კარგავთ საპროცენტო სარგებელს

დეპოზიტის ვადამდე დარღვევის შემთხვევაში!

როგორია "მოქნილი" დეპოზიტის პირობები?

- დეპოზიტის ვადა
6, 9, 12, 18, 24 და 36 თვით.
- დეპოზიტის ვალუტა
- დეპოზიტის თანხა
- დეპოზიტის დარიცხვა
- წლიური საპროცენტო განაკვეთები:

| | | აშშ დოლარი | ევრო | ლარი |
|---|---|---|---|---|
| 6 თვე | I | 7.00 | 6.00 | 9.00 |
| | II | 7.50 | 6.50 | 9.50 |
| 9 თვე | I | 7.75 | 6.75 | 9.75 |
| | II | 8.25 | 7.25 | 10.25 |
| 12,18,24,36 თვე | I | 8.50 | 7.50 | 11.00 |
| | II | 9.00 | 8.00 | 11.50 |

I - საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ყოველთვიურად
II - საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ვადის ბოლოს

ფილიალების ქსელი

# ცუნამმა ბაზარი ვერ დააზარალა

*მაკლერებს და ბროკერებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი კატასტროფა დიდხანს არ უგლოვიათ და უკვე შეუდგნენ მოქმედებას. ინდონეზიის და ინდოეთის საფონდო ბირჟებმა მიმდინარე კვირას თავის ისტორიაში უმაღლეს ნიშნულებს მიაღწიეს. სტიქიის მიერ მძიმედ დაზარალებულ შრი-ლანკაშიც კი ძირითადი ინდექსი კვირის შემდეგ მხოლოდ ხუთი პროცენტით დაეცა.*

დიანა ჩაჩუა

არც შედარებით მსხვილ ბაზრებს განუცდიათ დიდად აზიაში მომხდარი კატასტროფის შედეგები. MSCI აქციების მსოფლიო ინდექსმა, რომელიც გლობალური საფონდო ბაზრის საზომად ითვლება, მიმდინარე კვირას 2001 წლის შემდეგ უდიდეს მაჩვენებელს მიაღწია. და ეს მაშინ, როცა სადაზღვევო გადასახდელები ათობით მილიარდ დოლარს ითვლის, ხოლო ცუნამით დაზარალებული ქვეყნები თავს იმაზე იმტვრევენ, როგორ შეარბილონ პროგნოზები. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლთა უმეტესობას სადაზღვევო პოლისი საერთოდ არ ჰქონდა. ინდოეთის შეფასებით, დაზარალებულთა მხოლოდ მეოთხედი იყო იმდენად შეძლებული, რომ დაზღვევა მიეღო, თუმცა ამ კატეგორიის მხოლოდ მეოთხედი თუ მიმართავდა რეალურად სადაზღვევო კომპანიებს. ინდონეზიაში ეს ციფრი გაცილებით დაბალია.

ამასთან, საფონდო ბირჟებზე არ შეინიშნება იმ კომპანიათა აქციები, რომელთაც შეიძლება დიდი ზარალი მიეღოთ. იმ მსხვილი კომპანიების უმეტესობა, რომელთა ქაღალდები ჯაკარტას საფონდო ბირჟაზე იყიდება, ნავთობის, ფინანსურ და ტექნოლოგიურ სფეროშია დაკავებული. არც ერთი მათგანი არ დაზარალებულა. მომხდარის ყველაზე დიდი ეკონომიკური მსხვერპლი - ტურისტული ფირმები ან უცხოელების მფლობელობაშია, ან ისეთი მცირეა, რომ ბირჟებზე აქციები არ გააქვთ. მათთვის კი, ვისაც ბირჟებზე აქციები ჰქონდა გატანილი, კატასტროფა საბედისწერო აღმოჩნდა. მაგალითად, შრი-ლანკას ტურისტული კომპანია Confifi Hotel Holdings-ის აქციები მიმდინარე კვირას ორჯერ გაიაფდა.

თუმცა, წაგებულების პარალელურად, მოგებულებიც შეინიშნებიან. უძრავი ქონების და მშენებლობის სფეროში დაკავებული, აზიის საფონდო ბირჟები მოუთმენლად ელიან დანგრეული ქალაქების აღდგენისთვის ძვირიანი კონტრაქტების გაფორმებას. მიმდინარე კვირას ინდონეზიის სახელმწიფო სამშენებლო კომპანიების Adhi Karya-ის და Semen Gresik-ის აქციები მკვეთრად გაძვირდა.

საინტერესო გამოდგა ამ კუთხით 1993 წლის აშშ-ს წყალდიდობის შემდეგ დელავერის შტატის უნივერსიტეტის კატასტროფების კვლევის ცენტრის ნაშრომი, რომლითაც ნათელი გახდა, რომ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების 70 პროცენტი თავს არანაკლებ კარგად გრძნობდა, ვიდრე სტიქიამდე, ხოლო 18 პროცენტის საქმეები სტიქიის შემდეგ უკეთესადაც კი მიდიოდა. **"არსებობს გავრცელებული აზრი, რომ კატასტროფების შედეგად ფართომასშტაბიანი კრახები და გაკოტრებები იწყება. თუმცა, ჩვენმა კვლევამ დაამტკიცა, რომ კომპანიების უმრავლესობა, ისინიც კი, რომელთაც განსაკუთრებული დარტყმები მიიღეს, მაინც ახერხებს რეაბილიტაციას,"** - აცხადებდნენ კვლევის ავტორები. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტრო განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდებს, სტიქიის შედეგად დაზარალებული ქვეყნების ვალების გადახდაზე მორატორიუმი გამოაცხადონ. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი დიდი რვიანის ქვეყნებთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს. გეგმას მხარს აშშ უჭერს. მორატორიუმი, რომელშიც მილიარდობით დოლარი და ვალდებულებები შევა, შესაძლებელია უახლოეს დღეებში მიიღონ.

# ცვლილებები საბაჟო დეპარტამენტში

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს საახალწლო "სიურპრიზი" მოუმზადა: დეპარტამენტის შტატიან თანამშრომელთა რაოდენობა 12 პროცენტით შემცირდა. დეპარტამენტში თანამშრომელთა საშტატო ერთეული 1146-ს შეადგენდა. სტრუქტურული რეორგანიზაციისა და კადრების ოპტიმიზაციის შემდეგ დასაქმებულთა რიცხვი 1025-მდე შემცირდა. საკადრო შემცირებების გარდა, დეპარტამენტში სტრუქტურული რეორგანიზაციაც განხორციელდა. გაუქმებულია დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის ორი სამმართველო - აქციზური სამმართველო და პირადი შემადგენლობის ინსპექცია. ამგვარად, დღეიდან დეპარტამენტში, 13-ის ნაცვლად, 11 სამმართველო იმუშავებს. ცვლილებებია რეგიონული საბაჟოების სტრუქტურაშიც. დღეიდან საქართველოში, ოთხის ნაცვლად, ორი რეგიონული საბაჟო - დასავლეთი და აღმოსავლეთი იარსებებს. საბაჟოები "სამხრეთი" და "ჩრდილოეთი" გაუქმებულია. სამხრეთსა და ჩრდილოეთში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტები აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონულ საბაჟოებზე გადანაწილდება. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლების პროტესტს პროფკავშირების წარმომადგენლები უერთდებიან და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვენ. როგორც "ინტერ-პრესს" პროფესიული კავშირების გაერთიანებაში განუცხადეს, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის თანამშრომლებს სამსახურებიდან წასვლის შესახებ განცხადება იმ პირობით დააწერინეს, რომ კომპენსაციის სახით 1000-1000 ლარს მისცემდნენ, თუმცა, საბოლოოდ ქარხნის 500 თანამშრომელი სამსახურისა და კომპენსაციების გარეშე დატოვეს. **ინტერ-პრესი**

# უკრაინაშიც ყველაფერს კადრები გადაწყვეტენ?

პირველი გვერდიდან

უკრაინის პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტს უნდობლობა ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში გამოუცხადა. ბუნებრივია, ამ ფაქტს იანუკოვიჩის მთავრობის ავტომატური გადადგომა უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, საპრეზიდენტო მარათონში მონაწილე უკრაინის პრემიერ-მინისტრი დიდი ხნის განმავლობაში თანამდებობის დატოვებაზე უარს აცხადებდა და ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ არც მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა აძალებდა მას ამ ნაბიჯის გადადგმას.

მაგრამ ვიქტორ იანუკოვიჩს გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთება 31 დეკემბერს მაინც მოუწია. როგორც ჩანს, კუჩმამ თავის ფავორიტს საბოლოოდ შეაქცია ზურგი (ალბათ, გარიგების ერთ-ერთი პირობა ასეთი იყო) და მთავრობის დროებით ხელმძღვანელად პირველი ვიცე-პრემიერი აზაროვი დანიშნა.

სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია აზაროვის კანდიდატურა ოპოზიციისთვის. ამასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. შესაძლოა, იმის გამოც, რომ "ნარინჯისფერთა" ბანაკი სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის ჯგუფებისგან შედგება.

საიდუმლო არ არის, რომ ვიქტორ იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას "ნარინჯისფერი რევოლუციის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიურ (რადიკალურ) ლიდერს, იულია ტიმოშენკოს უწინასწარმეტყველებდნენ და ამაში ორიოდე თვის წინ ეჭვს, ალბათ, ვერც ვერავინ შეიტანდა.



მიკოლა აზაროვი და ვიქტორ იუშენკო.

თუმცა, "ნარინჯისფერი" ტალღის მასშტაბების ზრდასთან და ახალი პოლიტიკური ალიანსების ფორმირებასთან ერთად, პრემიერ-მინისტრის სავარძელს სხვა პრეტენდენტებიც გამოუჩნდნენ.

ტიმოშენკოს კანდიდატურის მოწინააღმდეგეებს არგუმენტად ის ფაქტი მოჰყავდათ, რომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ (პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით) საკანონმდებლო ორგანოში საოცრად გაჭირდებოდა იუშენკოს რადიკალი თანამებრძოლის პრემიერ-მინისტრად დამტკიცება, მითუმეტეს, უკვე შეტანილი საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე.

სანაცვლოდ, ოპოზიციის "ზომიერი" წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები (თუნდაც ალექსანდრ მოროზის ან ვლადიმირ ლიტვინის ან სხვა) პოლიტიკური ფიგურის წამოყენებაზე თანხმდებოდნენ.

სხვათა შორის, იულია ტიმოშენკოს "გაპრემიერებას", შესაძლოა, თავად მისმა განცხადებებმაც შეუშალოს ხელი. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ტელერადიოკომპანია "უკრაინას" ეთერში გამოსვლისას დარწმუნებული იყო უმაღლეს რადაში წარმატებაში (შეგახსენებთ, პრემიერ-მინისტრის დამტკიცებას უმაღლესი რადას 226 წევრის თანხმობა დასჭირდება) და კატეგორიულ უარს აცხადებდა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებთან რაიმე სახის გარიგებაზე. "ძველი გუნდი იმდენად არის სახელგატეხილი, რომ ახალი ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობა კი არა, იმის გამო, რაც უკანასკნელ წლებში ჩაიდინა, სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს," - ხაზგასმით აღნიშნავს ტიმოშენკო.

ამავდროულად, უკრაინაში სერიოზული ეჭვები ჩნდება, რომ იუშენკო გარიგებაზე წავა და მთავრობის ახალ ხელმძღვანელად, ერთგული თანამებრძოლის ნაცვლად, იანუკოვიჩის დროინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერს, მიკოლა აზაროვს წარადგენს. ასეთი ეჭვი კიდევ უფრო გააღვივა ახალი წლის ღამეს დამოუკიდებლობის მოედანზე ამ უკანასკნელის იუშენკოს გვერდით გამოჩენამ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვიქტორ იუშენკო სრულიად ახალი სახეების დანიშვნაზე საუბრობს, ყოველ შემთხვევაში, განცხადებების დონეზე. "ჩვენ ახალ სახეებს დავეყრდნობით," - ამბობს იგი ტისოვცში (კარპატები) მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე.

ასე რომ, უკრაინის მთავრობის მეთაურის კანდიდატურის განხილვას, სავარაუდოდ, უკრაინის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე მიუბრუნდებიან.

იუშენკოს ინაუგურაცია კი, როგორც უმაღლესი რადას სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი იმედოვნებს, 10-დან 14 იანვრამდე გაიმართება. ამის შესახებ მან კიევში ჩასულ ეუთო-ს ახალ თავმჯდომარეს, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტრი რუპელს განუცხადა.

# აუგუსტო პინოჩეტს მაინც გაასამართლებენ

ჩილეს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი აუგუსტო პინოჩეტი საკმარისად ჯანმრთელია, რათა სასამართლოს წინაშე წარდგეს, ადამიანების მკვლელობისა და გატაცების ბრალდებით.

უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც არ მიიღო პინოჩეტის ადვოკატების აპელაცია იმის შესახებ, რომ 89 წლის გენერალის ფსიქიკური ჯანმრთელობა მას სასამართლოში დაცვის საშუალებას არ აძლევს. ამგვარად, ჩილეს ყოფილი სამხედრო დიქტატორის სასამართლო უფრო მოახლოვდა. თუმცა პინოჩეტის ადვოკატებს კვლავ გააჩნიათ სასამართლოს დაწყების შეჩერების იურიდიული შესაძლებლობა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა სამი ხმით, ორის წინააღმდეგ, გენერლის პოზიციებზე სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს. ჩილეს უზენაეს სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ უნდა მიეღო. ამ გადაწყვეტილებას სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ მსხვერპლის ნათესავები. მიუხედავად იმისა, რომ გენერალი პინოჩეტის წინააღმდეგ რამდენიმეჯერ წამოიწყეს გახმაურებული საქმე, 1973-1990 წლებში (თავისი მმართველობის წლები) მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ბრალდებით, დღემდე ის არ გამოცხადებულა სასამართლოში,. ახლა სასამართლო საქმე ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ კვლავ მოსამართლე ხუან გუმანის ხელში აღმოჩნდება, რომელიც დიდი ხანია, ცდილობს პინოჩეტის სასამართლოში მოხვედრას. დეკემბერში მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ პინოჩეტი საკმარისად ჯანმრთელია, რათა სასამართლოს წინაშე გამოცხადდეს და მისი შინა პატიმრობაში აყვანა დაადგინა. ყოფილ პრეზიდენტს ერთი ჩილელის მკვლელობაში, აგრეთვე ეგრეთ წოდებული ოპერაცია "კონდორის" დროს კიდევ ათი ადამიანის გაქრობაში ადანაშაულებენ. 1970-იან წლებში სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მმართველებმა გადაწყვიტეს ერთობლივად შებრძოლებოდნენ მემარცხენე შეხედულების პოლიტიკურ ოპონენტებს. პინოჩეტის ადვოკატები ამბობენ, რომ სასამართლო პროცესმა შესაძლოა, მას სიცოცხლე მოუსწრაფოს. შობამდე ცოტა ხნით ადრე პინოჩეტი საავადმყოფოდან გამოწერეს, სადაც, სამხედრო ექიმების განცხადებით, ინსულტის შედეგად მოხვდა.



პინოჩეტის სასამართლოს წინაშე წარდგენას დიდი ხანია, ცდილობენ.

### პინოჩეტი და მართლმსაჯულება

1998 წლის ოქტომბერი: დააპატიმრეს ბრიტანეთში, ესპანური ორდერით.

2000 წლის მარტი: არასაკმარისად ჯანმრთელად ცნეს იმისათვის, რომ სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. ბრუნდება სახლში და იწყება ჩილეში მისი სასამართლოში გამოწვევის მცდელობათა სერია.

2000 წლის აგვისტო: უზენაესმა სასამართლომ მას იმუნიტეტი მოუხსნა და მოგვიანებით ჯანმრთელად ცნო.

2001 წლის ივლისი: ბრალდება მოუხსნეს ავადმყოფობის გამო.

2004 წლის დეკემბერი: წამოუყენეს ახალი ბრალდებები.

# იტალია: მაფია უკვდავია?

იტალიის პრეზიდენტმა კარლო კიამპიმ ნეაპოლში ვიზიტის დროს საზოგადოებას მოუწოდა "გაანადგურონ მაფიის კიბოს სიმსივნე". მარტო გასულ წელს, მაფიის ადგილობრივ ჯგუფებს შორის სისხლისმღვრელ ომში 134 ადამიანი დაიღუპა: ბევრ მათგანი - შემთხვევითი გამვლელი. კიამპი ნეაპოლის გარეუბან სკამპიას მოსახლეობის წინაშე გამოვიდა, სადაც მაფიის წევრების განსაკუთრებულად გახმაურებული მკვლელობა მოხდა. პოლიციის ძალისხმევის მიუხედავად, გავლენის სფეროს მოსაპოვებლად მაფიოზური დაჯგუფებების ომი გრძელდება. ნეაპოლში საახალწლო დღეებში სამი მკვლელობა მოხდა. გასული წლის დეკემბერში პოლიციის სპეცოპერაციის შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს. იტალიის სახელმწიფოს მეთაურისთვის, რომლის ფუნქციებიც, ძირითადად, ცერემონიულ ხასიათს ატარებს, იმ ქალაქში გამოსვლა, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ცენტრად ითვლება, - ძალზედ უჩვეულო ნაბიჯად ითვლება. როგორც ჩანს, იტალიის ყველაზე პატივსაცემმა მოღვაწემ დაჟინებით მოითხოვა, რომ სკამპია მისი გამოსვლის გეგმაში შესულიყო. ადგილობრივი მოსახლეობის სამასკაციანი ჯგუფი აღტაცებით შეხვდა მის სიტყვებს: "ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ და ჩვენი საზოგადოების სხეულზე ეს კიბოს სიმსივნე უნდა გავანადგუროთ". შარშან მაფიასთან დაკავშირებული ასზე მეტი მკვლელობა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე კონტროლისთვის ნეაპოლელი დანაშაულებრივი სინდიკატების ბრძოლის შედეგი იყო. გარდა ამისა, იტალიის სხვა რეგიონში, სადაც კვლავ მაფიაა გაბატონებული, სიცილიაში, ცნობილმა მოსამართლემ, რომელსაც სიკვდილით არაერთხელ დაემუქრნენ, ლუკა ტესკაროლიმ განაცხადა, რომ ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს ნებისმიერი სახელმწიფო ჩინოვნიკის განადგურება შეუძლიათ. მისი სიტყვებით, ანალიტიკოსთა დასკვნები, რომ მაფიის მხრიდან საფრთხე მცირდება, მცდარია.

# "კოქტეილების ომს" "კოქტეილების ზავი" მოჰყვა

კუბის ხელისუფლება ევროპის 8 სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას აპირებს. დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან, ავსტრიასთან, საბერძნეთთან, პორტუგალიასა და შვედეთთან ოფიციალურმა ჰავანამ ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობები 2003 წელს გაწყვიტა. იმ დროს ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს საელჩოების მიღებებზე კუბელი დისიდენტების მიწვევა. ევროპული სახელმწიფოების ეს გადაწყვეტილება იყო ერთგვარი საპროტესტო პასუხი ფიდელ კასტროს რეჟიმის 75 პოლიტიკური ოპონენტის დაპატიმრებაზე. ამ დიპლომატიურმა ინციდენტმა შემდგომში "კოქტეილების ომის" სახელწოდება მიიღო. კუბის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დისიდენტებს "აშშ-ს დაქირავებულ პირებად" მიიჩნევდნენ, სერიოზულად გაანაწყენა ევროპელი დიპლომატების ქცევამ. ევროკავშირის ქვეყნების გადაწყვეტილება ჰავანამ "უცერემონიობად" შეაფასა და პრაქტიკულად გაწყვიტა ოფიციალური ურთიერთობები მათთან. ახლა კი, როგორც ჩანს, რაღაც კომპრომისი მაინც მოინახა, რასაც ხელი შეუწყო ევროკავშირის ახალმა გადაწყვეტილებამ - აღარ მიიწვიოს კუბელები საელჩოებში იმის მიუხედავად, დისიდენტი იქნება თუ ხელისუფლების მომხრე. ბრიუსელის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კუბის ხელისუფლებამ უკვე გამოხატა დადებითი დამოკიდებულება. "კოქტეილის ზავს" ხელი არ მოაწერა მხოლოდ ჩეხეთმა და ნიდერლანდებმა. მათ მიაჩნიათ, რომ ფიდელ კასტროს რეჟიმის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება დაუშვებელია. რაც შეეხება თავად დისიდენტებს, ისინი იმედგაცრუებული არიან ევროკავშირის ამგვარი გადაწყვეტილებით. მათი აზრით, ევროპის მხრიდან ასეთი ნაბიჯი კუბის რეჟიმისათვის დათმობას ნიშნავს, რაც გაუმართლებელია. **ბი-ბი-სი**

## ბრძოლა ბელორუსისთვის



დემოკრატიული რევოლუციის დროს კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფ მომიტინგეთაგან ზოგიერთი, დიდი ენთუზიაზმით აღვსილი ახალგაზრდა საერთოდ არ იყო უკრაინელი. ისინი ახალგაზრდული მოძრაობა "ზუბრის" წევრები იყვნენ მეზობელი ბელორუსიდან. გასული წლის ოქტომბერში, გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ მინსკში "ზუბრის" დემონსტრაციები სპეცსამსახურებმა დაარბიეს და "ზუბრის" გამოსვლები ქარის წისქვილებთან ბრძოლას წააგავდა. უკრაინელებმა კი უჩვენეს, რომ ასეთი მოძრაობა წარმატებული შეიძლება იყოს და რომ ავტორიტარიზმის ტალღას, რომელიც მოსკოვიდან მოდის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გავლით, კისერი მოუგრიხო. კიევში მომიტინგე ბელორუს ყმაწვილთა ეიფორია დიდხანს არ გაგრძელებულა. კიევიდან დაბრუნებული "ზუბრის" ლიდერები ბელორუსის საიდუმლო პოლიციის თანამშრომლებმა მატარებლიდან გადმოათრიეს, სასტიკად სცემეს და ადგილობრივ ციხეში შეყარეს. მხოლოდ დასავლელი დიპლომატების დროულმა ჩარევამ გადაარჩინა ისინი გაცილებით უარეს ხვედრს. წარსულში გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც ალექსანდრ ლუკაშენკოს რეჟიმის ოპონენტები უგზოუკვლოდ ქრებოდნენ. ამ ინციდენტმა ახალი იმპულსი მისცა პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც ძალებს იკრებს ბერლინსა და მოსკოვს შორის მდებარე 10 მილიონიან ქვეყანაში, აღმოსავლეთ ევროპის ერთადერთ ქვეყანაში, სადაც ავტოკრატია მართავს სახელმწიფოს.

უკრაინულმა "ფორთოხლისფერმა რევოლუციამ", ალბათ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ამბიციური გეგმები ჩაშალა ახალი იმპერიის შექმნის შესახებ, ისეთი იარაღის გამოყენებით, როგორიცაა გაყალბებული არჩევნები, კონტროლირებადი პრესა და საჩვენებელი დაშინება. ლუკაშენკოს რეჟიმის დამხობა "პუტინიზმს" თვით რუსეთში შეარყევდა.

მას შემდეგ, რაც უკრაინაში პოლიტიკური კრიზისი დასრულდა, დემოკრატიულმა ლიდერებმა კიევიდან ვაშინგტონამდე საუბარი დაიწყეს ბელორუსის შესაძლო გარდაქმნაზე. თავის მხრივ, ლუკაშენკომ ოპოზიციის წინააღმდეგ პრევენციული ზომები მიიღო. პირველ რიგში, შეეცადა ბელორუსში იუშენკოს მეტნაკლებად მსგავსი ეკვივალენტი მოეშორებინა - პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, ელჩი და მთავრობის მინისტრი მიხაილ მარინიჩი. გასულ კვირას 64 წლის მარინიჩს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმ სასაცილო ბრალდებით, რომ თითქოს ის აშშ-ზე ბელორუსის სახელმწიფო საკუთრებას ყიდდა. ლუკაშენკომ უკრაინის მოვლენებიდან გაკვეთილი მიიღო. გაკვეთილი მიიღეს "ზუბრის" აქტივისტებმაც.

რას აკეთებს პრეზიდენტი ბუში? გასული წლის ოქტომბერში მან ხელი მოაწერა ბელორუსში დემოკრატიის აქტს, რომელიც ითვალისწინებს ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას, ბელორუსის დემოკრატიული მოძრაობის მხარდაჭერის ნიშნად. ამერიკის კონგრესმა აღნიშნული აქტი ერთხმად მიიღო. თუმცა, ამ აქტის პირობების მკაცრად შესრულებით, ბუში თავისი "მეგობარი" პუტინის რისხვას არ ასცდება, რომელიც ბელორუსს უყურებს, როგორც უკანასკნელ დარჩენილ ხაზს საგარეო თავდაცვაში. ორი თვის წინ ვაშინგტონი ამ დილემას არაფრად ჩააგდებდა იმ მიზეზით, რომ ბელორუსის ოპოზიცია ნებისმიერ შემთხვევაში სიცოცხლისუუნაროა, მაგრამ "ფორთოხლისფერმა რევოლუციამ" ვაშინგტონს სურათი სხვა კუთხით დაანახა.

*ვაშინგტონ თაიმსი*

## ორი სიტყვით

**ახლო აღმოსავლეთი.** გუშინ პალესტინელმა ექსტრემისტებმა ღაზას სექტორში მდებარე ისრაელის სამხედრო ბაზა "ქასამ"-ის ტიპის რაკეტებით დაცხრილეს. თავდასხმის შედეგად 12 ჯარისკაცი დაიჭრა. მათ შორის მძიმედ დაშავებულებიც არიან. იმავე დღეს ექსტრემისტებმა ორი რაკეტა ისროლეს ისრაელის ქალაქ სდეროტის მიმართულებით. მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. "ქასამ"-ის ტიპის რაკეტები უმართავი რეაქტიული ჭურვებია, რომელთა მოქმედების რადიუსი 5-12 კმ-ია. პალესტინელი ექსტრემისტები ამ იარაღს ისრაელის სამხრეთში მდებარე დასახლებული პუნქტების დასაბომბად ხშირად იყენებენ. **24 საათი**

■ ■ ■

**სამხრეთ ამერიკა.** 16 ადამიანი დაიღუპა და 36 დაშავდა გუშინ ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოდან სამხრეთით 140 კმ-ში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ სან ფერნანდოს მახლობლად ავტობუსი ფეხით მოსიარულეთა ხიდის საყრდენს დაეჯახა. 11 ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ხუთი მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. 6 ჯერჯერობით კვლავ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. წინასწარი ვერსიით, ავტობუსის მძღოლს საჭესთან ჩაეძინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის ქალაქ ჰილში პოლიციის აკადემიასთან დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 25-ზე მეტი დაიჭრა. თვითმხილველთა თქმით, თვითმკვლელი-ტერორისტი, რომელიც დანაღმულ ავტომანქანას მართავდა, აკადემიის შენობის ცხაურს შეეჯახა, რასაც აფეთქება მოჰყვა. აფეთქებამ ოთხი ავტომანქანა და სამი მეზობელი შენობაც დააზიანა. ბაღდადში, ბააქუბაში, ბასრასა და თუზში კი ექსტრემისტებმა პოლიციის განყოფილებებზე მიიტანეს იერიში. შეტაკებებში 18 ადამიანი დაიღუპა. სამარაში აჯანყებულებსა და ეროვნულ გვარდიელებს შორის ბრძოლა 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქალაქ მოსულში მუსლიმ-სუნიტთა მთავარი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე - ომარ მაჰმუდ აბდალა მოკლეს, ქალაქის მახლობლად კი ექსტრემისტებმა სამხედრო ავტომანქანას გაუხსნეს ცეცხლი. შედეგად ერთი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და კიდევ 12 დაიჭრა. მიმომხილველები ექსტრემისტების გააქტიურებას ერაყში 30 იანვრისთვის დანიშნულ საყოველთაო არჩევნებს უკავშირებენ. ტერორისტულმა ორგანიზაციებმა უკვე არაერთხელ გაავრცელა არჩევნების ბოიკოტირების შესახებ განცხადება. ერაყის დროებითი ხელისუფლების ხელმძღვანელმა ღაზი ალ იავარიმ უკვე დააყენა საკითხი გაერო-ს წინაშე იმის შესახებ, რამდენად მართებულია არჩევნების ასეთ პირობებში ჩატარება. თუმცა, ტერაქტების სერიის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრი აიად ალავი შესაძლებლად მიიჩნევს არჩევნების ჩატარებას. მისი თქმით, არჩევნები დადგენილ დროს - 30 იანვარს გაიმართება. **24 საათი**

■ ■ ■

**სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია.** ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე გუშინ სამწუთიანი დუმილით ადამიანებმა პატივი მიაგეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. ზუსტად შუადღისას ევროპის კავშირის წევრი-ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებებზე დროშები დაუშვეს. 3 წუთით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა. უკანასკნელი მონაცემებით, ინდოეთის ოკეანის ზონაში სტიქიურმა უბედურებამ 145 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულთა შორის დაახლოებით 9 000 უცხოელია. ევროკავშირის ქვეყნებს განზრახული აქვთ, ცუნამით დაზარალებული რეგიონების მოსახლეობას 567 მლნ აშშ დოლარი გამოუყონ. სტიქიით დაზარალებულებისთვის ყველაზე დიდ თანხას - 500 მლნ დოლარს იაპონია გამოყოფს, შემდეგ მოდიან აშშ - 350 მლნ დოლარი და კანადა - 66 მლნ დოლარი. **24 საათი**

# ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი მსხვილ გადამხდელებს აჯილდოებს



იური ლობოდინის ფოტო

სოფიკო ოხანაშვილი

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა 2004 წლის ბოლო ექვსი თვის შედეგებით ნავთობპროდუქტების სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელი კომპანიები გუშინ საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

პირველი ადგილი "სულ რაღაც, რამდენიმეათასიანი განსხვავების გამო," "ლუკოილმა" და "კანარგომ" გაინაწილეს. ამიტომ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი "უპატრონოდ" დარჩა, ხოლო მესამე ადგილი 2004 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ბიუჯეტში შეტანილი გადასახადების მოცულობის მიხედვით "ნუკოილმა" დაიკავა.

გამარჯვებულ კომპანიებს სიუხვის ქალღმერთის გამოსახულებიანი თასები ერთი წლით გადაეცათ. მომავალ წელს პრიზებს ახალი "მესაკუთრეები" დაეპატრონებიან.

**"ეს ძალიან დიდი წახალისებაა ამ კომპანიებისთვის, რომ უფრო მეტი თანხები შეიტანონ ბიუჯეტში. ეს დაჯილდოება სისტემატურ ხასიათს მიიღებს და დარწმუნებულები ვართ, რომ ბიუჯეტში შენატანიც საგრძნობლად გაიზრდება",** - განაცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელმა ვანო მთვრალაშვილმა.

"ლუკოილმა" 2004 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ბიუჯეტში 8,7 მილიონი ლარი გადაიხადა, "კანარგომ" - 8,5 მილიონი ლარი, ხოლო "ნუკოილის" მიერ გადახდილმა თანხამ კი ოთხი მილიონ 600 ათასი შეადგინა.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა გუშინ ორ ნომინაციაში გამარჯვებულებიც დაასახელა და სპეციალური სიგელებითაც დააჯილდოვა. "ყველაზე სრულყოფილი სერვისის" ნომინაციაში გამარჯვებულად "კანარგო" დასახელდა, ნომინაციაში "ყველაზე ფართო ქსელი" კი "ნუკოილმა" გაიმარჯვა.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა მთელი წლის განმავლობაში კავშირის ეგიდით ჩატარებულ საქველმოქმედო აქციებში მონაწილე კომპანიებიც არ დაივიწყა და ისინი სპეციალური მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.

# თბილისში საწარმოები 1 იანვრიდან 1 კუბურ მეტრ წყალში 2,2 თეთრს იხდიან

თბილისში მოქმედი საწარმოები და ორგანიზაციები 1 იანვრიდან 1 კუბურ მეტრ წყალში 2,2 თეთრს იხდიან. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, რამდენიმე თვის წინ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, წყლის ტარიფი 1 კუბურ მეტრზე 4.8 თეთრამდე უნდა გაზრდილიყო, თუმცა ბიზნესმენთა ფედერაციისა და თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინტენსიური მუშაობის შედეგად, ტარიფმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და 2,2 თეთრამდე შემცირდა. ამ თანხაში შედის 1.6 თეთრი, რომელსაც დედაქალაქში მყოფი იურიდიული პირი მოხმარებული წყლის საფასურად გადაიხდის, და 0.6 თეთრი, რომელიც "წყალკანალის" ხარჯებისა და დასუფთავების საფასურს წარმოადგენს. "ეს არის ძალზედ სერიოზული შეღავათი, რომელზეც ჩვენ ძალიან აქტიურად ვიმუშავეთ საკრებულოს კომისიასთან ერთად. წყლის ტარიფის გაზრდა ბიზნესს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააგდებდა," - აღნიშნა ისაკაძემ. ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, დედაქალაქის მოსახლეობისთვის წყლის საფასური უცვლელი დარჩა და 1,2 თეთრს შეადგენს. "მოსახლეობისთვის ტარიფის შენარჩუნება იმას ნიშნავს, რომ ის სიმძიმე, რომელიც თითოეულ მოსახლეს უნდა დასწოლოდა, ბიზნესმა თავის თავზე აიღო," - განაცხადა ისაკაძემ.

*ინტერ-პრესი*

**ფონდი "ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**

1. **დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი**
2. **დოკუმენტური ფილმების რეჟისორი**
3. **ოპერატორ/მემონტაჟე**
4. **ტელე-ჟურნალისტი**
5. **რადიო ჟურნალისტი**
6. **ვებ-მასტერი**

კონკურსანტებმა უნდა წარადგინონ:

- რეზიუმე
- მოტივაციის წერილი
- კასეტაზე ჩაწერილი ნამუშევრები

განცხადებების მიღების ბოლო დღეა 20 იანვარი. განცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: პაოლო იაშვილის ქუჩა #14/22, თბილისი, 0105. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს საიტზე: http://www.internews.ge
ტელ: 92-33-95/96/97

# რეპლიკა ხელისუფალთ

*ბოლო წლებია, საქართველოში უმუშევრობა და დაბალი შემოსავლები, როგორც პრობლემა, სიმწვავით, პირველობას არაფერს უთმობს. ქვეყნის მოქალაქეებიც ხელისუფალთაგან ყველაზე მეტის გაკეთებას სწორედ ამ მიმართულებით მოელიან.*

მაკა ჭაიანი

წლების განმავლობაში მოსახლეობის სოციალური დაცვა ჩვენი ხელისუფლებისთვის მიზერული პენსიების, შემწეობების დარიგებითა და მუდმივი ვნებათაღელვის საგნად ქცეული საკურორტო, სამკურნალო თუ სარეაბილიტაციო პროგრამებით შემოიფარგლებოდა. თანხები, რომელიც ამ პროგრამებისთვის გამოიყოფოდა, ასევე მიზერული იყო. აქედან გამომდინარე, ამინდს საქართველოს სოციალურ მდგომარეობაში მათი შედეგები ვერაფრით ცვლიდა; ვერც შეცვლიდა, რადგან ეს იშვიათი და მცირედი მოწყალება, რომელსაც საქართველოს გაჭირვებული მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი იღებდა, სოციალური დაცვის ერთი, თანაც, ცუდად ორგანიზებული ნაწილი გახლდათ.

მთავარი სოციალური დაცვის პოლიტიკაში ისეთი პირობების შექმნაა, რომელიც ადამიანებს - ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მუშაობითა და მიღებული ანაზღაურებით ოჯახის შენახვის თანაბარ შესაძლებლობას მისცემს. ექსპერტები ამგვარ განმარტებასაც არ სჯერდებიან. დასაქმება, მათი დასკვნებით, არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსადმი ადამიანის შრომით ვალდებულებას - დასაქმება უნდა იყოს პიროვნების ინიციატივისა და შრომითი აქტივობის ფუნქცია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ამ საკითხებზე ყურადღება ჯერ კიდევ 1975 წელს გაამახვილა და გენერალურ ასამბლეაზე მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია მიიღო.

კონცეფციის მიხედვით, სოციალური დაცვის ყველა პროგრამა, მთლიანად სოციალური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ინდივიდის უნარებისა და სოციალურ სფეროში მისი აქტივობის ამაღლებას, მათი შესაძლებლობების გამოყენებას მათივე ინტერესებისა და მისწრაფებებისათვის, რა თქმა უნდა, საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით. ამგვარ კატეგორიულობას აქვს თავისი მიზეზები. მეცნიერულადაა დასაბუთებული, რომ ინდივიდზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, არამედ ადამიანის ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობაზე, რადგან საქმე სასურველი ცხოვრებისეული გზის არჩევას ეხება.

მოსახლეობის პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების საერთაშორისო კონცეფციას საქართველო 1992 წლის მოწვევის პარლამენტის მოქმედებისას შეუერთდა. თუმცა, ამ დოკუმენტის ძირითადმა აზრმა - რომ სამუშაო სცილდება მატერიალური უზრუნველყოფის ჩარჩოებს და უმუშევრის, ფაქტობრივად, უსახსროდ დარჩენილთათვისაც კი, ღრმად პიროვნული, ადამიანური თვისებების წინ წამოწევის, განმტკიცების საშუალებად იქცევა - აქ გამოყენება ვერ ჰპოვა. სოციალური დაცვის მთავარი მექანიზმი - მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო ინტერესის საგნად რჩებოდა.

ათეული წელია, ეს უმოქმედობა უსახსრობას ბრალდება. ქართველ ჩინოვნიკთა პროფესიული სიზარმაცის მთავარი საბაბი - მცირე საბიუჯეტო შემოსავლები ამ შემთხვევაშიც "ჯოკერის" როლს ასრულებდა. შარშან ეს ჯოკერი, თითქოს, "გაიჭრა" - პროგრამები, რომელთა განხორციელებაც შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტმა დაიწყო, ამას ადასტურებდა. მის ფარგლებში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების თანამშრომლობით, იმაზე მეტი უმუშევარი დასაქმდა, ვიდრე დასაქმების ფონდმა მთელი თავისი არსებობის პერიოდში დაასაქმა.

მხოლოდ ერთ წელიწადში პროგრამამ საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა მისცა 58 უმუშევარს. თავის მხრივ, მათ, მინიმუმ, ხუთ-ხუთი უმუშევარი დაასაქმეს. 212 უმუშევარი დასაქმდა პროგრამის ე.წ. "მეწარმეთა ნაწილშიც". გასულ წელს ეს მონაცემები უნდა გაზრდილიყო - 2003 წლის ბოლოსთვის უკვე დამტკიცებული იყო უმუშევართა 65 და მცირე მეწარმეთა 35 პროექტი, პროექტების ნაწილი კი განხილვის სტადიაში გახლდათ. იმავე წელს ხორციელდებოდა უმუშევართა სამუშაო ადგილების სუბსიდირების პროგრამა, რომლის ფარგლებში სამსახური მიეცა კიდევ 40 ადამიანს, აქედან - 25 მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელს; რიგში იდგა 36 პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი.

ყველა ამ ადამიანისთვის დეპარტამენის, მისი პარტნიორი "საქართველოს ბანკის" და საკონსულტაციო ცენტრების დახმარებით, იქმნებოდა მუდმივი და არა დროებითი სამუშაო ადგილები არსებულ სამომხმარებლო მინიმუმზე არანაკლები ანაზღაურებით. სახელმწიფოს ეს წარმოუდგენლად მცირე - 1 მილიონ 390 ათასი ლარი უჯდებოდა, შედეგი კი იმაზე მეტი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ამ პროგრამებს დღეს აღარ აფინანსებს. დღეს საქართველოში უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა გზებს ეძებენ.

ძიებაში ცუდი არაფერია, თუმცა არც უკვე გაკვალული გზებით სიარულია ურიგო, თუკი ამ გზას მიზნისკენ მიყავხარ. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე მეტად ფაქიზ საკითხს ეხება - უმუშევრობა ხომ, როგორც ფსიქოლოგიური კვლევები აჩვენებს, ადამიანში მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ აზროვნებას აყალიბებს. ქვეყანას, რომელმაც გუშინ ახალ რეალობაში შეაბიჯა, ნეგატივიზმი კარგ სამსახურს ვერაფრით გაუწევს.

# ჩამოიწერეთ ვალები

ნანა ყაველაშვილი

*"თბილწყალკანალმა" დედაქალაქის მოსახლეობას 2002 წლამდე მოხმარებული წყლის დავალიანების ჩამოწერის ვადა კიდევ ერთი წლით გაუგრძელა. მოქალაქეებს, ვინც უყურადღებობისა თუ მოუცლელობის გამო, ჯერ კიდევ არ ისარგებლა "თბილწყალკანალის" შეღავათით, შეუძლიათ 2005 წლის 31 დეკემბრამდე მიაკითხონ თავისი უბნის წყალგასაღების სამსახურს და დავალიანება ჩამოაწერინონ.*



ვახო ბესელიას ფოტო

*ამ ხალხს ვალების ჩამოწერა არ სჭირდება, ყველა დანარჩენმა მიაკითხეთ წყალკანალს.*

გადაწყვეტილება 2002 წლამდე მოხმარებული წყლის დავალიანების ჩამოწერის შესახებ თბილისის საკრებულომ 2002 წლის 27 ნოემბერს მიიღო. თავდაპირველად ეს შეღავათი მხოლოდ სოციალურად დაუცველ ფენას უნდა შეხებოდა, მაგრამ მოსახლეობის მასობრივი გადახდისუუნარობის გათვალისწინებით, ის დანარჩენ მოქალაქეებზეც გავრცელდა. დავალიანების ჩამოწერის ბოლო ვადად 2003 წლის 1 იანვარი დადგინდა. სულ 15 მილიონი ლარი უნდა ჩამოწერილიყო. მომხმარებელთა პასიურობის გამო, ვადა ორჯერ კიდევ გაგრძელდა, მაგრამ დღემდე მხოლოდ 12,5 მილიონი ლარია ჩამოწერილი.

**"ვერ გეტყვით, მოსახლეობის პასიურობა რისი ბრალია. მიკვირს, რატომ არ სარგებლობენ ამ შეღავათით? ოთხ მილიონზე მეტი ჯერ კიდევ ჩამოსაწერია. გასული წლის 15 ოქტომბერს "თბილწყალკანალის" აღმასრულებელმა დირექტორმა ომარ როინიშვილმა საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების კომისიის თავმჯდომარეს დარჩენილი თანხის უპირობოდ ჩამოწერა შესთავაზა. მაგრამ, საკრებულოს პოზიცია ასეთია: თუ ვინმე "თბილწყალკანალის" შეღავათით არ სარგებლობს და თავის წყალგასაღების სამსახურს არ აკითხავს, ეს მისი პრობლემაა. ეტყობა თვლის, რომ ეს შეღავათი მას არ ეხება. კეთილი ინებოს და გადაიხადოს. "თბილწყალკანალმა" მაინც დაიცვა მოსახლეობის ინტერესები და დავალიანების ჩამოწერის ვადა კიდევ ერთი წლით გააგრძელა",** - ამბობს "თბილწყალკანალის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი გოჩა ჯელია.

"თბილწყალკანალმა" დედაქალაქის მოსახლეობას საახალწლოდ კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა - 29 დეკემბერს ახალი საინფილტრაციო მოედანი ამოქმედდა, რომლის საშუალებით, ახალი წლის დღეებში მომხმარებლებს წყალი საგანგებო რეჟიმში დამატებით მიეწოდებოდათ და დეფიციტი არ უგრძვნიათ. "თბილწყალკანალის" საინფორმაციო სამსახურის უფროსის გოჩა ჯელიას თქმით, დღესასწაულის დღეებში მოსახლეობა ჩვეულებრივზე, თითქმის, ორჯერ მეტ წყალს მოიხმარს.

**"საგანგებო რეჟიმით წყლის მიწოდება მხოლოდ 15-20 იანვრამდე გაგრძელდება, შემდეგ კვლავ ჩვეულ განრიგს დაუბრუნდება",** - ამბობს ის.

# ქალაქის ახალ ბიუჯეტს ლიკანის სუფთა ჰაერზე განიხილავენ

*თბილისის მთავრობას გასული წლის 29 დეკემბერს მიღებული 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის 4-5 იანვრისთვის უნდა წარედგინა. გარკვეული მიზეზების გამო, აღნიშნული დოკუმენტი საკრებულოში ჯერ თვალითაც არ უნახავთ. თუმცა, საკრებულოს წევრებს ამაზე გული არ უნდა დაწყდეთ. ბიუჯეტის პროექტის ბოლო ვარიანტის ხილვა მათ შეპირებულზე ოდნავ გვიან, სამაგიეროდ, საკრებულოს კედლების ნაცვლად, ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში მოუწევთ.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული განმარტავს, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარდგენა იმიტომ გაჭიანურდა, რომ მთავრობის სხდომაზე მისი მიღებისას ბევრი შენიშვნა გამოითქვა და პროექტი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. მთავრობა მისი საკრებულოსთვის გადაცემას 10 იანვარს გეგმავს. საკრებულო ბიუჯეტს, სავარაუდოდ, 18-19 იანვარს დაამტკიცებს. მანამდე კი საკრებულოს წევრებს საშუალება ეძლევათ, პროექტის შესახებ შენიშვნები სამი დღის განმავლობაში ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში გამოთქვან. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბიუჯეტის განხილვის პროცესი მშიდად არც ლიკანის სუფთა ჰაერზე ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, ფრაქცია "მემარჯვენეებს" ოპოზიციური განწყობა ჯერ არ განელებიათ.

"მემარჯვენეებმა" შენიშვნები ჯერ კიდევ ბიუჯეტის პროქტის პირველადი ვარიანტის განხილვისას გამოთქვეს. თუმცა, მათი შენიშვნები პროექტის მეორე ვარიანტის შემუშავებისას არავის გაუთვალიწინებია. მაგალითად:

ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტში სოციალურად დაუცველი ფენისთვის ბაგირგზაზე უფასოდ მგზავრობის ხარჯებისთვის 153 ათასი ლარი იყო გამოყოფილი.

როგორც საბაგირო სამსახური განმარტავს, თბილისში სამი საბაგირო გზა - ვაკე-კუს ტბა, ბაგები - სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი და სამგორი - ვაზისუბანი ფუნქციონირებს. თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ პირველი ორი ამჯერად აღარ მუშაობს. როგორც საბაგირო სამსახურში აცხადებენ, ვაკე-კუს ტბის საბაგირო გზაზე რემონტდება და მარტამდე არ იმუშავებს. "მემარჯვენეები" მთავრობისგან მოითხოვდნენ, გაერკვია, წლის განმავლობაში ნახევრად უფუნქციო საბაგირო გზებით მოსიარულეთა კომპენსაციისთვის 153 ათასი ლარი რამდენად საჭირო იყო. თუმცა, ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და ბაგირგზაზე უფასოდ მგზავრობისთვის კვლავ 153 ათასი ლარი დევს.

პროექტის პირველად ვარიანტში პენსიებზე სამლარიანი დანამატისთვის 6 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. 2003-2004 წლების ბიუჯეტში კი, ამ მიზნით 651 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. **"გაურკვეველია, მომავალი წლის ბიუჯეტში თანხა რატომ მცირდება, როცა პენსიონერთა რაოდენობამ, შარშანდელთან შედარებით, წელს, პირიქით, იმატა", - აცხადებდნენ "მემარჯვენეები".** მართლაც, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, შარშან თბილისში 164 313 პენსიონერი იყო რეგისტრირებული, წელს კი ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ მათი რაოდენობა 167 071-მდე გაიზარდა. ბიუჯეტის პროექტის ახალ ვარიანტში ეს პრობლემა იოლად მოგვარდა - პენსიებზე სამლარიანი დანამატისთვის განკუთვნილი თანხა ბიუჯეტიდან საერთოდ ამოვარდა. თემურ ქურხული განმარტავს, რომ პენსიები 28 ლარამდე გაიზარდა, ამიტომ ბიუჯეტიდან თანხის დამატება საჭირო აღარ გახდა.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში ახალგაზრდობის ღონისძიებებისათვის 300 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. თუმცა, არ იყო დაზუსტებული, რა ღონისძიებისთვის რა თანხა უნდა დახარჯულიყო. იგივე მდგომარეობაა პროექტის ახალ ვარიანტშიც. არადა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების მიხედვით, 2004 წლისა და შემდგომი წლების ბიუჯეტების ხარჯები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მიზნობრივი პროგრამის სახით - ანუ ბიუჯეტში ყოველი თეთრის მიმართულება დაზუსტებული უნდა იყოს. როგორც პრემიერი გვამშვიდებს, ლიკანში სამდღიანი გასვლა ყველა ხარვეზს ამოავსებს: **"ბიუჯეტის პროექტი ჯერ კიდევ იხვეწება. საკრებულოს წევრების შენიშვნებსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ. ბიუჯეტიდან არც ერთი პროგრამა ერთი თეთრითაც არ დაფინანსდება, თუკი თანხები მიზნობრივად არ იქნება გაწერილი. ეს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტსაც ეხება - სანამ მიზნობრივ პროგრამას არ წარმოადგენს, ბიუჯეტიდან ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის თანხა არ გამოიყოფა".**

# გენერალური პროკურატურა თავდაცვის მინისტრის დავალებას ასრულებს

*დადგება თუ არა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ამაზე პასუხის გასაცემად, გენერალურ პროკურატურას 20-დღიანი ვადა მიეცა. გენერალური პროკურატურა თავდაცვის ახალი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გუშინწინ მიცემული ოფიციალური დავალების შესრულებას გუშინ უკვე შეუდგა. ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა და ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თავდაცვის სისტემაში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებული მასალები გენერალურ პროკურატურას თავდაცვის მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში გადაუგზავნა. გუშინწინ კი, კორუფციაში ეჭვმიტანილ, თავდაცვის სამინისტროს იმ ზოგიერთ მაღალჩინოსანთა გვარ-სახელები ჩამოთვალა, ვისი საპყრობილეში ხილვაც სურს.*

ერთი სიტყვით, ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალურ პროკურატურას თავდაცვის უწყებაში არსებული ფინანსური დარღვევების შესწავლა, ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილ დამნაშავეთა გამოვლენა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა მოსთხოვა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქმე ეხება ყაზარმების მშენებლობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ დარღვევებს და კორუფციის ფაქტებს, რომელშიც თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი, ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვასილ მარგალიტაძე, მისი მოადგილე მერაბ ხიდაშელი და დავით თევზაძის მინისტრობის დროინდელი ლოგისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე თემურ ლორია მონაწილეობდნენ. ოქრუაშვილის განმარტებით, სამხედრო ყაზარმებში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე, რეალურად, ნაკლები თანხებია დახარჯული, ოფიციალურ დოკუმენტებში კი "გაბერილი" ციფრებია მითითებული.

აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმეები თავდაცვის ყოფილი მინისტრების, დავით თევზაძისა და გიორგი ბარამიძის წინააღმდეგ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ირაკლი ოქრუაშვილი გენერალურ პროკურატურას ანდობს. **"ეს საკითხი გენერალური პროკურორის გადასაწყვეტია,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი.

როგორც უკვე გითხარით, გენერალურმა პროკურატურამ თავდაცვის მინისტრის მიერ მიწოდებულ მასალებზე მუშაობა გუშინ დაიწყო. როგორც გენერალურ პროკურატურაში განგვიმარტეს, შექმნილია ერთობლივი კომისია, რომელშიც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების გარდა, ფინანსური პოლიციისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები ერთიანდებიან.

**"თავდაცვის მინისტრის მიერ მოწოდებულ მასალაზე მოკვლევა დავიწყეთ, მინისტრის მიერ დასახელებულთაგან ჯერ არავინ დაგვიკითხავს. ჯერჯერობით, დოკუმენტაციის გაცნობის პროცესი მიმდინარეობს, საქმეში ექსპერტებიც ჩაერთვებიან. მართალია, თავდაცვის სისტემაში სამშენებლო სამუშაოებისა და შესყიდვების კუთხით არსებული დარღვევების შესწავლა უკვე დავიწყეთ, თუმცა, სისხლის სამართლის საქმე, ჯერჯერობით, აღძრული არ არის. მოკვლევის დასრულების შემდეგ გაირკვევა, თავდაცვის ახლანდელი მინისტრის მიერ დასახელებული პირების გარდა, დადგება თუ არა თავდაცვის ყოფილი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხიც. გენერალურ პროკურატურას ამ ყველაფრისთვის კანონით განსაზღვრული ვადა აქვს,"** - განგვიცხადეს გენერალურ პროკურატურაში.

მოკლედ, როგორ გადაწყვეტს გენერალური პროკურატურა იმ პირების ბედს, რომელთა ნახვაც უახლოესი ერთი თვის განმავლობაში თავდაცვის მინისტრს საპყრობილეში სურს, მათი ახლობლებისა კი - "პერედაჩების" რიგში, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, მოკვლევის დასრულების ბოლოს, გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს, სავარაუდოდ, ყველა იმ პირის მიმართ აღძრავს, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილმა ფინანსურ მაქინაციებში მონაწილედ დაასახელა. წინასწარი ინფორმაციითვე, მათი რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს კიდეც.

სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის - ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" - წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი, რომელმაც მუხროვანის ინციდენტის გამო დატოვა ომბუდსმენის ოფისი, თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში ადანაშაულებს.

**"მუხროვანიდან ახალწვეულების გაქცევის შეფასებისას მე სამხედრო ნაწილში არსებულ მძიმე სოციალურ პირობებზე ვსაუბრობდი. მაშინ თავდაცვის მინისტრი ირწმუნებოდა, რომ მუხროვანში ჯარისკაცებისთვის სასურველი პირობები იყო, მისი ბოლო განცხადება კი იმის აღიარებაა, რომ ყაზარმები მხოლოდ გარედანაა ლამაზი. სწორედ ამიტომ ვთქვი მაშინ, საქართველოში ტელესამხედრო ნაწილები შენდება-მეთქი,"** - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი. მისი აზრით, თავდაცვის მინისტრს გამოძიების დასრულებამდე კორუფციაში ეჭვმიტანილი სამხედრო მაღალჩინოსნების გვარების დასახელებისგან თავი უნდა შეეკავებინა. სესიაშვილისვე განმარტებით, **"თავდაცვის მინისტრის განცხადება ზეწოლას ჰგავს იმ სტრუქტურაზე, რომლის ხელმძღვანელიც თავად იყო."**

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია - პარლამენტარის ძმის წინააღმდეგ, პარლამენტარი - ფინანსური პოლიციის წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც ფინანსურმა პოლიციამ პარლამენტარ ბეჟან გუნავას ძმის, ბიზნესმენ გოჩა გუნავას წინააღმდეგ გადასახადების დამალვისა და თანხების მითვისების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მასზე ძებნა გამოაცხადა, ძებნილის ძმა ფინანსური პოლიციის უფროსს უპირისპირდება და დავით კეზერაშვილს დევნასა და ზეწოლაში ადანაშაულებს.

პარლამენტარის განცხადებით, დავით კეზერაშვილი მას დაემუქრა, როდესაც გაზეთ "ასავალ-დასავალში" რამდენიმე თვის წინათ, გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც ბეჟან გუნავა ფინანსური პოლიციის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე საუბრობდა. კერძოდ კი, გუნავას ინფორმაციითვე, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა იმ ფირმებს, რომლებიც ტრანზიტითა და ექსპორტით არიან დაკავებულნი, გარკვეული თანხების რაღაც ანგარიშებზე გადარიცხვა მოსთხოვეს.

**"ამის შემდეგ, დამირეკა ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის უფროსმა და დამემუქრა. მან ახსენა კომპანიები "მეგაჩაი" და "მეგაფლოტი." ეს იყო მინიშნება, რომ თუ მე არ გავჩერდებოდი, ისინი ჩემს ძმას დაიჭერდნენ. ჩემი ძმა არის დამოუკიდებელი პიროვნება და ვიცი, რომ იგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჩაიდენდა,"** - ირწმუნება ბეჟან გუნავა.

თავად დავით კეზერაშვილი ბეჟან გუნავას ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

ძებნილად გამოცხადებული გოჩა გუნავა ფირმა "მეგაფლოტის" დამფუძნებელია. ეს ფირმა, აშშ-ს საელჩოსთან შეთანხმებით, ხელშეკრულებით საზღვრის დაცვის დეპარტამენტისათვის გემებს არემონტებდა. ასრულებდა აგრეთვე სხვა სამუშაოებსაც. **"როდესაც მოვითხოვეთ დოკუმენტაცია ამ ფირმის საქმიანობის შესახებ, მათ ეს დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს, გვითხრეს, რომ ოფისი გემში ჰქონდათ, ხოლო გემი ჩაიძირა. ჩვენ მოვიპოვეთ მასალები და შუალედური აქტით აღვძარით საქმე. ძიებისას ორი დამალული ანგარიშიც გამოვლინდა. შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში გოჩა გუნავას შეძენილი ჰქონდა "მეგაჩაი." როდესაც "მეგაჩაის" შემოწმება დავიწყეთ, გაირკვა, რომ ამ ფირმას ჰყავდა მომჩივანი მეჩაიეები. მათ ჩაბარებული ჰქონდათ ჩაი და საფასურის ანაზღაურებას ითხოვდნენ. საუბარია 1999-2004 წლებზე. 2000-2003 წლებში კი გოჩა გუნავას ძმა, ბეჟან გუნავა ზუგდიდის საგადასახადო სამსახურის უფროსი იყო,"** - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის უფროსი კახა კაკაბაძე. მისივე განმარტებით, ამჟამად გოჩა გუნავას მიმართ სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლითაა აღძრული. მას ფინანსური პოლიცია 35 ათასი ლარის მითვისებასა და 60 ათასი ლარის ოდენობის გადასახადებისაგან თავის არიდებაში ედავება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში მცხოვრები, 72 წლის შუშანა მშვილი საკუთარ სახლში მოკლეს. თავდამსხმელებმა იგი გააუპატიურეს და 72 ლარი გაიტაცეს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, უკვე დაკავებულია ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი ორი მოზარდი, რომლებიც იმავე სოფლის მცხოვრებნი არიან. ეჭვმიტანილთა ვინაობას სამართალდამცავები არ ახმაურებენ. შუშანა მშვილის გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა ადგენს. სავარაუდოდ, იგი ბლაგვი საგნით არის მოკლული. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, ღამით, კახეთის გზატკეცილზე მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. წინასწარი ინფორმაციით, დიდი სიჩქარით მიმავალი "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა ბენზინგასამართ სადგურის, "პეტროლ ლუქსის" სამრეცხაოს კედელს შეეჯახა. ავტოავარიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. ავტომანქანის მძღოლი ზურაბ უგრეხელიძე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მგზავრი იმედა მიქაცაძე საავადმყოფოში მიყვანამდე დაიღუპა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ავარიის მიზეზი ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობა ყოფილიყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ 2004 წლის 28 დეკემბერს ყაჩაღობისათვის დაკავებული გიორგი კილაძე სინამდვილეში, მკვლელობის მცდელობისთვის ოზურგეთის შს რაიგანყოფილების მიერ ძებნილი, მოქმედი ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, 27 წლის გიორგი ბარბაქაძე აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცეცხლსასროლი იარაღდან გულმკერდში მიყენებული ჭრილობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს 27 წლის თორნიკე ერისთავი. როგორც სამართალდამცავებმა გაარკვიეს, ერისთავმა თავის საცხოვრებელ კორპუსთან საფანტის პისტოლეტიდან გასროლით მიიყენა ჭრილობა. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**




## მოკლედ

### უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების წევრებზე ყოველთვიური დანამატი გაიცემა

2005 წლის იანვრიდან უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების წევრები შრომის ანაზღაურებასთან ერთად ყოველთვიურ დანამატს მიიღებენ. "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველზე მოსამართლეთა სახელფასო ანაზღაურების ყოველთვიური დანამატის ოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოადგილეებსა და წევრებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათი თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის არანაკლებ 90 პროცენტის ოდენობით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს მიეცემა შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატი მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს - სასამართლოს თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური დანამატის 50 პროცენტის ოდენობით. *ინტერ-პრესი*

### "რევოლუცია პოლიციას და პროკურატურას არ შეხებია"

2003 წლის 4 ივლისს ხაშურში, ავტოავარიის ფაქტზე დაკავებული კახა ჯავახაძის ადვოკატი მაკა შეროზია აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკვე წელიწადნახევარია, რაც უკანონო პატიმრობაში იმყოფება და რომლის საქმის განხილვა თბილისის საოლქო სასამართლოში დღეს უნდა დაიწყოს. ადვოკატისვე თქმით, ეჭვმიტანილის დაკავებას თან ახლდა არაერთი პროცესუალური კანონდარღვევა.

**"ჯავახაძეს ბრალი ედება ყაჩაღობასა და ადამიანის გატაცებაში, თუმცა პროკურატურას მის წინააღმდეგ სამხილი არ აქვს,"** - აცხადებს ადვოკატი.

მაკა შეროზიას თქმით, 2003 წლის 4 ივლისს ხაშურში მოქალაქე კახა ჯავახაძე ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით დააკავეს. მეორე დღეს იგი თბილისში, პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს, რა დროსაც მის მიმართ ეჭვმიტანილად ცნობის, ბრალის წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების კანონით გათვალისწინებული ვადები დაირღვა. ადვოკატის განცხადებით, მოგვიანებით, ჯავახაძეს ბრალი დაუმძიმეს და ყაჩაღობისა და ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლებიც წარუდგინეს, თუმცა დაზარალებული საქმეში დღემდე არ ჩანს, მოწმეები კი ბრალეულობის დამადასტურებელ ვერანაირ არგუმენტს ვერ ასახელებენ. გარდა ამისა, შეროზიას მტკიცებით, საგამოძიებო საქმეში მითითებულ მისამართზე (გელათის ქ. N8), სადაც თითქოს ჯავახაძის მიერ გატაცებული პიროვნება უნდა ცხოვრობდეს, შენობა საერთოდ არ არსებობს. მისივე განცხადებით, ადამიანის გატაცებაზე აღძრული საქმის გამოძიება პოლიციის საგამოძიებო ნაწილში მოხდა და პროკურატურას საქმე არ გადასცემია.

**"ჯავახაძე წარსულში ნასამართლევია და პოლიციას მისი დაპატიმრება გაუხსნელი დანაშაულების მასზე გადაბრალების მიზნით აწყობდათ,"** - ამბობს ადვოკატი, რომელიც ჯავახაძეს უკანონო პატიმრად მიიჩნევს, მის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ადვოკატი აცხადებს, რომ **"ვარდების რევოლუცია ტყუილად მოხდა, რადგან იგი პოლიციას და პროკურატურას არ შეხებია."** *24 საათი*

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი

საკონტაქტო ტელეფონი

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# სახელმწიფოებრივი განვითარების საზოგადოებრივი საფუძვლები

გიორგი შაქარიშვილი

*სოციალური პოლიტიკის დოქტორი (ოქსფორდის უნივერსიტეტი); ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი (ბოსტონის უნივერსიტეტი). ამჟამად მოღვაწეობს ვაშინგტონში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის საკითხების ექსპერტი.*

უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში, უფრო ზუსტად კი 1918 წლის შემდგომ, საქართველო უკვე მეხუთედ იმყოფება სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ისეთ გარდამტეხ ზღვარზე, როდესაც კიდევ ერთხელ დგება დღის წერსიგში წინა ხელისუფლებისგან მიღებული მემკვიდრეობის რადიკალური შეცვლა და ქვეყნის მომავალი განვითარების სრულიად ახალი სტრატეგიული მიმართულების შემუშავება- განხორციელება. ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, იდეოლოგიური ორიენტაციის, სახელმწიფოებრივი მოწყობის და პოლიტიკური მართვის ცვლილების ძირითადი ფაქტორი სხვადასხვა პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ჯგუფების არსებობაა. თვით ცვლას კი ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ამ პოლიტიკურ ჯგუფთა შორის კონკურენციის პირობებში, ერთ-ერთი მათგანის მიერ ქვეყნის მომავალი განვითარების ხედვა, ძლიერ საზოგადოებრივ მხარდაჭერას ჰპოვებს. ამის პარალელურად კი, არსებული ხელისუფლების ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსი იმდენად მცირდება, რომ არასაკმარისი აღმოჩნდება ოპოზიციისადმი ჯანსაღი კონკურენციის გასაწევად.

მცირე გამონაკლისების გარდა, რევოლუციები, ყოველ შემთხვევაში რევოლუციონერთა პერსპექტივიდან მაინც, ქვეყნის განვითარების მიზნებს ემსახურება. მსოფლიო ისტორიაში მრავლადაა წარმატებული რევოლუციების მაგალითები, როდესაც პოსტ-რევოლუციური პერიოდი აშკარად უფრო პროგრესული ხდება ქვეყნის რევოლუციამდელ განვითარებასთან შედარებით. თუმცა ასევე მრავლადაა საწინააღმდეგო მაგალითებიც. ასეა თუ ისე, ყოველი რევოლუციის შედეგების შეფასება მხოლოდ ხანგრძლივი პერსპექტივიდან შეიძლება იყოს ობიექტური, ანუ რევოლუცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს არა იმდენად რევოლუციის გამარჯვების, რამდენადაც ხანგრძლივი და მდგრადი პოსტ-რევოლუციური პროგრესის არსებობის შემთხვევაში. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართული რევოლუციის შედეგების სრულყოფილი შეფასება, მის დებიუტში მიღწეული წარმატებების თუ კრიტიკის მიუხედავად, ალბათ, ჯერჯერობით, ნაადრევია, თუმცა შესაძლებელია, ერთი ვარაუდის დაშვება - წარმატების მიღწევის ალბათობა გაცილებით მოიმატებს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მმართველობის პროცესში გათვალისწინებული იქნება ემპირიულ ანალიზზე დაფუძნებული მტკიცებითი არგუმენტები, ანუ, როდესაც მმართველობითი გადაწყვეტილებების ძირითადი საფუძველი იქნება ობიექტური ანალიტიკურ-კვლევითი ინფორმაცია, და არა მხოლოდ გარკვეული კონიუნქტურული თუ პოლიტიკური მოსაზრებები. ამგვარი ინფორმაციის გენერირებისთვის მთავრობები ხშირად მიმართავენ ანალიტიკურ და აკადემიურ ჯგუფებთან თანამშრომლობას. ამგვარი ჯგუფების დეფიციტი, არც რაოდენობრივი და არც ხარისხობრივი თვალსაზრისით, საქართველოში არ იგრძნობა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია გამოეხმაუროს საქართველოში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე კოლეგების საქმიანობას და განსახილველად შესთავაზოს მოსაზრება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა საზოგადოებრივი ფასეულობების როლი სახელმწიფოებრივი განვითარების კონტექსტში.

თვით თემატიკის სირთულიდან გამომდინარე, ამ პუბლიკაციის მიზანი არ შეიძლება იყოს საკითხის ყოვლისმომცველი და საფუძვლიანი ანალიზი. ამგვარი ანალიზი საჭიროებს ბევრად უფრო მეტ ინტელექტუალურ თუ დროის რესურსს, ვიდრე ეს ერთ ნებისმიერ ავტორს შეიძლება ხელთ ჰქონდეს. იდეალურ შემთხვევაში, ამგვარი ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი დისკუსიის და მიზანმიმართული აკადემიური კვლევითი სამუშაოს პირობებში. ამ პუბლიკაციის მიზანია მხოლოდ ავტორისეული პოზიციის დაფიქსირება ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და, თუკი ეს პუბლიკაცია სხვა ავტორთა გამოხმაურებას ჰპოვებს, განურჩევლად ამ უკანასკნელთა აქ გამოხატულ პოზიციასთან თანხვედრისა თუ წინააღმდეგობისა, პუბლიკაციის მიზანი მიღწეულად ჩაითვლება.

ამჟამინდელ პოსტრევოლუციურ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის პროცესში ხელისუფლებისთვის თანაბრად აუცილებელია ორი მიმართულებით მუშაობა. ერთი უნდა იყოს მყისიერ შედეგებზე გათვლილი სწრაფი და ეფექტური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დროის უმცირეს მონაკვეთში კონკრეტულ შედეგებს გამოიღებენ და, შესაბამისად, არა მხოლოდ ხელს შეუწყობენ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ, ასევე, განამტკიცებენ მოსახლეობის რწმენას მიმდინარე ცვლილებების მიმართ. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამგვარ მყისიერ ეფექტებზე გათვლილი გადაწყვეტილებები მხოლოდ დროებითი მოვლენა თუ იქნება. ამის პარალელურად კი უნდა მიმდინარეობდეს ხანგრძლივი და შენარჩუნებადი სტრატეგიული კურსის შემუშავება, რომელიც აკომპანირებული იქნება განხორციელების კონკრეტული გრაფიკით და უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალური და ჰუმანური რესურსებით. განვითარების ამგვარი ხანგრძლივი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმის გარეშე სახელმწიფოებრივი მმართველობა სხვადასხვა გარე ფაქტორებისა თუ ქვეყნის შიგნით არსებულ გარკვეულ ჯგუფთა ინტერესების ზეგავლენის ქვეშ მოექცევა და, საბოლოო ჯამში, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ მოახდინოს ყველა გარე თუ შიდა ფაქტორის ქვეყნის სტრატეგიის სასარგებლოდ უტილიზება, მოხდება სუსტად დამკვიდრებული სტრატეგიული კურსის ხშირი ცვლა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ფაქტორის ზეგავლენა აღმოჩნდება უფრო ძლიერი. სწორედ ხელისუფლებათა მიერ ამგვარი ხანგრძლივი სტრატეგიის არქონის გამო, მე-20 საუკუნეში საქართველოში მომხდარი ოთხი რევოლუციიდან, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად მდგრადი.

1918 და 1991 წლებში ხელისუფლებაში ახალი მთავრობების მოსვლა მნიშვნელოვნად განპირობებული იყო რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პერიპეტიებით. ორივე ეპიზოდში მოვლენათა განვითარება იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლა თვით ამ მთავრობებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა. ამიტომ, ძლიერი ეროვნული ემოციური მუხტის აღზევების მიუხედავად, მათ ვერ მოახერხეს კონკრეტულად ჩამოეყალიბებინათ და სათანადოდ დაემკვიდრებინათ ეროვნულ იდეოლოგიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ქვეყნის ხანგრძლივი განვითარების სტრატეგია. სწორედ ამიტომ, ქართული ხელისუფლების ამ ორი თაობის პოლიტიკური ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა, მათი მემკვიდრეობის შესახებ კი დღემდე არაერთგვაროვანი შეფასებები არსებობს.

1921 წელს მოსული ხელისუფლება უფრო ეფექტური გამოდგა ამ თვალსაზრისით - მან მოახერხა ქვეყნის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიის დამკვიდრება და თავისთვის სასარგებლოდ განახორციელა იგი. ოღონდ, ქართული საზოგადოების სამწუხაროდ, განვითარების ეს მიმართულება იყო გარედან თავს მოხვეული და ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკურად აქტიური და უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ არა პატრიოტული ჯგუფების მიერ წარმატებულად განხორციელებული სტრატეგია. თუმცა, როგორც დროთა განმავლობაში გამოჩნდა, ამ სტრატეგიის საქართველოში განხორციელება უფრო მეტად იყო განწირული დამარცხებისთვის, ვიდრე იქ, სადაც ის ჩაისახა, რადგან ძალმომრეობითი მმარველობისადმი დამორჩილება ქართულ ტრადიციულ ფასეულობებთან უფრო ნაკლებად შეთავსებადი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომაც, ქართველი ერი იყო ის, რომელმაც სხვებზე უფრო აქტიურად უარყო კომუნისტური რეჟიმისადმი მორჩილება, ამ რეჟიმის აღზევების პერიოდშიც კი. ხოლო როგორც კი სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო რეჟიმის უძლეველობას საფუძველი შეერყა, ისევ საქართველომ ითამაშა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი რეჟიმის საბოლოო რღვევის დაწყებაში.

1993 წელს მოსული ხელისუფლების პირველადი ამოცანა იყო არა იმდენად საკუთრივ ქვეყნის სტრატეგიული ორიენტაციის და განვითარების გეგმის შემუშავება, რამდენადაც, პირველ რიგში, საკუთარი თავის გამიჯვნა იმ უაღრესად არაპოპულარული იდეოლოგიური მემკვიდრეობისგან, რომლის ნაწილი თვითონაც გახლდათ. ამ ხელისუფლების პოლიტიკურ ქმედებებში საკმაოდ მაღალი კონცენტრაციით იყო შეზავებული, და ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს გადამწყვეტ როლსაც თამაშობდა, ბუტაფორიული დემოკრატიულ-ლიბერალური აზროვნება, დაფუძნებული უფრო მეტად მყისიერ ოპორტუნისტულ გარემოებებზე, ვიდრე საფუძვლიანად აღქმულ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ფასეულობებზე. ის, რომ დემოკრატიული აზროვნება ამ მთავრობის მიერ ვერ იქნებოდა ფუნდამენტურად გააზრებული, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ხელისუფლების ამ თაობის წარმომადგენლებს, გამომდინარე მათი პიროვნული, პროფესიული თუ იდეოლოგიური განვითარების დროისა და სივრცისა, ობიექტურად არ შეეძლოთ ბოლომდე გათავისებული ჰქონოდათ მმართველობის, ან თუნდაც შრომის ორგანიზაების, ჭეშმარიტად დემოკრატიული ელემენტები. სწორედ ამიტომაც, ხელისუფლების ამ თაობის ხანგრძლივი დამკვიდრებაც ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა. კომუნისტური ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ რესურსს ფლობდა, და რომლის საშუალებითაც შეძლო მმართველობის რამდენიმე ათწლეულით შენარჩუნება, ხელისუფლების ამ თაობისთვის საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივების ძირითად ინსტრუმენტად იქცა ისეთი ხანმოკლედ მოქმედი საშუალებების გამოყენება, როგორიც იყო ჯერ ლიბერალური მსოფლმხედველობის ფსევდო-დემონსტრირება, შემდგომ კრიზისული სიტუაციების და/ან სხვადასხვა ხარისხის და მასშტაბის შიდა-პოლიტიკური თუ საერთაშორისო ინტრიგების ინსცენირება, უსაფუძვლო და შეუსრულებადი, მაგრამ დამაჯერებლად ფორმულირებული დაპირებების უხვად დარიგება და ა. შ. დღევანდელი გადასახედიდან ამ ხელისუფლების მოღვაწეობა, თუ მისი სრული პერიოდი არა, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი რამდენიმე წელი მაინც, შეიძლება შეფასდეს, როგორც მართვა მართვისთვის და არა მართვა განვითარებისთვის. ბუნებრივია, ამგვარი არაეფექტური მართვის პირობებში, საზოგადოებაში მოხდა უარყოფითი მუხტის აკუმულირება, რომლის ადრე თუ გვიან კალაპოტიდან გადმოსვლა სავსებით ლოგიკური კანონზომიერება უნდა ყოფილიყო.

და, აი, 21-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც საზოგადოებას შესთავაზა ქვეყნის განვითარების ახლებური ხედვა, რომელსაც თან მოჰყვა ინსტიტუციონალური, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო რეფორმების თავბრუდამხვევი ტემპი. ამგვარი დინამიური მოქმედება თავისთავად მისასალმებელი ტენდენციაა, რადგან ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას სწორედ ეფექტური და ენერგიული ღონისძიებები ესაჭიროება. ამასთან ერთად, საზოგადოებამ, რომელმაც საკუთარი კეთილდღეობის დისკომფორტი გააიგივა წინა ხელისუფლების უმოქმედობასთან, მხარი დაუჭირა მაშინდელ ოპოზიციას სწორედ იმ მოლოდინით, რომ დაიწყებოდა სწრაფი და აქტიური ცვლილებები. მაგრამ, მოვლენათა განვითარების ამგვარ კონტექსტში ბუნებრივად ისმის კითხვა - რა შესაბამისობაშია საზოგადოების სურვილი, განხორციელდეს სწრაფი და რადიკალური ცვლილებები, ამავე საზოგადოების უნართან, თვითონაც განიცადოს ისეთი სწრაფი ტრანსფორმაცია, როგორსაც მოითხოვს მიმდინარე სახელმწიფოებრივი რეფორმა? ამ შეკითხვის მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ, თუკი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების პროცესები ერთმანეთის პარალელურად არ წარიმართა, შეიძლება შეიქმნას საშიშროება, რომ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სისტემა ნაკლებად შეთავსებადი აღმოჩნდეს საზოგადოებრივ ღირებულებებთან, რაც, თავისთავად, ამგვარი სისტემის მდგრადობას შეუშლის ხელს.

**რევოლუცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს არა იმდენად რევოლუციის გამარჯვების, რამდენადაც ხანგრძლივი და მდგრადი პოსტ-რევოლუციური პროგრესის არსებობის შემთხვევაში.**

**საბოლოო ჯამში, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ მოახდინოს ყველა გარე თუ შიდა ფაქტორის ქვეყნის სტრატეგიის სასარგებლოდ უტილიზება, მოხდება სუსტად დამკვიდრებული სტრატეგიული კურსის ხშირი ცვლა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ფაქტორის ზეგავლენა აღმოჩნდება უფრო ძლიერი.**

ქართულ სინამდვილეში, მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოსახლეობა, თავისი საზოგადოებრივი ფასეულობების მიხედვით, საკმაოდ არაერთგვაროვანია, რასაც საკუთარი ისტორიული მიზეზები გააჩნია. ქართული სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე მისი გეო-სტრატეგიული მდებარეობა ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა. პატარა ქვეყნის კონტინენტთაშორისი მდებარეობა, რაც ლოგიკურად მეტად სასარგებლო უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, სინამდვილეში კატასტროფულად საზიანო აღმოჩნდა, იმის გამო, რომ საქართველოს მიერ დაკავებული ტერიტორია მთელი ისტორიის განმავლობაში მუდამ ექცეოდა ყოველი ახლადაღმოცენებული იმპერიის ინტერესთა სფეროში და შესაბამის ოკუპაციას განიცდიდა. საქართველოს ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სხვადასხვა იდეოლოგიების, ცივილიზაციების და კულტურების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. შორეულ წარსულში ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენებული მართლმადიდებლური ქრისტიანული ბაზისი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა არაბულ და მონგოლურ, შემდგომ ისლამისტურ ზეგავლენას, რასაც მოჰყვა ცარისტული რუსეთის საშუალებით ევროპულ კულტურასთან ზიარება, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ისტორიული თვალსაზრისით ხანმოკლე, მაგრამ ძლიერად თავსმოხვეული საბჭოთა იდეოლოგიით. და ბოლოს, მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოს მოსახლეობა ექცევა თანამედროვე, გლობალისტურ-კორპორატიული მენტალიტეტის ზეგავლენის ქვეშ.

ყველაზე თვალშისაცემად, ისტორიულ კონტექსტში გარემო ფაქტორების ხშირი მონაცვლეობის აღქმა, შეიძლება შესაბამისი პერიოდების არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე თვალის გადავლებით. თბილისი, ალბათ, ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც სულ რამდენიმე კილომეტრის რადიუსში შეიძლება ინახოს შენობები ადრეული საუკუნეების ბიზანტიურ-ქრისტიანული დეტალებით, თურქული აბანოების გუმბათებით, დასავლურ-ევროპული ბაროკოს სტილის ჩუქურთმებით, საბჭოთა ხრუშჩოვკებით და თანამედროვე მეტალო-მინის კონსტრუქციებით. ისევე, როგორც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, ქვეყანაში დომინირებადმა სხვადასხვა სახის იდეოლოგიურმა თუ კულტურულმა ზეგავლენამ თვალხილული კვალი დაამჩნია ქვეყნის ფიზიკურ ლანდშაფტს. ასეთივე მრავალფეროვანი, თუმცა თვალით უხილავი ტრანსფორმაცია განიცადა საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივმა ფასეულობებმაც. დღევანდელი რიგითი ქართველი, თავისი კულტურული, ტრადიციული თუ ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით, არის ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ტრადიციული ქართული ზნე-ბუნებრივი თვისებები სხვადასხვა დოზით არის შეზავებული ახლო აღმოსავლური კონსერვატიზმით, ევროპული ლიბერალიზმით, საბჭოთა ვერტიკალიზმით და თანამედროვე გლობალისტური მერკანტილიზმით. ყოველ ამ ფასეულობას შესაბამისი საზოგადოებრივი ქცევითი გამოხატულება ახასიათებს.

**ბუნებრივად ისმის კითხვა - რა შესაბამისობაშია საზოგადოების სურვილი, განხორციელდეს სწრაფი და რადიკალური ცვლილებები, ამავე საზოგადოების უნართან, თვითონაც განიცადოს ისეთი სწრაფი ტრანსფორმაცია, როგორსაც მოითხოვს მიმდინარე სახელმწიფოებრივი რეფორმა?**

**ქართულ საზოგადოებას უჭირს არა მხოლოდ ქვეყნის განვითარების შესახებ საყოველთაო კონსენსუსის მიღწევა, არამედ პრობლემები იქმნება რიგი ყოველდღიური საკითხების მოგვარებაშიც.**

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივ ფასეულობათა სხვადასხვა ტიპები ერთმანეთთან უკუქმედით დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რაც საზოგადოებრივ-ქცევით გამოსავალს ხშირად არაპროგნოზირებადს და რთულად საინტერპრეტაციოს ხდის. თვითოეულ ადამიანში სხვადასხვა ტიპის სოციალურ-ზნეობრივი ფასეულობის ზეგავლენა არათანაბარია და იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი დომინირებს ცალკეულ კერძო ინდივიდში, განისაზღვრება ამ ინდივიდის როგორც საკუთარი ქცევითი თავისებურება, ასევე მისი ქვეცნობიერად განვითარებული მოლოდინი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი. სწორედ ამიტომ, ამ მცირერიცხოვან ერში არის საზოგადოების ერთი ნაწილი (დღეისთვის ალბათ უმრავლესი), რომელიც მიესალმება მთავრობის მიერ გაჟღერებულ პოსტულატს - "ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი"; თუმცა ამავე საზოგადოების სრულყოფილი წევრები არიან ისინიც, ვინც ღია თუ ფარული ნოსტალგიით შეპყრობილნი მხარს უჭერენ სხვა პოსტულატს - "მზე ჩრდილოეთიდან ამოდის"; და - ისინიც, რომლებიც მონროს დოქტრინის მსგავსად, ლოზუნგის - "საქართველო ქართველებისთვის" - ქვეშ დარაზმულები, ეროვნული სიმბოლოების ფრიალით, თავგანწირვით ებრძვიან ყველაფერს, რაც არაქართული და შესაბამისად "ანტი-ეროვნული" და "სატანისტურია".

და მაინც, სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ღირებულებათა ამგვარ ნაირფეროვნებას?

ალბათ ის, რომ იგი ხელს უშლის საერთო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევას, ქვეყნის ორიენტაციისა და მომავალი განვითარების საერთო ხედვის შესაქმნელად. აქ არ იგულისხმება საზოგადოების დაკმაყოფილება ქვეყანაში არსებული ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებით. ბუნებრივია, არც ერთ ხელისუფლებას არ ძალუძს საზოგადოების ასი პროცენტის დაკმაყოფილება და, აქედან გამომდინარე, ყველა საზოგადოებაში მუდმივად არსებობს ოპოზიციური აზროვნება. აქ საუბარია უფრო მაღალ მატერიაზე - ქვეყნის იდეოლოგიურ ორიენტაციაზე, ანუ - იმაზე, თუ რომელ ცივილიზაციასთან, რომელ კულტურასთან აიგივებს ერი საკუთარ თავს, ქვეყანას და შესაბამისად ამისა, რა ტიპის სახელმწიფოებრივ მოწყობას ანიჭებს უპირატესობას. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო რეფორმების პროგრამაში, ალბათ, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს საზოგადოებრივი ფასეულობების ჰომოგენიზაციის საკითხმა. ბუნებრივია, ამაში არ იგულისხმება ხელისუფლების მხრიდან იდეოლოგიის ხელოვნური და ძალდატანებითი თავსმოხვევა, როგორც ეს ხდებოდა კომუნისტური რეჟიმის მმართველობის პერიოდში. გარდამავალ ეტაპზე ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების მიერ საკმაოდ წარმატებულად იქნა გამოყენებული სოციალური კაპიტალის განვითარებისადმი ხელშეწყობა.

სოციალური კაპიტალის თეორია საზოგადოებრივი მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა. მისი მნიშვნელობა, სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, იგივდება მატერიალურ და ჰუმანურ კაპიტალთან. თუკი მატერიალური კაპიტალი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ძალას, ხოლო ჰუმანური კაპიტალი - ერის ინტელექტუალურ და ფიზიკურ სიჯანსაღეს, სოციალური კაპიტალით განისაზღვრება საზოგადოებრივი ინსტიტუტის ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, როგორიცაა საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობის ხარისხი. ამაში იგულისხმება როგორც ცალკეულ ინდივიდებს შორის, ასევე ინდივიდსა და საზოგადოებას შორის და, რაც მნიშვნელოვანია, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა ნდობა, ტოლერანტობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა - ანუ ყველაფერი ის, რაც ერის ერთიანობის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს. სოციალური კაპიტალის რაოდენობის და ხარისხის შეფასების მრავალი მეცნიერული მეთოდი არსებობს. სოციალური კაპიტალი შეიძლება გაიზომოს ინდივიდუალურ, ჯგუფურ (ეთნიკური, ასაკობრივი, გეოგრაფიული, პროფესიული და ა.შ.) და მთლიანად საზოგადოებრივ დონეებზე. სამწუხაროდ, ამგვარი სოციალური კვლევის მონაცემები საქართველოს მასშტაბით არ არსებობს, თუმცა საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ვიზუალური დაკვირვებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი საქართველოს სოციალური კაპიტალი არც თუ მაღალია.

სწორედ ამიტომ, ქართულ საზოგადოებას უჭირს არა მხოლოდ ქვეყნის განვითარების შესახებ საყოველთაო კონსენსუსის მიღწევა, არამედ პრობლემები იქმნება რიგი ყოველდღიური საკითხების მოგვარებაშიც. მაგალითად: ნდობის დეფიციტი ბიზნესურთიერთობებში იწვევს ეკონომიური პოტენციალის არასრულ გამოყენებას; ტოლერანტობის დეფიციტი იწვევს კონფლიქტური სიტუაციების სიხშირეს; სოციალური სოლიდარობის დეფიციტი იწვევს კლასობრივ დაპირისპირებას; გუნდური თანამშრომლობის დეფიციტი იწვევს ერთპიროვნული ლიდერობისთვის მძაფრ კონკურენციას და ა. შ.

ამრიგად, სოციალური კაპიტალის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი კეთილდღეობის მრავალმხრივ გაუმჯობესებას, მაგრამ სოციალური კაპიტალის პოტენციალი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ბევრ ქვეყანაში ჩატარებული მრავალი ემპირიული კვლევის შედეგად, დადასტურებულია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია სოციალურ კაპიტალსა და ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელწიფო სისტემას შორის - სადაც არის ერთი, იქ აუცილებლად არსებობს მეორეც, და პირიქით, ერთის დეფიციტი იწვევს მეორის ნაკლებობასაც. თუ როგორი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია მათ შორის, ანუ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა უწყობს ხელს საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის განვითარებას, თუ პირიქით - სოციალური კაპიტალის მაღალი დონე განსაზღვრავს საზოგადოების მიდრეკილებას დემოკრატიული სახელმწიფო წყობისადმი, ეს ჯერ კიდევ სამეცნიერო მსჯელობის საგანია. ასეა თუ ისე, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებისთვის საზოგადოებაში მაღალი დონის სოციალური კაპიტალის არსებობა აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველოში მიმდინარე უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენებისას მოსახლეობამ აჩვენა დემოკრატიული ქცევის სანიმუშო მაგალითი, როდესაც მოახერხა საკუთარი ნების აღსრულება ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ საზოგადოებას გააჩნია დემოკრატიულობის საფუძვლები. თუმცა აღნიშნული პრეცენდენტი, ალბათ, მაინც უნდა ჩაითვალოს დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწყისად, და არა - უკვე მყარად დამკვიდრებულ რეალობად. მათი დამკვიდრებისთვის კი, საზოგადოებრივ განვითარებას შესაბამისი მიმართულებით წარმართვა და გულმოდგინე ხელშეწყობა ესაჭიროება. ის იდეოლოგიური მისწრაფებები და ორიენტაცია, რასაც დღევანდელი ხელისუფლება სთავაზობს მოსახლეობას, სწორედ ძლიერ დემოკრატიულ ბაზისს საჭიროებს. დასავლურ ცივილიზაციასთან სრულყოფილი ინტეგრაციისთვის აუცილებელია არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიური სისტემების სრულყოფა, არამედ საზოგადოებრივი ფასეულობების მოდერნიზებაც. სწორედ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია სოციალური კაპიტალის განვითარებას. ამისათვის სასურველი იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან, როგორც ადგილობრივი აკადემიური და ინტელექტუალური რესურსების აქტიური მობილიზება, ასევე საერთაშორისო დახმარების გამოყენება სოციალური კაპიტალის გასავითარებელი ინტერვენციების დასაგეგმად და განსახორციელებლად. მით უმეტეს, რომ ამის წარმატებული პრეცედენტები უკვე არსებობს, რომელთა საქართველოში დუბლირება, რა თქმა უნდა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია.

## როდესაც სასწაულების გჯერა



B2

## ეროვნული თანხმობის მემორიალი



B3

## კუპე M6 - კიდევ ერთი არისტოკრატი ბავარიიდან




B6




ქეთევან სადღობელაშვილი

### "პრაზდნიკები" და ტელევიზია

ტელევიზიების არსებობის მთავარი პრინციპი: " პური და სანახაობა", ყველაზე აქტიურ დატვირთვას სადღესასწაულო დღეებში იძენს. თუკი სხვა დროს მდარე სანახაობით ღიზიანდება მოსახლეობის უმეტესობა, რომელსაც პური არა აქვს, "პრაზდნიკებზე" ეს განცდა შედარებით მოდუნებულია. ახალ წელს ხომ ვალს აიღებს ქართველი კაცი და სუფრაზე მაინც შემოდგამს საცივ-გოჭ-გოზინაყოვან სანოვაგეს. ე.ი. პური არის, სასმელი ხომ თავისთავად და სწორედ აქ თანხვდება ერთმანეთს "პური და სანახაობა".

მთავარი სანახაობა, ჩემი აზრით, აგვცდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ თავისი პრეზიდენტობის პირველ ახალ წელს სააკაშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაატარებდა და ერი ასე "უპატრონოდ" შეხვდებოდა ახალ წელს. არადა, სახალისო იქნებოდა პრეზიდენტისთვის დამახასიათებელი მოულოდნელი "ინიციატივები", თუნდაც ყინულზე, ლაზერ-შოუს თანხლებით.

საქართველოს პატრიარქის მოლოცვაც საკმაოდ ლაკონიური აღმოჩნდა და პირდაპირ ეთერში ეს გამოსვლა მხოლოდ "იმედმა" გადასცა. მართალია, მოგვიანებით სხვა არხებიც შეუერთდნენ, მაგრამ ის შესაშური მზადყოფნა, რაც პრეზიდენტისა თუ პრემიერის ბრიფინგებს მოჰყვება ხოლმე, ამ შემთხვევაში ნულის ტოლი აღმოჩნდა.

ახლა ვნახოთ, როგორი ახალი წელი "გააკეთეს" ქართულმა ტელეარხებმა, რომელთა საინფორმაციო გამოშვებები (ჟურნალისტთა კურიოზებით) და პროგრამები გადაწერილი "შპარგალკებივით" ჰგავდა ერთმანეთს.

სხვათა შორის, ახალი წლისთვის მომზადებული პროგრამების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებელი ქართული ტელეარხების ერთგვარი ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელიც აღმოჩნდა. დაკვირვებული მაყურებლისათვის ძნელი შესამჩნევი არ უნდა ყოფილიყო "გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" არაპომპეზურობა და ერთგვარი ინერტულობა, რაც წარსულში უცხო და არაპრესტიჟული გახლდათ ხსენებული არხისათვის. ამჯერად "რუსთავი 2" ლაზერ-შოუს პირდაპირი ტრანსლაციით დაკმაყოფილდა (რევოლუციიდან მოყოლებული, ტრანსლაციები არხის ერთგვარ პოლიტიკადაც კი იქცა). რაც შეეხება ფართოდ აფიშირებულ ყინულ და ლაზერ-შოუს, ჩემი აზრით, მოხეტიალე ცირკს, შაპიტოს უფრო ჰგავდა, პროვინციელების გაოგნებას რომ ცდილობდნენ ხოლმე საცირკო ნომრებით. ჩვენი "მუნიციპალური ფანტაზია", ეტყობა, რკინის "კარკასის" ნაძვის ხისა და ხსენებული შოუს იქით ვერ წავიდა. საახალწლო გართობა საკუთარ თავზე აიღო "ღამის შოუმაც", რომელიც კარგა ხანია მხოლოდ მის წამყვანს აცინებს (გამონაკლისია ერთეული საინტერესო რესპონდენტი). საქართველოში, შესაძლოა, ზოგადი ინტელექტის დონე არ იყოს მაღალი და მასობრივი, თორემ იუმორის გრძნობა ქართველების უმეტესობას საკმაოდ კარგი აქვს, ამიტომაცაა, ჩვენი გასართობი პროგრამები ყოველთვის დილემის წინაშე რომ დგანან. ფილარმონიის იუმორს თავისი მაყურებელი ყოველთვის ეყოლება, მაგრამ ტელეიუმორი მხოლოდ "კავეენის" ანეკდოტებით, კითხვებზე წინასწარ მომზადებული პასუხებითა და უცხოური იუმორის ქართული ვერსიებით არ უნდა შემოიფარგლოს. ერთი საერთო სენიც სჭირთ ქართულ ტელეარხებს. ე.წ. ცნობილი სახეები (მაყურებლისთვის კი გაცვეთილი და მობეზრებული): პოლიტიკური და საესტრადო "პოპსა" არხიდან არხზე, ანუ ხელიდან ხელში გადადიან. ისეთი განცდა იქმნება, თითქოს ამ ადამიანების გარდა საქართველოში აღარავინ ცხოვრობს. ახალ წელს ეს იმდენად თვალში საცემი იყო, რომ არ გეყოჩაღა, "ბელაია გარიაჩკა" გარანტირებული გექნებოდა. თუ ძალიან მონდომებდით და "პირველი არხის" მარჯვენა ზედა კუთხეში პიზის კოშკივით დახრილი ნაძვისხის ტრიალს ყურადღებას არ მიაქცევდით, შეგეძლოთ "მშვიდად" გენახათ არხის რეგიონული, გასტრონომიული ვოიაჟი ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე. ხსენებული ცნობილი "ფეისების" ხელით მომზადებულ ხაჭაპურებს, ღომს, შებოლილ ლორს, გოჭსა და საცივს მიჰქონდა "პირველი არხი". აბა, ვის გაახსენდებოდა პატრიარქის პირდაპირი ჩართვა ეთერში, ქართველი გლეხკაცის უნებლიე სიბრძნე, გულწრფელი დალოცვა და კარგი იუმორი. გახსოვთ, ყვარყვარე რომ კითხულობს: "სადაა ხალხი?!" "პირველი არხის" გასტრონომიული ვნებანი, უკბილო ანეკდოტებით სავსე "სიცილის ოთახი" და ისევ ცნობილების დუეტები ("ახალი, ახალი წელი") იყო ამ წლის სიახლე, დანარჩენი ეთერი ძირითადად შარშანდელ "შედევრებს" დაეთმო (თუნდაც, "ხანუმას" ვერსიებს). ასევე შარშანდელი პროგრამებით დაკმაყოფილდა "მზე", თუმცა ამ ნაკლის გამოსწორებას საინფორმაციო პროგრამების თეატრალიზებით (რაც ორიგინალობის მაგივრად სიყალბის ელფერს უფრო ატარებდა) და პირდაპირ ეთერში რამდენიმე კლასიკოსის მოლოცვით შეეცადა. მთელი ეს ძალისხმევა კი სულ ერთმა კადრმა გააფუჭა, როცა ბ-ნ ბიძინა კვერნაძეს, რომელიც იშვიათად თანხმდება კამერის წინ საკუთარი ნაწარმოების შესრულებას, შუა გზაში შეაწყვეტინეს დაკვრა და საერთოდაც გამოთიშეს ეთერიდან. თითქოს დეტალია, მაგრამ უდავოდ დამოკიდებულების განმსაზღვრელი. "მზემ" ერთი სიახლეც შემოგვთავაზა ახალი წლის მიჯნაზე, ჯერჯერობით სრულიად ეკლექტური თოჯინური ვერსიფიკაციები. იქნებ პრემიერის შემდეგ შეგვეცვალოს აზრი, ვნახოთ. "მზის" შარშანდელი, უფრო ადრე კი რუსების იდეა - ცნობილი სახეების მიერ ნაცნობი ჰიტების შესრულება წელს "იმედმაც" "გადაიწერა" და ისევ ის სახეები (ვაიმე, მიშველეთ!) ვიხილეთ დიდი დოზითა და "ნიჭიერებით". ერთი დამატებაც. წარსულში "202"ის იუმორისტული "მოზგები" ამჯერად ადრე მათგანვე გაშარჟებულმა პატარკაციშვილმა შეიფარა და გასაგებია რატომაც, მაგრამ ის კი ნამდვილად გაუგებარია, "იმედის" არხზე ოდესმე დამთავრდება თუ არა ერთი კაცის გაუცინარი სერიალი, სახელწოდებით "ვაკაჭი ნიუსი", თემატიკა მარადიული, პერსონაჟები იგივე და ვაკაჭი, სიუჟეტებში მხოლოდ ტექსტი იცვლება უარესობისაკენ, ერთადერთი, რაც შესაძლოა ამ გადაცემის მაყურებლისთვის მისაღები აღმოჩნდეს, ისევ ვაკაჭის მოწოდება-სლოგანია: "უყურეთ "იმედს", მაგრამ გულთან ნუ მიიტანთ, დაიკიდეთ და მოგეშვებათ" (სტილი დაცულია). "თხა თხაზე ნაკლებიო" ამ პრინციპით შალვა რამიშვილის საახალწლო პერფორმანსიც მოაწყო "ბერიკონში" ტელეკომპანია "202"-მა და ამ გაუგებრობის თამადად ბ-ნი გელა ჩარკვიანი დანიშნა. "ევრიკა" როგორ უნდა მოგანატრონ, არ მესმის. არადა, ცხონებული, სხვას კი არაფერს აკეთებდა. ქეიფებსა და ტაშ-ფანდურს არც ის აკლებდა ძვირფას ტელემაყურებელს. თუკი "ევრიკაზე" მთელი დღე ერთი ოჯახისთვის ან გვარტომისთვის უნდა გეცქირა, იგივე, ოღონდ "სვეტსკად", მთელი კვირა თუ მთელი თვე მიდის "მაესტროს" ეთერში და ამას "რეალიტი" შოუ ჰქვია. თუმცა, "მაესტრო" მექორწილემძღოლთა "კასტასაც" არ ივიწყებს და აბა, იქ არის თუ არის ამბები. კომერცია მაყურებლისა და შესაბამისად რეკლამასპონსორების მოსაზიდად ყველა საშუალებას ამართლებს, მათ შორის "ტაში, კუკურისაც!" ჰო, რაც შეეხება "კავკასიას", ის დიდი ხანია ჩარჩა მოსამზადებელ ჯგუფში და, საეჭვოა, ოდესმე საახალწლო ეთერით შეძლოს მაყურებლის გაოგნება. რაც შეეხება "პირველ სტერეოს", არხის ხელმძღვანელი მერაბ სეფაშვილი ახალი წლიდან საინტერესო და გემოვნებიან მუსიკას დაჰპირდა მაყურებელს. დაველოდოთ. მოკლედ და კონკრეტულად, ქართულ ტელეეკრანებზე ისეთი ახალი წელი იდგა, რომ მაყურებელთა უმეტესობას "გალუბოი აგანიოკის" ნოსტალგია გაუჩნდა.

ახლა იმ ტენდენციაზეც ვთქვათ, კარგი რომ არის, მაგრამ ქაოსურად გამოყენების თუ არასწორი პროგრამირების შემთხვევაში ხიბლს კარგავს. ისევ შეთქმულებივით, ქართულმა ტელეარხებმა ერთი და იგივე კინოშედევრები იმ ცნობილი სახეების მსგავსად ეკრანებიდან არ ჩამოუშვეს. კლასიკოსთა კონცერტები და სპექტაკლები "პახმელიაზე" შესთავაზეს მაყურებელს, მაგრამ მადლობელი ვართ, ესეც გრაფიკით რომ მოგვცეს "პრაზდნიკებზე", სხვა დროს კი არავინ გაგვანებივრებს მაღალი ხელოვნებით, დღეიდან ისევ განაცრისფერდება ჩვენი ტელეარხები, ისევ წაგვიკითხავენ მორალს ჩვენი კდემამოსილი ჟურნალისტები, და, რაც მთავარია, ალბათ, საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოსათვის კანდიდატურების შერჩევის პროცესი დაიწყება. საქართველოში დღემდე მკვიდრად მოქმედი ნათესაობის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დაიწყება იატაკქვეშა შეთავაზებები, ნამუსზე შეგდება და ა.შ. მაგრამ ტელევიზია, რომელსაც მომავალში საზოგადოებრივი დაერქმევა, მხოლოდ თქვენი, საზოგადოების ინტერესის გამომხატველი უნდა იყოს და არა ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებისა. ნუ იქნებით ინერტულები, "სხვისი ხელით ნარის გლეჯის" პასიური მაყურებლები ეცადეთ, რომ თითოეული კანდიდატი თქვენი ინტერესის ობიექტი გახდეს. ანკეტა, რომელიც ამ პუბლიკაციას ერთვის, თქვენთვისაა, შეავსეთ, ამით დაეხმარებით საკუთარ თავსაც და მომავალსაც გემოვნებიანი ტელევიზიის ჩამოყალიბებაში. დაივიწყეთ ფრაზა: რა ჩემი საქმეა! თქვენი მოდუნებით აძლიერებთ თქვენზე სუსტს. ასე რომ, ჩაერიეთ იქ, სადაც თქვენი ჩაურევლობა შესაძლოა მომავალს სანანებელი გაუხდეს.

მომავალ შეხვედრამდე!

### ა ნ კ ე ტ ა

1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?
2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?
3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?
4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში?
(კონკრეტული მაგალითების მოხმობით)
5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...



რეჟისორი რეზო ესაძე

**1.** ერთი ხეიბარი რომ მეორე ხეიბარს გაასწრებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ხეიბარი არაა. როცა ტელევიზორს ვუყურებ, ამ სიტყვიდან გამომდინარე, ყური ხედავს და თვალი უსმენს, ამიტომაც, ჩვენი ტელევიზიების გადამკიდეს, თვალიც დამიავადმყოფდა და ყურიც. დიდი ხანია, ყურზე სათვალეს ვიკეთებ და თვალზე "ნაუშნიკებს". ვხედავ, "პირველ არხს" წითელა ბატონები შეჰყრია და როდის მოიხდის, კაცმა არ იცის. რუსთაველი ერთი ვიცი და როცა მეორეც გამოერევა, ცუდადაა საქმე. სანამ ბავშვობის ავადმყოფობა - მიამიტობა მჭირდა, ხშირად გამოვდიოდი "რუსთავი 2-ში". ახლა ჩემი ავადმყოფობა, ამ არხის მიმართულების კვალდაკვალ, მგონი შიდსისკენ მიდის. ტელეკომპანია "იმედის" ერთადერთი იმედი ისაა, რომ ჩემი ყველაზე კარგი როლი მათ სერიალში ვითამაშე. წელს ქართულ ტელეარხებზე ისეთი ახალი წელი იყო, ნამთვრალევზე სუფრა რომ აირევა ხოლმე. მგონი, ნამცეცობანასაც თამაშობდნენ. ნაბახუსევს ჰგავდა ახალი წელი თუ მე ვიყავი მთვრალი, ვერ გავიგე. ვისაც სიმღერა არ შეეძლო, ყველაზე თავგამოდებით ისინი მღეროდნენ. მოკლედ, ძალიან ჭინჭყლი ეკრანი იყო.

**2.** თუ დამიჯერებთ, ვნანობ, ტელევიზორი რომ მაქვს. ახლა ვგრძნობ, ყველაზე კარგი გადაცემები მაშინ იყო, სტალინი რომ მოკვდა, გაუთავებელი მუსიკა გადაიცემოდა მთელი დღე. რეჟისორი რომ ვარ, მხოლოდ "პრაზდნიკებზე" მახსენდება. ვუყურებ ამ ჩემს ფილმებს სხვადასხვა არხზე და ვკითხულობ: ნეტავი, ეს კარგი ფილმი ვინ გააკეთა-მეთქი. რა თქმა უნდა, ისეთ არხებს ვისურვებდი, როგორიც "მეცო" და "კულტურაა".

**3.** საზოგადოება რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ტელევიზიებზე, ეს ვიცი, თორემ ტელევიზიის გავლენას საზოგადოებაზე რა ცოდნა უნდა. თუ დასახრჩობი მყავს ვინმე, შევაყოფინებ თავს ტელევიზორში და ორ წამში უთავო იქნება. დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ადამიანთა წამებისა და ძალადობის ისეთი სეანსები ტარდება ტელეეკრანზე, რომ ამ ბოლო დროს შვილიშვილი რაღაც სხვანაირად მატრიალებს. ჯერ სამი წლისაა და ვერ მწვდება, მაგრამ სამ წელიწადში მომწვდება და რა მეშველება, არ ვიცი. ახლა ენა, ხომ? ესპერანტოზე გველაპარაკებიან, ბატონო, ვერაფერს გაიგებ. წინადადებები ასეთია: რთულ-ქვეწყობილ-თანწყობილ-შერეულ-ჩართული და გამორთე ერთი, აღარ შემიძლია!

**4.** უიმეე! საქმე ისაა, რომ მაგის მეტს ვერაფერს ვხედავ. იქით მხოლოდ "სპლაშნოი" კედელია, სამყაროს საზღვარი, სადაც აინშტაინი ზის და ტირის.

**5.** დედამიწის წამყვანი მომწონდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე აურია ცუნამებით, რომ მეშინია, ზესტაფონში არ აღმოვჩნდე ორ წამში. სხვათა შორის, ძალიან "მომწონდა" ვიტალი ხაზარაძის პროგრამა და არავინ დააცალა, რას ერჩოდნენ, არ ვიცი. "მზერაო" თუ "ზღვარიო", აღარ მახსოვს, მისი წამყვანის მეშინია, ისე ჰგავს ფელიქს ძერჟინსკის, და თანაც, ერთი თვის მერე ვიგებ, რა თქვა ერთი თვის წინ. აი, გრიგოლიას შემთხვევაში კი, შიშებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთი თვით ადრე ვიცი, რას იტყვის ერთი თვის მერე. მომავლისთვის კითხვა ასე დასვით: ვინ არ გაღიზიანებთ? თუ ხატზე გადამცემთ, შეიძლება მაშინ ვუყურო ქართულ ტელეარხებს და უკეთესი პასუხიც გაგცეთ. ისე, გაგიმხელთ და ძალიან მინდა, ერთად გავაკეთოთ 24-საათიანი გადაცემა იმაზე, რომ ჯოჯოხეთი სამოთხეა. მაგას უკვე აკეთებენ ქართული ტელეარხები?! აბა, ჩემგან რა გინდათ?!

# როდესაც სასწაულების გჯერა

## საშობაო სეზონი თბილისურ კინოთეატრებში

ვერა ნეფარიძე

*როდესაც ბავშვებს შობის ღამის სასწაულებისა და თოვლის ბაბუისა თუ სანტა-კლაუსების არსებობის ნაკლებად სჯერათ; როდესაც მათთვის საშობაო განწყობის შესაქმნელად ნაკლებად გამოდგება თანამედროვე კინოს ჰიტები, სადაც ამერიკელ-ევროპელი თოვლის ბაბუები თანამედროვე ცხოვრების სიბინძურეებში არიან "ეჭვმიტანილი", ვინ უნდა აღუდგინოს პატარებს რწმენა, რომელიც მათ გულის კუნჭულში ჯერ კიდევ ანთია?*

ასეთი მისია 80-იანი წლების ჰოლივუდის ექსპერიმენტატორებს შორის ერთ-ერთმა, რეჟისორმა რობერტ ზემეკისმა (გაიხსენეთ ფილმები: "უკან, მომავალში", "ფორესტ გამპი") იტვირთა; და, როგორც "პოლარული ექსპრესის" მნახველები ამბობენ, გამოუვიდა კიდეც. კინოს ისტორიაში ახალი წლის თემაზე გადაღებული ყველაზე მასშტაბური ფილმისა და განუმეორებელი სანახაობის ავტორი ხომ სწორედ ის გახლავთ. ამიტომაც, თბილისური კინოთეატრების ხელმძღვანელთა არჩევანი შობის დღეებში ზემეკისის უკანასკნელ ქმნილებაზე შეჩერდა.

"პოლარული ექსპრესი" ანიმაციური საოჯახო ზღაპრის ჟანრის ფილმია, სადაც გმირებს პოპულარული მსახიობი ტომ ჰენკსი ახმოვანებს. თუმცა, ჩვენი მაყურებელი არა ჰენკსის, არამედ ცნობილი ქართველების (როგორც კინოთეატრ "რუსთაველის" ანოტაცია გვატყობინებს, ცნობილი ქართველები არიან: მომღერალი ნეკა სებისკვერაძე, შონზო, ზვიო, მიშა მშვილდაძე და სხვები) და "ბასტი-ბუბუს" მიერ გახმოვანებულ "პოლარულ ექსპრესს" იხილავს.

"უორნერ ბროზის" საშობაო ნამუშევრის მსოფლიო პრემიერა 10 ნოემბერს გაიმართა. ფილმის საწარმოო ბიუჯეტი 165 მილიონი ამერიკული დოლარია, ხოლო მის რეკლამაზე 60 მილიონზე მეტი დაიხარჯა. ამიტომაც მიიჩნევენ ზემეკისის ფილმს ახალი წლისა და საშობაო თემატიკაზე გადაღებულ საბავშვო ფილმებს შორის ყველაზე ძვირად ღირებულად.

ზემეკისის ნამუშევარი კრის ვან ალსბურგის ამავე სახელწოდების საბავშვო წიგნის ეკრანიზაციაა. სიუჟეტი ძალიან მოკლედ, დაახლოებით ამგვარია: როდესაც პატარა ბიჭუნას თითქმის დაკარგული აქვს



შობისა და სანტა-კლაუსის რწმენა, შობის წინა ღამეს სახლთან ჩამომავალი ჯადოსნური მატარებლის ხმა გააღვიძებს; ბიჭუნა მატარებელს გაჰყვება ჩრდილოეთ პოლუსზე, სადაც იხილავს ნამდვილ შობას, გაიცნობს სანტას და ირწმუნებს, რომ სასწაულები არსებობს მათთვის, ვისაც ამ სასწაულების სჯერა. ფილმი მთლიანად ანიმაციურია, თუმცა, ის არაა მულტფილმი; მის შესაქმნელად ე.წ. "შესრულების ფიქსაციის" ტექნოლოგიაა გამოყენებული.

"პოლარული ექსპრესი" დატვირთულია სახალისო-გასართობი პასაჟებით და, რაც მთავარია, არ არის მორალისგან თავისუფალი. ზემეკისის მორალი, რომელიც, ალბათ, მხოლოდ ბავშვებზე არ არის გათვლილი, გვეუბნება, რომ ჭეშმარიტი რწმენა არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებსა და მოქმედებებში, არამედ მისი მარადიული სამყოფელი გულშია. ფილმში შეხვდებით ზღაპრებისთვის დამახასიათებელ, ტრადიციულ კეთილის გამარჯვებას ბოროტზე და ა.შ.

ცალკე თემაა ფილმის მუსიკალური გაფორმება. "პოლარულ ექსპრესში" გამოყენებულია როგორც ბინგ ქროსბისა და ფრენკ სინატრას ჰიტები, ასევე სტივენ ტაილერისა და ტომ ჰენკსის მიერ შესრულებული საგანგებო მუსიკალური ნომრები.


### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

**2005 წლის 7 თებერვალს გასაყიდად გამოტანილი იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:**

| ლოტი N | ობიექტის დასახელება და მისამართი | დაკავებული ფართი კვმ | დაკავებული მიწის ფართი კვმ | საწყისი საპრივატიზებო ღირ. აშშ დოლარი | ბეს ოდენობა აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | ობიექტის დახასიათება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გოგებაშვილის ქ. N2 | 277,87 | 101,1 ნილობრ. | 71395 | 36000 | 2100 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 2 | პუშკინის ქ. N27 | 106,84 | 26,9 ნილობრ. | 16378 | 8500 | 400 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 3 | პუშკინის ქ. N27 | 24,95 | 6,27 ნილობრ. | 3824 | 2000 | 100 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 4 | პუშკინის ქ. N27 | 30,35 | 17,12 ნილობრ. | 4540 | 2500 | 100 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 5 | ზ. გამსახურდიას ქ. N16 | 36,18 | 32,97 ნილობრ. | 8950 | 4500 | 250 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 6 | ზ. გამსახურდიას ქ. N16 | 97,24 | 110,6 ნილობრ. | 26419 | 13500 | 800 | ერთსართულიანი კაპიტალური შენობა |
| 7 | ზ. გამსახურდიას ქ. N48-50 | 51,96 | 64,5 ნილობრ. | 11630 | 6000 | 300 | ერთსართულიანი კაპიტალური შენობა |
| 8 | წერეთლის ქ. N1 | 32,4 | 27,92 ნილობრ. | 6940 | 3500 | 150 | ორსართულიანი სახლის პირველი სართული |
| 9 | წერეთლის ქ. N1 | 32,57 | 27,92 ნილობრ. | 6974 | 3500 | 150 | ორსართულიანი სახლის პირველი სართული |

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2005 წლის 6 იანვრიდან 2005 წლის 4 თებერვლის ჩათვლით 9 სთ-დან 16 სთ-მდე (აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეოთხე სართული.)

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე" და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 7 თებერვალს, 12 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

a) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**
**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).**
**დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეოთხე სართული, ოთახი N5, ტელ. 7-35-22**
**გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.**



### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

**2005 წლის 11 თებერვალს გასაყიდად გამოტანილი იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:**

| ლოტი N | ობიექტის დასახელება და მისამართი | დაკავებული ფართი კვმ | დაკავებული მიწის ფართი კვმ | საწყისი საპრივატიზებო ღირ. აშშ დოლარი | ბეს ოდენობა აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | ობიექტის დახასიათება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ზ. გამსახურდიას ქ. N15 | 215 | 86,4 ნილობრ. | 55418 | 28000 | 1500 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 11 | პუშკინის ქ. N27 | 142,6 | 80,55 ნილობრ. | 21026 | 11000 | 450 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 12 | გოგებაშვილის ქ. N42 | 26 | 29,1 ნილობრ. | 6540 | 3500 | 150 | ერთსართულიანი კაპიტალური შენობა |
| 13 | G გოგებაშვილის ქ. N40 | 259,9 | 378,41 ნილობრ. | 67054 | 33000 | 1500 | ერთსართულიანი კაპიტალური შენობა |
| 14 | ზ. გამსახურდიას ქ. N23 | 62,06 | 69,13 ნილობრ. | 15593 | 8000 | 400 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 15 | წერეთლის ქ. N3 | 9,83 | 6,9 ნილობრ. | 2080 | 1100 | 50 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 16 | [illegible] ქ. N44 | 23,61 | 4,81 ნილობრ. | 4342 | 2500 | 150 | მრავალსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 17 | ჯავახიშვილის ქ. N78-80 | 131,64 | 157,67 ნილობრ. | 18900 | 9500 | 400 | ერთსართულიანი კაპიტალური შენობა |
| 18 | ჭავჭავაძის და ბარათაშვილის ქ. N27/53 | 44,68 | 45,15 ნილობრ. | 5336 | 2700 | 100 | ერთსართულიანი სახლის სარდაფი |

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 2005 წლის 12 იანვრიდან 2005 წლის 10 თებერვლის ჩათვლით 9 სთ-დან 16 სთ-მდე (აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეოთხე სართული.)

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე" და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონი გაიმართება 2005 წლის 11 თებერვალს, 12 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

a) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს და ქონების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.

**გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:**
**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).**
**დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, მეოთხე სართული, ოთახი N5, ტელ. 7-35-22**
**გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.**

# ეროვნული თანხმობის მემორიალი

## თუ არ შევრიგდით, ვერ გავერთიანდებით



*თუ არ შევრიგდით, ვერ გავერთიანდებით - გოგი ოჩიაური*

სოფო კილასონია

ჩემ გარშემო მიმდინარე მოვლენათა გაცნობიერება მაშინ დავიწყე, როცა მოლაპარაკე შავი ყუთიდან იოლად დასამახსოვრებელი გარეგნობის ადამიანი საკმაოდ ბევრს საუბრობდა, განსაკუთრებით ხშირად ახსენებდა სიტყვა "პერესტროიკას". ქვეყანაში რადიკალურმა ცვლილებებმა, რომელმაც თავდაყირა დააყენა ინერციით მოძრავი დიდი იმპერია, რომელმაც მრავალთა ბედი და მომავალი განსაზღვრა, ზოგის ცხოვრება სიკეთისკენ მოაბრუნა, ზოგსაც დიდი ხნით დაასვა დაღი, ჩემთვის, ასაკის გამო, მარტივად ჩაიარა და მხოლოდ ფრაგმენტული სურათები დამიტოვა მეხსიერებაში. მათგან ყველაზე შთამბეჭდავი ჯერ ჩემს სახლთან მდგარი ტანკები, შემდეგ კი ეკრანზე ნანახი ლენინის ძეგლის ჩამოგდების სცენა გახლდათ. ბევრს, თანაც, მღელვარებით საუბრობდნენ შინ თუ გარეთ, მრავალმა ემოციამ და ისტორიისთვის მართლაც მნიშვნელოვანმა მოვლენამ ჩემ წინ ხმაურიანად და სწრაფად გაიარა, ზუსტად ისე, როგორც ერთ მშვენიერ დილას დიდმა მანქანამ სერგო ორჯონიკიძის უზარმაზარი და უსიამოვნო ქანდაკება "დელისთან" გრუხუნით გააქროლა.

თითქმის ყველგან რევოლუცია და რადიკალური პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებები ძველსა და მიუღებელს შეძლებისდაგვარად იცილებს, სპობს და საკუთარი, ახალი მოაქვს. თუ ეს უკანასკნელი ჯერ არა აქვს, მაშინ მას აუცილებლად ქმნის. ასე ხდება ყველა სფეროში. იდეოლოგიური ცვლილებები თვალსაჩინოა ხელოვნებაშიც. კულტურა და ხელოვნება ხდება ხშირად ქვეყნის, ერის, მისი ბუნებისა და მსოფლმხედველობის ყველაზე ნათელი სახე და, როგორც ამ ბოლო დროს ვამბობთ, - იმიჯი. საბჭოთა მთავრობა სამაგალითოდ ახდენდა საკუთარ იდეათა პროპაგანდას ხელოვნებით. მისთვის განსაკუთრებით მისაღები იყო მონუმენტური სკულპტურა. ჯან-ღონით სავსე საბჭოთა ადამიანის სკულპტურული სახე და ხელგაშლილ ბელადთა უზარმაზარი მონუმენტები იყო ის, რაც ასე კარგად მოირგო წითლად მოკაშკაშე ხუთქიმიანმა ვარსკვლავმა.

სანამ ქუჩებს სახელებს შევუცვლიდით, პირველი, რაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა, - ერთიმეორის მიყოლებით მოშალა მონუმენტები. ეს თბილისში, თორემ რაიონებსა და სოფლებში იოლად იპოვით პატარა ბიჭუნას ანუ პატარა სტალინის ქანდაკებებს. ყოველივე ძველისა და დაობებულის დამანგრეველი, ახალი, რევოლუციური თუ პროგრესული იდეები მძიმე ქანდაკებებს მოერია, თუმცა, ცნობიერებასთან ბრძოლა ნამდვილად გაუჭირდა, რაც სულ მალე გამომჟღავნდა... ეს სულ სხვა საკითხია, მაგრამ მაინც საყურადღებო.

მათ შორის, რაც თბილისელთა, განსაკუთრებით კი ვაკის პარკში ხშირად მოსეირნეთა თვალს უეცრად დააკლდა, უცნობი ჯარისკაცის საფლავის აქეთ-იქით მჯდარ "მეომართა აჩრდილების" ქანდაკებებია. დიდების მემორიალისგან მხოლოდ ზემოდან მომზირალი ქართველთა დედა და რელიეფური წითელი დროშების ფონზე მარტოდმარტო დარჩენილი უცნობი ჯარისკაცია.

რამდენიმე დღის წინ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ სულ მალე ვაკის პარკში, იქ, სადაც უცნობი ჯარისკაცის მონუმენტური ანსამბლი იყო, ეროვნული შერიგებისა და თანხმობის მემორიალი დაიდგმება. მას პირვანდელი მემორიალის ავტორი გოგი ოჩიაური განახორციელებს. ისიც ვიცოდი, რომ ახალი პროექტი აღებული ქანდაკებების ადგილზე დაბრუნებასა და განახლება-აღდგენას ითვალისწინებს, თუმცა, საქართველოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ რატომღაც შეუბრალებლად მოხსნა ისინი და თავად ოჩიაურის ინიციატივით დაარსებულ ლილოს ქანდაკების ჩამოსასხმელ კომბინატში გადაისროლა.

ეს მწირი ცნობა რომ ვერც ჩემს და ვერც მკითხველის ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდა, კარგად ვხვდებოდი, ამიტომაც იმ სახლს ვესტუმრე, სადაც რამდენიმე წლის წინ უკვე დაბეზღებული გოგი ოჩიაური სამთავრობო კომისიის მანქანებს მიუძღოდა: პატივსაცემ სტუმრებს უნდა შეემოწმებინათ - აკეთებდა თუ არა სინამდვილეში ცეკას ბიუროს მიერ დადგენილ ვარიანტს მოქანდაკე. და თუ არ აკეთებდა, - ტყუილში ემხილებინათ იგი. თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, უცნობი ჯარისკაცის მემორიალისთვის შექმნილ პლანშეტებს, ნახაზებსა და ნახატებს არაერთხელ შემოუარეს წრე ინაურმა, ჩურკინმა, შევარდნაძემ და მათმა ერთგულმა ხელოვანებმა. უზენაესთა უკმაყოფილება თავიდანვე ცხადი იყო. ქართული იერისა და ხასიათის მქონე მეომრების შეხედვისას, რომლებიც არც ტანკისტებს ჰგავდნენ და არც ცხედართან ჩამომსხდარ კოლმეურნეებს, ერთ-ერთს ისიც ათქმევინა: "ნუთუ არ მოგბეზრდათ სააკაძეებისა და ოძელაშვილების გამოქანდაკება?" მაგრამ ოჩიაური იმაზე უფრო ჯიუტი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. პროექტიდან, რომელზეც მზადება 1972 წელს დაიწყო, თავდაპირველად მხოლოდ ქალის ქანდაკება დაიდგა, ისიც 1981 წელს. მასთან სადავო არაფერი აღმოაჩნდათ. მეტიც, როგორც გოგი ოჩიაური იხსენებს, ქალის ქანდაკების სანახავად მიყვანილ ბრეჟნევს ისიც კი უთხრეს, ეს ქალი გეორგიევსკის ტრაქტატს ლოცავსო.

პრობლემა მხოლოდ მეომართა აჩრდილები იყო. ისინი ხომ არაფრით ერგებოდნენ ხელისუფალთა მოთხოვნებს. წლები გადიოდა. მემორიალი კი ვერა და ვერ ეღირსა სრულყოფილ სახეს. მრავალი განხილვისა და კრების მიუხედავად, ამ პროექტს ოჩიაური საბოლოოდ მაინც ვერ ჩამოაცილეს. იგი მოსკოვის მხატვართა კავშირისა და სხვა გამოჩენილ მხატვარ-მოქანდაკეთა ქებასა და მოწონებას იმსახურებდა. ერთიმეორის მიყოლებით იწერებოდა სტატიები, თუმცა, ოჩიაურის მეომართა აჩრდილები დღის შუქს ვერ ნახულობდნენ. ბოლოს, მეგობართა რჩევით, მოქანდაკე პროექტში ბიუროსთვის სასურველ ცვლილებებს დაეთანხმა. ეს ისე, ფორმალურად, სინამდვილეში კი დაიწყო იმის ძერწვა, რასაც თავიდანვე გეგმავდა. გასაკვირი რა არის იმაში, რომ დააბეზღეს? არაფერი, თუმცა, მასთან სახლში მისულთ სულ სხვა ესკიზები და ნახატები უჩვენა. ამჯერად გადარჩა. ეს დროებითი მოვლენა იყო. უხეიროდ, მაგრამ მაინც უკვე ჩამოსხმული ქანდაკებები "რიტუალურ მოედანზე" გაიტანეს, აქ ველარავის დაუმალავდნენ და რეაქციამაც არ დააყოვნა, სანახავად მისული ედუარდ შევარდნაძე იმაზე მეტად აღშფოთდა, ვიდრე მანამდე. ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტორი ოთარ ლითანიშვილი რომ არა, გადაწყვეტილი იყო: მეორე დილას ბულდოზერით უნდა აელოთ ახლად დადგმული და დაწუნებული ქართველები. "ნუთუ თქვენზე არ მოქმედებს მათი ყურება? - მოქმედებს და მეტიც, მზარავს... ბიურო ვერ გადაყვება ოჩიაურის სიჯიუტეს!" ასეთი პასუხის შემდეგ ლითანიშვილი მიხვდა, რომ რაღაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო, რომ ის ემოციური მუხტი, რასაც "ქართველთა რეკვიემი" ახდენდა, ასე მძაფრად ველარ ეგრძნოთ. ოთხ დღეში გამოსავალი მოძებნეს. მოედნის დონე ჩაიჭრა, რის გამოც ქანდაკებები საკმაოდ ამაღლდა, ამან კი ის გამოიწვია, რომ დამთვალიერებელი პირისპირ ვერ შეხედავდა მეომრებს, მეტიც, თავს თუ არ ასწევდა, ვერც დაინახავდა მათ. და კიდევ ერთი დეტალი: მცირეოდენი საბჭოური ატრიბუტები და... ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა მეგობრის ქმნილებანი ბულდოზერს გადაარჩინა. სულ მალე კი ძლივს ხორცშესხმული პროექტისთვის ავტორი, თანაავტორებთან ერთად, მოსკოვის მხატვართა კავშირის წარდგენით ლენინის პრემიით დააჯილდოეს, თუმცა უცნობი ჯარისკაცის მონუმენტის ისტორია ამით არ დამთავრებულა.

მალე ეროვნული მოძრაობა დაიწყო და გოგი ოჩიაურიც, როგორც თავად ამბობს, "იქ დადგა, სადაც უნდა დამდგარიყო". ამის მიუხედავად, გამსახურდიას გარემოცვის მონდომებით მეომრების ქანდაკებები ერთ ღამეს მოხსნეს, თუმცა, როგორც კი ეს პრეზიდენტმა გაიგო, მეორე დღეს დააბრუნეს ადგილზე. "მაგრამ სანამ მათ აღდგენას დავიწყებდი, ეროვნული მთავრობა დაამხეს", - იხსენებს გოგი ოჩიაური.

დაბრუნდა თუ არა სამშობლოში შევარდნაძე, მეორე დღესვე ვაკის პარკი და იქ მყოფი "ძველი მეგობრები" მოინახულა. როგორც ჩანს, დიდი ფიქრის გარეშე გასცა ბრძანება და კიდეც გაისტუმრა ისინი ლილოს კომბინატში. სწორედ იქიდან ბრინჯაოს ქანდაკებები წლების განმავლობაში ნაწილ-ნაწილ იძარცვებოდა და იყიდებოდა. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო ამ რთული ისტორიის დასასრული, მაგრამ ასე არ მოხდა. მათდამი ხელახალი ინტერესი ავტორს სწორედ პრეზიდენტმა შევარდნაძემ გაუღვიძა, როცა მან ოჩიაურთან შეხვედრა მოინდომა (1999 წელს) და მას ვაკის პარკის მემორიალის აღდგენა და მისი საყოველთაო ეროვნული შერიგების ძეგლად გადაკეთება შესთავაზა. პრეზიდენტის ამ ინიციატივას დიდხანს არ უცოცხლია. მისი რეალურობა რომ ნაკლებად დასაჯერებელი იყო, გოგი ოჩიაური მაშინ მიხვდა, როცა გოჩა ესებუა მოკლეს - ახალგაზრდა, რომელიც ტყვეთა სანაცვლოდ დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებასა და მათ მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დაჯდომას ითხოვდა. "მასთან ერთად მოკლეს ამ მემორიალის შექმნის იდეა", - ამბობს ოჩიაური.

მალე ომის ვეტერანთა დეპარტამენტმა განცხადება მემორიალის აღდგენის თხოვნით ჯერ მთავრობაში, შემდეგ კი, თავად ავტორის რჩევით, საკრებულოში შეიტანა. იქ ახლანდელი პრემიერის თემურ ქურხულის დახმარებით, მემორიალის აღდგენა-რესტავრაცია ბიუჯეტში გაითვალისწინეს.

საყოველთაო ეროვნული შერიგების ძეგლის შექმნა ახლანდელი ხელისუფლების ინტერესის სფეროშიც მოექცა და პროექტის განხორციელება დაიწყო. მოქანდაკის მეგობრის, მხატვარ მალხაზ გორგაძის სახელოსნოში გადატანილ მეომართა აჩრდილების მზერისას გოგი ოჩიაური აღნიშნავს, რომ "ეს ყველაფერი ღვთის განგება იყო," - ასე რომ არა, ვერც ის და ვერც მისი ქმნილებანი ასეთ ისტორიასა და ამხელა სიძნელეებს ვერ გაუძლებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ბიუჯეტი მხოლოდ რესტავრაციას ითვალისწინებს, ბრინჯაოს ჩამოსხმის სპეციალისტთა: ზურაბ ფილიას, რამაზ ბაჯელიძის, ვახტანგ მელაძის, ზვიად კორინთელის დახმარებითა და იდეისადმი ერთგულებით, გოგი ოჩიაური მონუმენტის აბსოლუტურ რეკონსტრუქციას გეგმავს და კონცეპტუალურადაც ცვლის თავდაპირველ ჩანაფიქრს.

სახელოსნოში მისვლისას, სულ სხვაგვარად აღვიქვი და დავინახე ის ქანდაკებები, რომელიც ბავშვობაში არაერთხელ მინახავს. იმის გარდა, რომ მათი დაჩეხილი სხეულები, რომლებსაც მკვეთრად ამჩნევიათ ოსტატის თამამი ხელის კვალი, მართლაც შთამბეჭდავია, რაღაც სულ სხვა იერიც შეუძენიათ. მათი მნახველი უცნაური სიჩუმის შეგრძნებას განიცდის. ზოგან დაჟანგებული, ზოგან კი ახალი დეტალებით შევსებული სხეულები დიდებული სიმშვიდით ელიან საკუთარ ადგილზე განახლებული იერით დაბრუნებას.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მათი არსებობის იდეა დაიბადა, თუმცა, გოგი ოჩიაურის პროექტსა და სურვილს სრულყოფილი სახე ჯერ არ მიუღია. "ძალიან მინდა მოვახერხო და ეს მემორიალი დავასრულო", - მითხრა ბოლოს მოქანდაკემ, რომელიც იმაზე დარდობს, რომ მათი სრულქმნა გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე უბრალო რესტავრაცია. იმისთვის, რომ ამ გაწვალებულმა სკულპტურებმა ამჯერად მაინც მიიღონ შესაფერისი სახე, რიტუალური მოედნის რეკონსტრუქციაა საჭირო, რათა "შერიგებისთვის მოწოდებული ქართველთა სულები" და, საერთოდ, სკულპტურული ანსამბლი ერთხელ და სამუდამოდ იქცეს დასრულებულ, მართლაც საამაყო მონუმენტად, თუმცა, ამისთვის, როგორც მოქანდაკის საუბრიდან გავიგე, მხოლოდ მისი და მის დამხმარეთა ძალისხმევა არ კმარა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩვენ კიდევ ერთი სიახლე გველის, ახალი მემორიალი, ახლებურად განცდილი, "საყოველთაო ეროვნული შერიგების იდეით განახლებული".

შევეცადე, ყველაფერი მეთქვა, რაც შეიძლებოდა საგაზეთო სტატიით თქმულიყო, თუმცა, ალბათ, ბევრიც დამრჩა ბატონი გოგი ოჩიაურის მოგონებებიდან დაუწერელი...

ახლა, როცა, ავად თუ კარგად, ჩემი მისია შესრულებულია, მინდა გამოგიტყდეთ: იმის მიუხედავად, რომ ამ ბოლო სამი თვის განმავლობაში არაერთ პრობლემურ და საკამათო თემაზე დამიწერია, ისე როგორც ეს წერილი, არც ერთი არ გამძნელებია. გადმოსცემდა თუ არა სტატია იმ პათოსს, რომელიც ეროვნული თანხმობისა და შერიგების მონუმენტის განხორციელებას ახლავს, მოვახერხებდი თუ არა მკითხველისთვის რიგიანად მომეთხრო იმ პერიოდზე, რასაც თავად არ მოვსწრებივარ და რაც ჩემთვის მხოლოდ ჩემი ქვეყნის წარსულია? - ვხვდებოდი, რომ სწორედ ეს კითხვები აწუხებდა ბატონ გოგი ოჩიაურს. შევძელი თუ არა - ეს უკვე მკითხველის განსასჯელია.

ისიც მინდა ვთქვა, რომ სტატიას, თავად მოქანდაკის სურვილით, მისივე წერილი უნდა დართვოდა, რომელიც საყოველთაო ეროვნული თანხმობის ძეგლის მნიშვნელობისა და არსის გამომხატველი იქნებოდა. როგორც ხედავთ, ასე არ მოხდა. გოგი ოჩიაურს ის დრო მოაგონდა, როცა წლების განმავლობაში ამ მონუმენტის შესახებ ვრცელ ახსნა-განმარტებებს სთხოვდნენ. ამიტომ ეს ჩანაფიქრი არ განუხორციელებია. წერილის ნაცვლად, ჩემთვის გულწრფელად დაწერილი პატარა ტექსტი გადმომცა. მას სრულად არა, მაგრამ ნაწილს მაინც გაგიმხელთ: "შევუდექი თუ არა წერას, მივხვდი, რომ ჩემი და თავად ძეგლის დამამცირებელ კომუნისტურ პრაქტიკას ვაგრძელებდი და შევწყვიტე წერა. ალბათ, ბევრს ახსოვს პოპულარული ხალხური: "მერე თქვეს, დრონი მოვლიან, კარ გაიღების თავადა". დარწმუნებული ვარ, ასე იქნება... დროა!!!"

პაულო კოელიოს სვეტი

# ფიჭვი წმინდა მარტინის სოფლიდან



პატარა სოფელი წმინდა მარტინი საფრანგეთის პირინეებში მდებარეობს. შობის ღამეს სოფლის მღვდელი მღვდელთმსახურების აღსასრულებლად ემზადებოდა, როცა მოულოდნელად საოცარი სურნელი იგრძნო. ზამთარი იდგა და ყვავილები ალარსად ყვაოდა, იმ მათრობელა არომატს კი ისე გაეჟღინთა ჰაერი, თითქოს, გაზაფხული მოსულიყო დროზე ადრე.

მღვდელი ისე შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ, რომ გარეთ გავიდა, ამ სასწაული სურნელის გამომწვევი მიზეზისთვის რომ მიეკვლია. სკოლის ზღურბლზე პატარა ბიჭს გადააწყდა, იჯდა, გვერდით კი ოქროსფერი ნაძვის ხე ედგა.

"რა მშვენიერი ხეა!" - აღმოხდა მღვდელს, - "ალბათ, მისი წვერი ცას შეეხო, ასეთ ღვთიურ სურნელს რომ აფრქვევს! და ეს რა საოცრებაა! - მთლიანად ოქროსგანაა დამზადებული! საიდან გაქვს?"

შეფიქრიანებული ბიჭუნა ვერც მღვდლის სიტყვების შემდეგ დამშვიდდა, მაგრამ მაინც უპასუხა.

"თქვენ მართალი ბრძანდებით - ეს ხე მართლაც ძალიან უცნაურია. გზადაგზა, თანდათან დამძიმდა, რაც უფრო მეტს დავდივარ, მით უფრო უმძიმდება წიწვებიც. მაგრამ არა მგონია, ოქროსი იყოს. ისიც არ ვიცი, ჩემს მშობლებს რა რეაქცია ექნებათ, როცა მას დაინახავენ".

და შემდეგ ბიჭმა მღვდელს ამბავი მოუთხრო:

"სახლიდან ადრიანად გამოვედი. ტარბში მივდიოდი. კარგი საშობაო ნაძვის ხის საყიდლად ფული დედამ მომცა. გზად ერთ პატარა დასახლებაზე უნდა გამევლო. ორლობეში მარტოხელა მოხუცი ქალი შევნიშნე. მივხვდი, რომ შობის ღამეს სრულიად მარტო უნდა ყოფილიყო - მის გვერდით არც ერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. გული ამიჩუყდა და ცოტა ფული მივეცი, ვახშამის მომზადება მაინც რომ შეძლებოდა. თან ჩემთვის ვფიქრობდი, რომ ნაძვის ხეზე ფასს როგორმე დავაკლებინებდი.

როცა ტარბში ჩავედი, დიდ ციხეს ჩავუარე. გარეთ უამრავი ხალხი იცდიდა, მიღების საათების დაწყებას ელოდებოდნენ. ყველას დამწუხრებული სახეები ჰქონდა, რადგან იცოდნენ, რომ შობის ღამეს საყვარელი ადამიანები მათგან შორს იქნებოდნენ. აქა-იქ მესმოდა, როგორ ამბობდა რამდენიმე მათგანი, რომ დღესასწაულისთვის ღვეზელის ნაჭრის ყიდვაც კი ვერ შეძლეს. და მეც ჩემი ასაკისთვის დამახასიათებელი რომანტიზმით აღვივსე და გმირული გადაწყვეტილება მივიღე - განვიზრახე, ფული, რომელიც დედამ მომცა, იმ ადამიანებისთვის მეწილადებინა, რომელთაც ჩემზე მეტად უჭირდათ. ბოლოს იმ აზრამდეც მივედი, რომ მხოლოდ მიზერულ თანხას დავიტოვებდი, პურის ფულად, ნაძვის ხეს კი ნაცნობისგან ვიშოვნიდი. ბოლოს და ბოლოს, ერთი ფლორისტი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო და ის აუცილებლად მომცემდა ხეს, მერე კი, მთელ კვირას ვიმუშავებდი და ვალს გავუსტუმრებდი.

მაგრამ შემდეგ გეგმები ჩამეშალა. ჩემი ნაცნობი ფლორისტი ბაზარში ვერ ვიპოვე. მითხრეს, დღეს სამუშაოდ არ გამოსულაო. ვის არ მივედ-მოვედე, მაგრამ ფული ნაძვისხის საყიდლად ვერავისგან ვიშოვე.

დავიღალე და გავიფიქრე, იქნებ მაძღარ კუჭზე რაიმე უკეთესი იდეა მომივიდეს-მეთქი და ბარს მივადექი. სანამ ჩემს წილ ულუფა საჭმელს ვიყიდდი, უცხო გარეგნობის ბიჭი მომიახლოვდა და ხურდა მთხოვა, თან დასძინა, ორი დღეა, არაფერი მიჭამიაო. მის დანახვაზე მაშინვე ყრმა იესო გამახსენდა, რომელსაც ბავშვობაში შეიძლება ბევრჯერ განეცადა შიმშილის გრძნობა და ამიტომ ბართან მდგომ მათხოვარ ბიჭუნას ბოლო კაპიკები მივეცი, მერე კი ცარიელ-ტარიელი სახლისკენ გზას დავადექი. სადღაც, გზის პირას, ფიჭვის ხეს ერთი ტოტი მოვწყვიტე, დედის გული იქნებ ამ პატარა რტოთი მაინც მოვინადირო-მეთქი. ბევრი ვეცადე, ცოტა შემელამაზებინა, ზედმეტი ტოტები მომეჭრა, მაგრამ ამაოდ - ლითონივით გამაგრდა, ახლა სადღესასწაულო ხისა აღარაფერი ეტყობა და დედა რას მეტყვის, არც ვიცი".

"ძვირფასო ბიჭუნა", - მიმართა მას მღვდელმა, - "სურნელი, რომელსაც შენი ხე აფრქვევს, დარწმუნებული ვარ, ზეციდან მოდის. ეხლა ჩემი დრო დადგა, ყურადღებით მომისმინე და დანარჩენ ამბავსაც გაიგებ:

"როგორც კი შენ იმ პატარა სოფლიდან გამოხვედი, მადლიერი მოხუცებული ღვთისმშობელს მთელი გულით შეევედრა, შენთვის წყალობა არ მოეკლო და უანგაროდ გაცემული საჩუქრისთვის დაეჯილდოებინე. მერე ხანდაზმული ქალის ლოცვას იმ პატიმრების ნათესავების ვედრებაც დაემატა - რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შენ ანგელოზად მოევლინე მათ და მადლობას გწირავდნენ იმისთვის, რომ საშობაო ნამცხვრის ყიდვა შეძლეს. იესოს წინაშე შენთვის ის პატარა მათხოვარი ბიჭუნაც ლოცულობდა, ბართან ხელი რომ გაუმართე.

დაბოლოს, ღვთისმშობელმაც, ანგელოზებმაც და იესომაც შეისმინეს მადლიერი ადამიანების ლოცვა. როცა შენ ფიჭვს ტოტი მოაწყვიტე, ღვთისმშობელმა ის წყალობის სურნელში ამოავლო. შენ გზა განაგრძე, ანგელოზები კი თან აგედევნენ, ხის ტოტებს შეეხნენ და ოქროდ აქციეს. ბოლოს, როცა ყველაფერი მზად იყო, ნამუშევარს იესომაც გადმოხედა ზეციდან და ხე აკურთხა. ამიერიდან სულ ასე იქნება - ვინც კი ამ საშობაო ხეს შეეხება, ცოდვები მიეტევება, სურვილები კი აუსრულდება".

მღვდლის სიტყვები გამართლდა. ლეგენდის მიხედვით, წმინდა მარტინში ეს წმინდა ფიჭვი დღემდე ცოცხლობს. მისი ძალა, თურმე, იმდენად უზღვავია, რომ ყველას სწყალობს; ყველას, ვინც შობის ღამეს მეზობლებსა და ახლობლებს დაეხმარება. რაც მთავარია, არც მანძილს აქვს მნიშვნელობა. რაც არ უნდა შორს იყოთ პირენეებში მდებარე პატარა სოფლისგან, სასწაულთმოქმედი ფიჭვის წყალობა, სიკეთის ჩადენის შემთხვევაში, არ მოგაკლდებათ.

(ჰასიდური ზღაპრის მიხედვით)

*პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ფეხბურთი

# ესპანეთი

*ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ესპანეთში ათეულობით ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა. პირინეელი ვარსკვლავების თამაში უყურადღებოდ არც ინგლისურ პრემიერლიგას დარჩენია - ხაბი ალონსო, ხოსე ანტონიო რეიესი და ლუის გარსია საფეხბურთო ბედნიერების ძიებაში ნისლიან ალბიონზე გადასახლდნენ.*

რაც შეეხება ესპანეთის პრიმერადივიზიონს, აქ 2004 წლის ყველაზე დასამახსოვრებელი ფორვარდი იყო "სარაგოსას" თავდამსხმელი დავიდ ვილა, რომელსაც ესპანეთის უმაღლეს დივიზიონში წელს დებიუტი ჰქონდა. 23 წლის ფეხბურთელმა, რომელიც "სარაგოსამ" ხიხონის "სპორტინგიდან" გადმოიყვანა, წელს 17 გოლი გაიტანა და ესპანეთის თასის ფინალში დამაჯერებლად გააბითურა "რეალის" მეკარე იკერ კასილასი, რომელსაც პენალტი გაუტანა. ვილა შესანიშნავ ტექნიკას ფლობს, აქვს კარგი სისწრაფე, ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევა და ამიტომ ვიქტორ მუნიოსის გუნდში წამყვანი ფიგურაა.

შემტევი ტიპის სხვა ფეხბურთელებს შორის დასამახსოვრებელი იყო სევილიელი კარლოს არანდა. ის იჯარის წესით "ალბასეტეში" თამაშობდა და გასულ სეზონში 9-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი. თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ "სევილიას" ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების ნუსხა მხოლოდ არანდათი არ შემოიფარგლება.

გუნდის მარჯვენა მცველი სერხიო რამოსი ნამდვილი აღმოჩენა გახდა. ამის შესახებ ისაუბრა კლუბის დირექტორმა მონხიმ: "როცა სერხიო სიყმაწვილის ასაკში გუნდში გამოჩნდა, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ მას დიდი პოტენციალი ჰქონდა". ხისტი და შეუპოვარი რამოსი ერთნაირად კარგად თამაშობს როგორც თავით, ისე ფეხით. ამ თვისებების გამო მან უკვე მიიპყრო ლონდონის "არსენალის" მწვრთნელის არსენ ვენგერის ყურადღება.

"სევილია" ერთ-ერთი იმ იშვიათ გუნდთაგანია ესპანეთის პრიმერადივიზიონში, სადაც არ ერიდებიან მინდორზე ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოშვებას. ბევრმა სკაუტმა უკვე ჩაინიშნა თავის დავთარში ხესუს ნავასი, რომელსაც თავისი მწვრთნელის გასახარად შეუძლია, ნებისმიერ ფრთაზე იმუშაოს და არ შეუშინდეს არავითარ მეტოქეს. ამასთან, გუნდის ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ხვდებოდნენ კარლიტოს დომინგესი, პაბლო რუისი და ანტონიო პუერტა.

მადრიდის "ატლეტიკომ" დაცვა გააძლიერა და სეზონის წინ "ალბასეტედან" 23 წლის მცველი პაბლო იბანიესი შეიძინა. მაღალმა მცველმა შესანიშნავი დუეტი შექმნა ლუის პერეასთან, ხოლო ამას წინათ იბანიესი ეროვნულ ნაკრებში გამოძახებასაც ეღირსა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის ლუის არაგონესისგან საფუძვლიანად ელოდება მიწვევას "ბარსელონას" ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების 20 წლის კაპიტანი თავისი ასაკისთვის შეუფერებელ ნიჭსა და ჭკუას წარმოგვიდგენს მინდორზე და საერთაშორისო სარბიელზეც არაერთხელ გაბრწყინებულა.

თავად არაგონესმაც აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ეროვნული ნაკრების მაისურას მთელი რიგი ახალგაზრდა ფეხბურთელები მოირგებენ. "ატლეტიკოს" გარემარბი გაბი ფერნანდესი "ხეტაფეში" იჯარით ყოფნის დროს გაიხსნა. ამას წინათ კი "ნუმანსიას" კარი დაახლოებით 25 მეტრიდან საოცარი დარტყმით დალაშქრა. "ვილიარეალმა" კი ტყუილად როდი დაიბრუნა ექტორ ფონტა. ეს ფეხბურთელი ექვსთვიან იჯარაზე იყო "მურსიაში" გამწესებული. ნახევარმცველმა თავისი ბომბარდირული კარიერა "მაკრატელათი" შესანიშნავი დარტყმით დაიწყო და ბურთი პირდაპირ მეტოქის კარის ბადეში გაახვია.



*ინიესტა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას ელოდება.*

უეფას თასის მონაწილის ბანაკში ძველებურად ისმის საქებარი სიტყვები უნივერსალური გარემარბის სანტიაგო კასორლას მისამართით. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და ამ მიღწევაზე გაჩერებას აღარ აპირებს. მის ანგარიშზე უკვე არის შთამბეჭდავად ჩატარებული მატჩები და რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გოლი.

"ატლეტიკი" ყოველთვის ენდობოდა თავის ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ასიერ დელ ორნო, ფრანცისკო იესტე და დანიელ არანსუბია შარშანდელ სეზონში შეუერთდნენ ესპანელი ვარსკვლავების რიცხვს. წელს კი მარჯვენა მცველის ანდონი ირაოლეს და ნახევარმცველი კარლოს გუპრეტის დრო დადგა. ერნესტო ვალვარდეს აღსაზრდელებისგან მეტს მომავალ წელს უნდა ველოდოთ, რადგან ამ ახალგაზრდა ფეხბურთელების კისერზე ამჯერად უეფას თასზე თამაშის გამოცდილებაც არის.

სან-სებასტიანის "რეალ-სოსიედადი" ზაფხულში ჰოლანდიელ მეკარე სანდერ ვესტერველდს დაემშვიდობა იმის გამო, რომ სურს, ახალგაზრდა ასიერ რიესგოს თავის გამოჩენის შანსი მისცეს. შესანიშნავად თამაშობს ბარსელონის "ესპანიოლისა" და კამერუნის ნაკრების მეკარე კამენი, რომელიც მხოლოდ 20 წლისაა.

# "ახლა გიჩვენებთ, რაც შემიძლია"

## ინტერვიუ ლუდოვიკ ჟიულისთან

*ფრანგი ლუდოვიკ ჟიული გასულ ზაფხულს გადავიდა "ბარსელონაში" და მაშინვე შეაყვარა თავი კატალონიელ გულშემატკივარს. "მონაკოს" ყოფილი კაპიტანი ჩინებულად შეეწყო ესპანურ კლუბს, თუმცა, შემდეგ სერიოზულად დაშავდა და 2004 წლის ბოლომდე მოუხდა დასვენება. ჟიულიმ უკვე მოიშუშა ტრავმა და მზად არის, გუნდს დაუბრუნდეს.*

**- ფიზიკურად როგორ გრძნობთ თავს?**

- თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მზად ვარ, ახლავე გავანახლო თამაში. საშობაო შესვენებისას ბევრს ვვარჯიშობდი, რის გამოც კუნთის პრობლემა მთლიანად გადავლახე. მოუთმენლად ველი გუნდთან შეერთებას.

**- მიღებული ტრავმა, ალბათ, დიდი განზბილება იყო თქვენთვის, "ბარსელონაში" გადასვლით განცდილი სიხარულის შემდეგ.**

- ცხადია, რადგან ამ ტრავმის გამო ვერ ვითამაშე იმდენი, რამდენიც მინდოდა. საერთოდ, ტრავმები განუწყვეტლივ თან მდევენ. ტრავმირებული ვიყავი ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც, როდესაც "მონაკოში" ვთამაშობდი. შემდეგ გამოვჯანმრთელდი და რამდენიმე თვის განმავლობაში კარგი ფეხბურთის თამაშის საშუალება მქონდა. მერე ისევ ტრავმები შემომეჩვია, რის გამოც ვეღარ ვახერხებდი, 100 პროცენტით დავხარჯულიყავი და ისეთი ფეხბურთი მეჩვენებინა, რომლის თამაშიც სინამდვილეში შემიძლია.

**- როგორ მოგეწონათ გუნდი უკანასკნელი კვირების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მას გვერდიდან ადევნებთ თვალს?**

- ვფიქრობ, გუნდში არაჩვეულებრივი ატმოსფეროა. ის ძალიან მოტივირებულია და ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი. შესანიშნავია, თუ როგორ ვზეიმობთ ჩვენს წარმატებებს, როგორ ვაგულიანებთ ერთმანეთს! ჩვენ მართლაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, ერთმანეთის მიმართ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. სწორედ ეს არის ის, რაც ნეგატიური მომენტების გადალახვაში და წარმატების მიღწევაში გვეხმარება.



*ლუდოვიკ ჟიული: "თავს შესანიშნავად ვგრძნობ".*

**- რისი იმედით ხვდება გუნდი სეზონის მეორე ნახევარს?**

- ო, იმედი მართლაც დიდია. სეზონის მეორე ნახევარი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ჩემთვის, არამედ მთლიანად გუნდისთვის. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ძალიან მინდა, ვაჩვენო გულშემატკივარს, თუ რას წარმოვადგენ სინამდვილეში. აქამდე საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ ახლა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ისეთ ფიზიკურ კონდიციაში ვარ, რომელიც გულშემატკივრებისა და კლუბისთვის საუკეთესოს გაკეთების საშუალებას მომცემს.

**- კლუბი ახალ ფორვარდს ეძებს. რას ფიქრობთ ამაზე?**

- აბსოლუტურად ნორმალურია, რომ კლუბი ახალ საშუალებებს ეძებს და გუნდის გაძლიერებას ცდილობს. ჩვენ გვჭირდება ახალი ფეხბურთელები, თუმცა, ეს მენეჯერებისა და მთლიანად ხელმძღვანელობის საქმეა. მივესალმებით ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც შემოგვიერთდება. ისინი კიდევ უფრო გააძლიერებენ გუნდს.

# ბორხა ფერნანდესი: "დავბრუნდი"

*ბორხა ფერნანდესს არ სურს, რომ მადრიდის "რეალმა" საყრდენი ნახევარმცველი შეიძინოს. მას იმედი აქვს, რომ თვითონ გახდება "სამეფო კლუბის" ზამთრის შენაძენი. ფეხბურთელმა უკვე მოიშუშა ის ტრავმები, რომლებიც დიდხანს აწუხებდა. ამ სეზონში ტრავმების გამო ბორხამ ბევრი მატჩი გამოტოვა და თავის გამოჩენის საშუალება არ ჰქონია (ის მინდორზე მხოლოდ ორჯერ გამოვიდა). ამჟამად ბორხა აპირებს აღიდგინოს სპორტული ფორმა და გუნდს ამით დაეხმაროს.*

**- ახალი წელია და ამდენი უთამაშებლობის შემდეგ თქვენთვის ახალი ცხოვრება იწყება...**

- მართალია. ტრავმების გამო დიდი დრო გამოვტოვე. იმედია, ტრავმები წარსულს ჩაბარდა, რადგან ამ სეზონში უკვე ზედიზედ ორჯერ მივიღე. ერთადერთი, რაც ახლა მინდა, ის არის, რომ გუნდთან ერთად რეგულარულად ვივარჯიშო. მსურს, რუდუნებით ვიშრომო იმისთვის, რომ სპორტული ფორმა აღვიდგინო და გუნდის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი მონაწილეობა მივიღო.

**- რას ელით 2005 წლისგან?**

- მსურს, ბევრი სათამაშო დრო მოვიპოვო და გავზარდო ჩემი წვლილი გუნდის წარმატებაში. ჩემი მიზანია იმაზე მეტი ვითამაშო, ვიდრე გასულ სეზონში, რადგან მინდა, მნიშვნელოვანი პროგრესი განვიცადო. კოლექტიურ დონეზე კი ვიტყვი, რომ იმედი მაქვს, დასრულდება უიღბლობის პერიოდი, რომელსაც გუნდი ესპანეთის პრიმერადივიზიონში განიცდის. ვფიქრობ, რომელიმე ჯილდოს მაინც მოვიგებთ და გულშემატკივრებს კარგ წარმოდგენას დავუტოვებთ.

**- როგორია თქვენი შთაბეჭდილება ლუქსემბურგოსთან პირველი კონტაქტის შემდეგ?**

- მწვრთნელმა აგვიხსნა, თუ რა სურს მიიღოს მომდევნო დღეებისგან. ეს ვარჯიში უფრო გაცნობითი ხასიათის იყო, ვიდრე ვარჯიში, როგორც ასეთი. მინი-წინასასეზონო გაცნობა. ყოველი მწვრთნელი გუნდში საკუთარ სტილს ნერგავს. ლუქსემბურგოს სურს, კარგი ბაზა შევიქმნათ შემდგომი პერიოდისთვის, ამიტომ დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. გარსია რემონის წასვლამ გაგვაოცა, რადგან არ მოველოდით, მაგრამ ეს ფეხბურთია და ასეთი რაღაცები ხდება.

**- რას ფიქრობთ ორჯერად ვარჯიშებზე?**

- მინი-წინასასეზონო ვარჯიშებს ჰგავს. ვვარჯიშობთ, შემდეგ ერთად ვსადილობთ... თუმცა, ამაში განსაკუთრებული არაფერია.




*ბორხა ფერნანდესი: "ახლანდელი შემადგენლობა შარშანდელზე ძლიერია".*

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ ფორმის აღდგენა ხომ გვჭირდება. ასე სეზონის მიმდინარეობისას რომ დავიტვირთოთ, ვთქვათ, მარტში ან მაისში, მაშინ ეს შეიძლება ფეხბურთელთა ფსიქოლოგიაზე აისახოს, მაგრამ ამ დღეებში ასეთი წავარჯიშება არ გვაწყენს.

**- მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება "ძლიერი ხელის" დამკვიდრებას ხომ არ ნიშნავს?**

- არავითარ შემთხვევაში. მწვრთნელს სურს, რომ ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად გავიცნოთ ერთმანეთი. ის გადაწყვეტილებას გუნდის საკეთილდღეოდ იღებს.

**- ამბობენ, რომ გუნდს სურს, საყრდენი ნახევარმცველი შეიძინოს. როგორ ფიქრობთ, ეს აუცილებელია?**

- არ მგონია, რომ ეს აუცილებელია, რადგან ტრავმების შემდეგ მე უკვე გამოვკეთდი. თუმცა, ხუმრობა იქით იყოს და, გუნდს თავისი აზროვნება აქვს. ვფიქრობ, ახალი ფეხბურთელის შეძენის აუცილებლობა არ არსებობს და მე გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. შარშან გუნდში ნაკლები ფეხბურთელი ირიცხებოდა და ჩავარდნა მხოლოდ სეზონის ბოლოს განიცადა. ორი ჯილდო კი მოვიგეთ. ამას გარდა, ვფიქრობ, ახლანდელი შემადგენლობა შარშანდელზე ძლიერია.

ფეხბურთი

# რიო ფერდინანდი აბრამოვიჩის მორიგი სამიზნეა

ნინო ტიკარაძე

*მართალია, "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალურ მცველს რიო ფერდინანდს კლუბში ყოფნის ვადა ჯერჯერობით არ ეწურება, მაგრამ კლუბი მზადაა, დრო არ დაკარგოს და ფეხბურთელს კონტრაქტი 2010 წლამდე გაუხანგრძლივოს. ამის მიზეზი "ჩელსის", უფრო კონკრეტულად კი, მისი პრეზიდენტის რომან აბრამოვიჩის სერიოზული ინტერესი გახლავთ "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველის მიმართ.*


*აბრამოვიჩს ამჯერად ფერდინანდი მოუნდა.*

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონზე რიო ფერდინანდმა დოპინგ-ტესტზე დადებითი პასუხი მიიღო და რვათვიანი დისკვალიფიკაციაც დაიმსახურა, ამ ფაქტმა კლუბში არც რეპუტაცია შეულახა და არც მის იმიჯს დააკლო რამე. მოკლედ, სექტემბერში, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ფეხბურთელი დაუბრუნდა "ოლდ ტრაფორდს" და ისეთივე შემართებით შეუდგა თამაშს, როგორც ამას დისკვალიფიკაციამდე აკეთებდა.

რამდენიმე ხნის წინათ "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა გაზეთ "Sun"-თან ინტერვიუში აღნიშნა: "რიო შესანიშნავ ფორმაშია. ის მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური მცველია".

მართლაც, რიო ფერდინანდი "მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ამ ბოლო დროს ფერგიუსონი მას როი კინის მოედანზე არყოფნის დროს გუნდის კაპიტნის რანგში ათამაშებს.

ახლა კი "მანჩესტერ იუნაიტედი" ფეხბურთელის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. თუმცა, ძლიერი ფეხბურთელების დაკარგვა ამ გუნდისთვის უცხო არ არის. ზუსტად ასეთი პრობლემის წინაშე იდგა კლუბი ორი წლის წინათ, როცა დევიდ ბექჰემმა მადრიდის "რეალში" გადასვლა დააპირა. კლუბმა მისი შეჩერება ვერ შეძლო, ამიტომაც ინგლისელმა ფეხბურთელმა განზრახვა სისრულეში მოიყვანა და ინგლისს გამოემშვიდობა.

ამჯერად "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელისთვის იბრძვის არა მადრიდის "რეალი", არამედ ლონდონის "ჩელსი". როგორც აღმოჩნდა, მისი მფლობელი რომან აბრამოვიჩი რიო ფერდინანდის დიდი ხნის თაყვანისმცემელი ყოფილა, ამიტომაც, სავარაუდოდ, იგი ნებისმიერ თანხას გადაიხდის ცენტრალური მცველის საცდუნებლად და თავის კლუბში გადასაყვანად.

ამ ფაქტზე ინგლისელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში კომენტარი გააკეთა "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა და "ჩელსის" ამჟამინდელმა წარმომადგენელმა მაიკ ტომასმა: "დარწმუნებული ვარ, რომან აბრამოვიჩი იმდენად პატივს სცემს რიო ფერდინანდის ტალანტს, რომ "ჩელსიში" მის გადმოსაყვანად არაფერს დაიშურებს. მოგეხსენებათ, ყველას თავისი ფასი აქვს. ვფიქრობ, ფერდინანდისთვის იმაზე მეტი უნდა გადაიხადონ, ვიდრე 2001 წელს მადრიდის "რეალმა" გადაუხადა "იუვენტუსს" ზინედინ ზიდანში. შესაძლოა, ეს განცხადება სასაცილოდ ან წარმოუდგენლად მიიჩნიონ, მაგრამ ყველა ხედავს, რამდენად ძვირფასია რიო ფერდინანდი "მანჩესტერ იუნაიტედისთვის". კარგად იცით, როგორ გაუჭირდა "ლიდსიდან" გადმოსულ ფერდინანდს ახალ გუნდთან შეგუება, მაგრამ როგორც კი ეს მოახერხა, მაშინვე გაითქვა სახელი "მანჩესტერ იუნაიტედში" და მალე გულშემატკივრების სიყვარულიც დაიმსახურა. "ჩელსი" უკვე დიდი ხანია დაინტერესებულია რიო ფერდინანდით, უბრალოდ, ახლა ამ ინტერესმა სერიოზული სახე მიიღო. გულწრფელად რომ ვთქვა, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც რიო ფერდინანდი თავის ახლანდელ გუნდს დატოვებს, ალბათ, ფული იქნება. სერ ალექს ფერგიუსონმა უკვე მრავალგზის დაამტკიცა, რომ ფერდინანდს გუნდის მომავალ კაპიტნად მოიაზრებს, მაგრამ, ასეა თუ ისე, როგორც ხედავთ, ფეხბურთელი, ალბათ, გუნდიდან მაინც წავა. პირადად მე "მანჩესტერ იუნაიტედი" ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს გუნდი მაინც იმ დონეზე არ არის, როგორზეც უნდა იყოს".

მართლაც, "მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა ესმოდეს, რომ იგი ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს კარგავს. აბრამოვიჩს შეუძლია, 25 წლის ცენტრალურ მცველს ისეთი თანხა შესთავაზოს, რომელზეც უარს, ალბათ, ვერ იტყვის ფერდინანდი, ფეხბურთელი, რომელიც 2002 წელს "მანჩესტერ იუნაიტედმა" 30 მილიონ ფუნტად იყიდა "ლიდსისგან".

"ჩელსი" კი ნამდვილად არ განიცდის მაღალი კლასის მცველთა ნაკლებობას. ჯონ ტერი, უილიამ გალასი, რიკარდო კარვალიუ... ამ უკანასკნელის ყიდვა კლუბს რამდენიმე თვის წინათ 19.85 მილიონი ფუნტი დაუჯდა, მაგრამ, ასეთი შემადგენლობის მიუხედავად, აბრამოვიჩი მაინც რიო ფერდინანდს უმიზნებს. როგორც ჩანს, მას მიაჩნია, რომ ამ საქციელით არა მარტო "ჩელსის" გააძლიერებს, არამედ, ამავე დროს, "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სერიოზულ დარტყმას მიაყენებს.

# სენსაცია - ლიზარაზუ "ბაიერნში" ბრუნდება!

"ბაიერნში" ის შვიდი წლის წინათ, ბილბაოს "ატლეტიკიდან" გადავიდა და მიუნხენურ კლუბში თამაშის პერიოდში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფეხბურთელად იქცა. 169 სანტიმეტრი სიმაღლის, წარმოშობით ბასკი ბიქსენტ ლიზარაზუ "ბაიერნთან" ერთად 1999, 2000, 2001 და 2003 წლებში ოთხჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 1998, 2000 და 2003 წლებში სამჯერ დაეუფლა გერმანიის თასს, ხოლო 2001 წელს ჯერ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა. 1997 წლიდან 2004 წლამდე ბუნდესლიგაში მან 152 მატჩი ჩაატარა და შვიდი გოლი გაიტანა. "ბაიერნის" შემადგენლობაში თავისი უკანასკნელი შეხვედრა ამჟამად უკვე 35 წლის ლიზარაზუმ, გასული წლის 22 მაისს, "ფრაიბურგის" წინააღმდეგ ჩაატარა. თავის, უკვე მშობლიურ კლუბად ქცეულ "ბაიერნთან" განშორებისას ლიზარაზუს ცრემლი მოერია, ამბობდა, რომ ის ყოველთვის დარჩებოდა ამ კლუბის ოჯახის წევრად...


*ბიქსენტ ლიზარაზუმ ბევრი იარა, თუ ცოტა, გერმანიაში დაბრუნდა.*

მიუხედავად ამისა, ლიზარაზუ მაშინ ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე კიდევ მოუწევდა "ბაიერნის" შემადგენლობაში თამაში. გასულ ზაფხულს ის მარსელის "ოლიმპიკში" გადავიდა, რათა ნელ-ნელა თავისი კარიერა სამშობლოში ჩაემთავრებინა. პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ, ლიზარაზუ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებსაც დაემშვიდობა და უნდოდა, საფეხბურთო კარიერის დარჩენილი წლები მთლიანად "მარსელისთვის" მიეძღვნა.

თუმცა, სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა "მარსელში" ფეხი ვერ მოიკიდა. მართალია, მიმდინარე სეზონში მან 14 მატჩი ჩაატარა, მაგრამ "მარსელის" დამრიგებლის ფილიპ ტრუსიესთვის ის მხოლოდ სათადარიგო მოთამაშე იყო.

სწორედ ამიტომ შობის წინა დღეს ლიზარაზუ "ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესს ტელეფონით დაუკავშირდა და მიუნხენში დაბრუნების სურვილის შესახებ უამბო. "ლიზარაზუმ საშობაო არდადეგების პერიოდში დამირეკა და მითხრა, რომ მარსელში თავს კარგად ვერ გრძნობდა", - იხსენებს ჰიონესი.

ლიზარაზუს ეს შეთავაზება "ბაიერნის" ხელმძღვანელობამ სიხარულით მიიღო. მისი წასვლის შემდეგ მიუნხენურ კლუბს უდიდესი პრობლემები შეექმნა დაცვის მარცხენა ფლანგზე. თობიას რაუმ ხელმძღვანელობის იმედი ვერ გაამართლა, თან, გამუდმებით ტრავმირებულია. მარცხენა ფლანგზე თამაში ვერც ჰასან სალიამიდჯიჩს გამოსდის. ასე რომ, ლიზარაზუს დაბრუნება მიუნხენელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე არსებული ვაკუუმის შესავსებად პირდაპირ მისწრება იქნება. გარდა ამისა, იმის გამო, რომ "მარსელთან" ერთად ლიზარაზუს წელს ევროთასებზე არ უთამაშია, "ბაიერნი" მას ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიყენებს.

გუშინ დილით ბიქსენტ ლიზარაზუმ უკვე გააფორმა "ბაიერნთან" კონტრაქტი, რომელიც მიმდინარე სეზონის ბოლომდე ძალაში იქნება. ზვალ ის პარიზიდან დუბაიში გაფრინდება, სადაც "ბაიერნი" თავის შეკრებას იწყებს.

ფორმულა 1

# ლაუდა ფიქრობს

იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები 2005 წლის სამეფო რბოლებში, ინტერვიუ ჩამოართვეს ფორმულა 1-ის სამგზის ჩემპიონს, ავსტრიელ ნიკი ლაუდას, რომელიც, თავის მხრივ, აანალიზებს შესაძლო პერსპექტივებს. ვიდრე ახალ ბოლიდებს საქმეში არ ნახავენ, წინასწარ რაიმეს განჭვრეტა და ძალთა თანაფარდობაზე საუბარი ძნელია, მაგრამ ფორმულა 1-ის გულშემატკივართათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ლეგენდარული მრბოლის მოსაზრებები, რომელიც მან გერმანულ ტაბლოიდ "ბილდს" ("Bild") გაანდო.


*ლაუდას 2005 წლის სეზონზე საკუთარი შეხედულება აქვს.*

**- მიხაელ შუმახერი ნორვეგიაში ისვენებს. ფიქრობთ თუ არა, რომ ის კვლავაც დომინანტად მოგვევლინება?**

- პირიქით! ის ისვენებს, რადგან იცის, რომ იოლი გასეირნება არ ელის. მიხაელი ყველაფერს სწორად აკეთებს: როგორც საჭიროა, ისე ისვენებს და მორიგ ტიტულზე შეტევას ამზადებს. მისი დაშოშმინება იოლი არაა.

**- დაკმაყოფილდებიან კი BMW და "მერსედესი" მეორე-მესამე ადგილებით?**

- არა. "ფერარის" მეტოქეებს ბრწყინვალე შანსი აქვთ სკუდერიელთა დასამარცხებლად. ახალმა წესებმა მათ სასარგებლოდ უნდა ითამაშოს.

**- რას გულისხმობთ?**

- პირველ ყოვლისა, საბურავებთან დაკავშირებულ ახალ წესებს. 2005 წელს რეზინმა რბოლის სრულ მანძილს უნდა გაუძლოს. ამიტომ საბურავების მწარმოებელი კომპანიები ახლა სხვაგვარად მუშაობენ. საბურავების ნარევი ბევრად მტკიცე და უხეში უნდა იყოს.

**- უპირატესობა ვის მხარეს იქნება - "მიშელინის" თუ "ბრიჯსტოუნის"?**

- "მიშელინს" მეტი მონაცემები ექნება "მერსედესისგან", BMW, BAR და "ტოიოტასგან". "ბრიჯსტოუნს" კი მხოლოდ "ფერარი" ჰყავს". ყველაფერმა ამან, შესაძლოა, "მიშელინის" წისქვილზე დაასხას წყალი. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბურავებს, რომლებიც გამარჯვებისა და დამარცხების ბედს წყვეტენ.

**- რამდენად წარმატებული იქნება რალფ შუმახერისთვის "ტოიოტა"?**

- იმედი მაქვს, წარმატებულ იქნება. თუმცა, გარკვეული ეჭვები მაინც მაქვს. რალფს მოთმინება მართებს.

**- "ტოიოტას" ის თუ აღიზიანებს, რომ რალფი ყოველთვის სკანდალების შუაგულშია? მაგალითად, სექსშოფების ქსელის აქციათა შესყიდვა და სხვადასხვა ისტორია...**

- შემიძლია წარმოვიდგინო, რომ იაპონელები ყველაფერ ამას სერიოზულად არ აღიქვამენ. მათთვის, პირველ ყოვლისა, მუშაობას ექნება მნიშვნელობა.

**- რამდენად ძლიერი იქნება ჰაიდფელდი BMW-ში?**

- ნიკ ჰაიდფელდი ძალზე წყნარი და მორიდებულია. მისი პრობლემა ისაა, რომ არასდროს არ იცის საკუთარი თავის ფასი! დროა, შეიცვალოს. იმ შემთხვევაში, თუ BMW მას ძლიერ მანქანას შესთავაზებს, იგი ნომერ მეორე გახდება გერმანიაში.

**- დევიდ კულჰარდს თუ მოეწონება Red Bull Racing-ში ყოფნა?**

- ნებისმიერ შემთხვევაში "Red Bull" ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ მისი ხელში ჩაგდება შეძლო. მოეწონება თუ არა თავად კულჰარდს მათთან მუშაობა, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, მეეჭვება, სიამოვნება მოჰგვაროს იმ ფაქტმა, რომ ბოლო რიგებიდან მოუწევს სტარტზე გასვლა.

TV-სპორტი

## პარასკევი. 6 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "საუთჰემპტონი" - "ფულჰემი
14:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "დინამო" (უკრაინა) - "ბაიერი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:55 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ლეჩე". პირდაპირი ტრანსლაცია
18:55 პროგრამა "75 წუთი ვალერი ლობანოვსკისთან"
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:35 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2002-2003. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" - "რეალი"
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "რომა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
11:15 ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი სტუდენტთა შორის მოსკოვში
12:30 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. რუსეთი - გერმანია
16:45 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1998 წელი. ნახევარფინალი. "DETROIT RED WINGS" - "DALLAS STARS". მე-6 მატჩი
19:15 ჰოკეი ბურთით. რუსეთის ჩემპიონატი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:00 ჩოგბურთი. ტურნირი ჩინეთში. ს. კუზნეცოვა - ს. უილიამსი; ს. კუზნეცოვა/ა. სანჩეს-ვიკარიო - ა. მორესმო/მ. შარაპოვა; ე. დემენტიევა - ვ. უილიამსი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

10:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
14:15 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები. ტომი ჰაასი
18:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ყატარაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
22:30 კრივი
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
01:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
02:30 ახალი ამბები
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ ... სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# კუპე M6 - კიდევ ერთი არისტოკრატი ბავარიიდან

წლის განმავლობაში არც ისე ხშირია დღეები, როცა გაიგებთ, რომ გერმანულმა კომპანია "ბეემვემ" სრულიად ახალი ავტომობილი მოამზადა წარმოებისთვის. თუმცა, ამ მხრივ, გამონაკლისი იყო წლევანდელი წელი, რომლის განმავლობაშიც, ბავარიული წარმოების ავტომობილების თაყვანისმცემლებმა ერთბაშად რამდენიმე სრულიად ახალი მოდელი მიიღეს.

მათგან პირველი ბაზარზე პირველი სერიის ჰეტჩბეკი გამოჩნდა, რომელიც "გოლფის" კლასს მიეკუთვნება და რომლის წყალობითაც, კომპანიამ საგრძნობლად გაზარდა გაყიდვები. მეორე იყო M5, რომელიც სპორტული ნირის ავტომობილების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი, მესამე კი - მე-3 სერიის სედანი, რომელმაც კომპანიის ფლაგმანის როლი უნდა იტვირთოს.

და აი, წლის მიწურულს, საშობაო დღესასწაულისთვის, "ბეემვემ" თავის თაყვანისმცემლებს კიდევ ერთი საჩუქარი შესთავაზა, რომლის ოფიციალური დებიუტიც მერმის, ჟენევის ავტოსალონზე შედგება. ესაა სპორტული კუპე "ბეემვე M6", რომელმაც ბევრი ტექნოლოგიური სიახლე M5-სგან მიიღო და რომელსაც, ისევე როგორც ამ სერიის სხვა ავტომობილებს, პირველ რიგში, ძრავი გამოარჩევს.

ძრავიც M5-სგანაა - 5-ლიტრიანი, V10 კონფიგურაციის მაღალტექნოლოგიური აგრეგატი, რომლის სიმძლავრეც 507 ცხენის ძალას შეადგენს. მაქსიმალური სიმძლავრე მუხლა ლილვის 7750 ბრ/წთ-ზე მიიღწევა, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი - 6100 ბრ/წთ-ზე. ამ ძრავის წყალობით,





1710-კილოგრამიანი ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას სულ 4.6 წამს ანდომებს, 200 კმ/სთ-ისას კი - თითქმის 14 წამს. გერმანელი მომხმარებლისთვის ავტომობილის სიჩქარე 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული, მაგრამ იმ შემთხვევისთვის, თუ ელექტრონულ შემზღუდველს მოხსნით, სპიდომეტრის ციფერბლატზე მაქსიმალურ მაჩვენებლად 330 კმ/სთ-ია მონიშნული. არადა, ძრავი არც ხარჯიანობით გამოირჩევა - შერეული ციკლით მოძრაობისას იგი ას კილომეტრზე სულ 11.8 ლიტრს მოიხმარს.

ეს აგრეგატი განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იმსახურებს, რომ ელექტრონული აღჭურვილობის მხრივ, მას მსოფლიოში ვერცერთი სხვა ძრავი ვერ შეედრება. მის მთავარ დეტალს წარმოადგენს მართვის ბლოკი, რომელიც სამი 32-ბიტიანი პროცესორისგან შედგება. იგი წამში 200 მილიონი ოპერაციის შესრულებას ასწრებს და ერთდროულად კოორდინირებას უწევს 50 გადამწოდისგან მიღებულ ინფორმაციას.

ისევე როგორც M5-ზე, M6-ზეც ძრავთან შეწყვილებულია მესამე თაობის, 7-საფეხურიანი, ნახევრად ავტომატური, ეგრეთ წოდებული სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი (სეკვენშელ მანუალ ჯეარბოქს - SMG), რომელსაც მართავს ელექტრონული სისტემა "დრაივლოჯიკ". ეს სისტემა მძღოლს 11 რეჟიმს სთავაზობს, რომელთაგან 6 რეჟიმი კოლოფის საფეხურების მექანიკურად გადართვის დროს გამოიყენება, ხუთი კი - ავტომატურად გადართვისას.

კოლოფს აქვს კიდევ ერთი ფუნქცია, რომელსაც "ჰილ დირექშნ" ჰქვია. ავტომატურ რეჟიმში მუშაობისას, როცა ავტომობილი აღმართზე მოძრაობს, ამ ფუნქციას კოლოფი დაბალ საფეხურზე გადაჰყავს, რათა აღმართი ადვილად იქნას დაძლეული. დაღმართში მოძრაობისას კი კოლოფი ძრავით დამუხრუჭების ხარჯზე ზღუდავს ავტომობილის სიჩქარეს.

მე-6 სერიის "ბეემვესგანაა" აღებული დაკიდების სისტემა, რომელსაც სტანდარტული გეომეტრია აქვს. აქ თითქმის ყველაფერი ალუმინისგანაა დამზადებული, რაც ამცირებს ავტომობილის წონას. მთლიანად ალუმინისაა უკანა ხიდი, რომელსაც აქვს დიფერენციალის ბლოკირების სისტემა. ავტომობილის საბაზო აღჭურვაში შედის ამორტიზატორების სიხისტის მარეგულირებელი სისტემა, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელია საკიდარის სამი რეჟიმით სარგებლობა. ეს რეჟიმებია კომფორტი, ნორმალი და სპორტი, რომლებსაც, მათი დასახელებიდან გამომდინარე, განმარტება არ სჭირდება. სტანდარტულია მოძრაობის სტაბილიზაციის სისტემაც, რომელიც უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ქალაქში მოძრაობისას, სპეციალური სისტემის (M დრაივ მენეჯერ) წყალობით, ძრავი თავისი სიმძლავრის მხოლოდ ნაწილს იყენებს. მაგალითად, მართვის ბლოკს აქვს რეჟიმი P400 და როცა ის მუშაობს (ეს კი ქალაქში მოძრაობისას ხდება), ძრავი მხოლოდ 400 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. თუ სპორტულ რეჟიმზე (P500) გადასვლა გვინდა, მაშინ დავაჭერთ ავტომობილის სალონში, ცენტრალურ კონსოლზე არსებულ ღილაკს, რომელსაც აწერია "პაუა" და ძრავი სრული სიმძლავრის გამომუშავებას დაიწყებს.

ესოდენ დიდი სიმძლავრის მქონე ავტომობილს შესაბამისი მუხრუჭებიც სჭირდება და რა თქმა უნდა, პედანტურმა გერმანელებმა ამაზეც იზრუნეს - 100 კმ/სთ სიჩქარიდან სრულ გაჩერებამდე M6 სულ 36 მეტრს გადის, 200 კმ/სთ სიჩქარიდან სრულ გაჩერებამდე კი 140 მეტრი სჭირდება. რა თქმა უნდა, ეფექტურ დამუხრუჭებაში თავის სიტყვას საბურავებიც ამბობს. ავტომობილის 19-დუიმიანი წინა თვლები შემოსილია 255/40ZR ზომის საბურავებით, უკანა თვლები კი (ასევე 19-დუიმიანი) - 285/35ZR ზომის საბურავებით.

ავტომობილის ძარის დასამზადებლად გამოყენებულია ალუმინი, თერმოპლასტი და კომპოზიციური მასალები. მაგალითად, ძარის ძირითადი ნაწილი, ორივე კარი და კაპოტი ალუმინისაა, წინა ფრთები - თერმოპლასტისა, ჭერი და საბარგულის სახურავი კი ნახშირბადოვანი კომპოზიტისა, რომელიც ფოლადზე მსუბუქი და გაცილებით მტკიცეა.

გარეგნობით, M6-ს მე-6 სერიის ავტომობილისგან მცირე ელემენტები განასხვავებს. ასეთებია უფრო დიდი ზომის ჰაერამღებები და ოდნავ შეცვლილი მოყვანილობის მქონე წინა ნაწილი. უკანა ბამპერის ქვემოთ განთავსებულია ოთხი, დიდი ზომის გამოსაბოლქვი მილი.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი - ყველა საღებავი, რომლებითაც M6 კუპეებს შეღებავენ, მხოლოდ ამ სერიის ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი და რაც მთავარია, ყველას მსოფლიოს ცნობილი სარბოლი ავტოდრომების სახელები (მაგალითად, წითელი ინდიანაპოლისი, ბრინჯაოსფერი სეპანგი, ლურჯი ინტერლაგოსი და სილვერსტოუნი) აქვს მინიჭებული.

ამ შესანიშნავი კუპეს მსოფლიო დებიუტი ჟენევის ავტოსალონზე (მარტში) შედგება. იქვე გამოცხადდება მისი საბაზო ღირებულება და დაიწყება წინასწარი შეკვეთების მიღება, რომელთა დაკმაყოფილებასაც ბავარიული კომპანია 2005 წლის ბოლოდან დაიწყებს.

# "სამქიმიანთა" ახალი M-კლასი

"მერსედეს-ბენცმა" გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია M-კლასის მეორე თაობის უგზოობის ავტომობილის შესახებ, რომლის მსოფლიო დებიუტი დეტროიტის ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი.

დაკვირვებული თვალი ერთი შეხედვით შეამჩნევს, რომ ახალი M-კლასი სრულიად ახალი ავტომობილია და არა პირველი თაობის რესტაილინგური ვარიანტი. პირველ რიგში, აღსანიშნავი ისაა, რომ ავტომობილმა ზომებში საგრძნობლად მოიმატა. კერძოდ, 150 მილიმეტრით დაგრძელდა, 71 მილიმეტრით გაგანიერდა, თვლების ბაზა კი 95 მილიმეტრით გაიზარდა. გაბარიტებიდან ერთადერთი სიმაღლეა, რომელიც შემცირდა (9 მილიმეტრით).

ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ შტუდგარდტელებმა აქცენტი ავტომობილისთვის სპორტული იერის მინიჭებაზე გააკეთეს. სპორტულობასვე უსვამს ხაზს ძლიერ დახრილი წინა საქარე მინა, ფართო ფრთები და ავტომობილის დამრეცი უკანა ნაწილი. გარდა ამისა, ავტომობილის გარეგნობაში ერთგვარი "სპარტანული სიმკაცრეც" იგრძნობა.

მთავარი ცვლილებანი კი კაპოტის ქვეშაა განთავსებული. მათ შორისაა ახალი, V6 კონფიგურაციის ძრავები, რომლებსაც შეუწყვილდება 7-საფეხურიანი ავტომატი 7G-მატიკი. ძირეულად მოდერნიზებული ყველაწამყვანთვლიანი





სისტემა, პნევმოსაკიდარი და სხვა, მეორეხარისხოვანი სისტემებიც. ძრავებიდან ორი დიზელის საწვავზე მუშაობს, ორიც ბენზინზე. დიზელებიდან ერთის სიმძლავრე 190 ცხენის ძალას შეადგენს, ერთისაც - 224 ცხენის ძალას. ორივე ძრავს თითქმის ერთნაირი ხარჯი აქვს. ისინი ყოველ ას კილომეტრზე მხოლოდ 9.4 ლიტრ დიზელის საწვავს მოიხმარენ. ბენზინის ძრავი ახალი არაა, ის ძველის მოდერნიზებული ვარიანტია და სიმძლავრე 272 ცხენის ძალამდე გაეზარდა. ძრავების გამაში ყველაზე მძლავრი კი ბენზინის V8-აა, რომლის სიმძლავრეც 306 ცხენის ძალას შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ გადაცემათა 7-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი ყველა ავტომობილის საბაზო კომპლექტაციაში შედის. ამასთან, მძღოლს შეუძლია აირჩიოს ან სრულად ავტომატური რეჟიმი, ანაც სეკვენტალური, რომელიც საჭის რგოლის ქვეშ განთავსებული ბერკეტით საფეხურების შეცვლის საშუალებას იძლევა.

სხვათა შორის, შტუდტგარდტელებმა გადაწყვიტეს, ახალი M-კლასი ქროსოვერად (ანუ გაზრდილი გამავლობის უნივერსალად) არ გადაეკეთებინათ. ისევე როგორც პირველი თაობის M-კლასი, მეორე თაობისაც უგზოობის სრულფასოვანი ავტომობილია.

ყველაწამყვანთვლიან ტრანსმისიას რამდენიმე დამხმარე სისტემა გააჩნია, რომლებიც მძღოლს საქმეს უადვილებენ. ამ სისტემებიდან ერთ-ერთი საინტერესო ისაა, რომელიც თავისით ჩამოიყვანს ავტომობილს დაღმართზე. აქვეა სტარტზე მძღოლის დამხმარე სისტემა და სპეციალურად უგზოობის პირობებისთვის მისადაგებული, ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა.

გარდა ამისა, შესაძლებელია, შეკვეთით რამდენიმე სხვა სისტემის დამონტაჟებაც. ასეთ სისტემებს შორისაა მაბრუნი მომენტის ხიდებს შორის გამანაწილებელი ორსაფეხურიანი აგრეგატი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რომელიმე ხიდის 100 პროცენტით დატვირთვა, ან მომენტის თანაბრად განაწილება. ასევე დამატებითი ოპციის სახით შესაძლებელია უკანა პნევმატური საკიდარის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც, ავტომობილს მოძრაობისას გზის საფარიდან დაშორების (კლირენსის) 200 მილიმეტრით (100-დან 300-მდე) გაზრდა შეუძლია. როცა კლირენსი მაქსიმუმს აღწევს, ავტომობილს თავისუფლად შეუძლია 60 სანტიმეტრის სიმაღლის თხრილის გადალახვა.

გარდა ამისა, როგორც შტუდგარდტელები ირწმუნებიან, ავტომობილის ინტერიერის გასაწყობად ამჯერადაც ძვირადღირებული მასალებია გამოყენებული. ამასთან. ახალი M-კლასი საბაზო აღჭურვის უმაღლესი დონითაც გამოირჩევა. სალონის სტანდარტულ ეკიპირებაში შედის ელექტრორეგულირებადი წინა სავარძლები. თანაც, დამატებითი აღჭურვილობის სიაც მრავალფეროვნებით გამოირჩევა - მყიდველს შეუძლია შეუკვეთოს კლიმატკონტროლი, პარკტრონიკი (დამხმარე სისტემა, რომელიც მძღოლს პარკირებისას მიეშველება), სისტემა "კომანდი" და ბი-ქსენონური ფარები.

რა თქმა უნდა, მოწოდების სიმაღლეზეა ავტომობილის პასიური უსაფრთხოების სისტემებით უზრუნველყოფა. ის აღჭურვილია უსაფრთხოების ადაპტირებადი ბალიშებით, პნევმო-ფარდებით და უსაფრთხოების ღვედების წინასწარ დამჭიმავებით. აქტიურ უსაფრთხოებას ემსახურებიან ბლოკირებისა და მოცურების საწინააღმდეგო სისტემები.

ახალი M-კლასის მსოფლიო დებიუტი დეტროიტის ავტოსალონზე შედგება. იქვე გამოცხადდება მისი ფასი. შტუდტგარდტელები დეტროიტშივე დაიწყებენ პირველი შეკვეთების მიღებას ამერიკელი მყიდველისგან, ევროპაში ამ ავტომობილის გაყიდვები 2005 წლის ზაფხულში დაიწყება.

# ახალი "პასატი" - აქცენტი სოლიდურობაზე

გერმანულმა კომპანია "ფოლკსვაგენმა" წელს თავისი ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი მოდელ "გოლფის" მეხუთე თაობის ავტომობილი გამოუშვა ბაზარზე, წლის ბოლოს კი თავისი ფლაგმანის, სედან "პასატის" მეექვსე თაობის მოდელის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ამ ავტომობილის ოფიციალური პრემიერა ჟენევის ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ "სახალხო" მარკის თაყვანისმცემლებს ვოლფსბურგელებისგან საშობაო საჩუქრის სახით, ახალ "პასატთან" გაცნობის საშუალება ახლავე მიეცათ.

ახალი "პასატი" მოდელ "ბორას" შემდეგ ("ბორა" სედანისძარიანი "გოლფია", რომლის პრემიერაც 2005 წლის დასაწყისში, ლოს ანჯელესის ავტოსალონზე შედგება) მეორე ავტომობილია, რომელშიც გამოყენებულია კონცეპტუალური მოდელების, "კონცეპტ R"-ისა და "კონცეპტ C"-ს სტილისტური ელემენტები. ესენია: დიდი ზომის (ერთგვარი საბრძოლო ფარივით), ქრომირებული რადიატორი, "აგრესიული" წინა მაშუქები და საერთოდ, ავტომობილის წინა ნაწილი თითქმის უცვლელად გადმოვიდა კონცეპტუალური მოდელებიდან. ამის წყალობით, ახალმა "პასატმა" ერთობ ინდივიდუალური და ადვილად საცნობი იერი მიიღო. იმის მიუხედავად, რომ თითქმის არ შეცვლილა სახურავის მოყვანილობა,





ავტომობილის პროფილი წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული გამოვიდა. "პასატის" უკანა ნაწილში უფრო მაღალი კლასის სედან "ფაეტონის" ფორმები გამოიკვეთა. ესაა საბარგულის მოყვანილობა, უკანა მაშუქები და დიდი ზომის საფირმო ემბლემა.

შეიცვალა ავტომობილის გაბარიტებიც - ის გაცილებით დიდი ზომისა გახდა და ამ მაჩვენებლებით თითქმის გაუთანაბრდა E-კლასის "მერსედეს-ბენცს". ასე მაგალითად, მისი სიგრძე 4.77 მეტრია (წინა თაობის "პასატთან" შედარებით, +6.2 სმ), სიგანე - 1.82 მეტრი (+7.4სმ), სიმაღლე კი - 1.47 მეტრი (+1 სმ). მხოლოდ 6 მილიმეტრით გაიზარდა ავტომობილის თვლებს შორის ბაზა, რომელმაც 2.71 მეტრი შეადგინა. გაბარიტების ზრდას შედეგად მოჰყვა უკანა მგზავრების კომფორტის გაუმჯობესება და საბარგულის მოცულობის საგრძნობი ზრდა. საბარგულის მოცულობა 90 ლიტრით გაიზარდა და 565 ლიტრი გახდა. შედარებისთვის, E-კლასის "მერსედეს-ბენცის" საბარგულის მოცულობა სულ 540 ლიტრია, მეხუთე სერიის "ბეემვეს" კი - 520 ლიტრი.

ახალი "პასატისთვის" განკუთვნილია ექვსი ძრავი, რომელთაგან ყველაზე სუსტია 4-ცილინდრიანი, 1.6 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე აგრეგატი, რომლის სიმძლავრეც ამ კლასისთვის შეუფერებლად მცირე, 102 ცხენის ძალაა. რაც შეეხება დანარჩენ აგრეგატებს, მათ საერთო ის აქვთ, რომ საწვავის უშუალოდ წვის კამერაში შეფრქვევის (ან მრტივად, უშუალო შეფრქვევის) სისტემით არიან აღჭურვილნი და აქედან გამომდინარე, გაზრდილი კუთრი სიმძლავრითა და ეკონომიურობით გამოირჩევიან. სულ "პასატი" მიიღებს ასეთი სისტემით აღჭურვილ სამ 4-ცილინდრიან ძრავს, რომელთა სიმძლავრეც შესაბამისად, 115, 150 და 200 ცხენის ძალაა. მათთან შეწყვილდება 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი.

გარდა ამისა, ახალი "პასატისთვის" განკუთვნილია დიზელზე მომუშავე სამი აგრეგატი, რომელთა სიმძლავრეც 105, 140 და 170 ცხენის ძალაა. ამასთან, ორი, უფრო ძლიერი აგრეგატი შეწყვილდება ნახევრადავტომატურ, სეკვენტალურ გადაცემათა კოლოფთან, რომელსაც მექანიკურ რეჟიმში მუშაობაც შეუძლია.

გარდა ამისა, ვოლფსბურგელები აცხადებენ, რომ 2005 წლის ბოლომდე "პასატის" მყიდველს შესთავაზებენ 3.2-ლიტრიან V6-ს, რომლის სიმძლავრეც 250 ცხენის ძალაა და რომელიც აგრეგატირებული იქნება ყველაწამყვანთვლიან ტრანსმისიასთან. რაც მთავარია, ვოლფსბურგელებმა საბოლოოდ თქვეს უარი W8 კონფიგურაციის ძრავზე, რომლსი წარმოება მეტისმეტად ძვირი ჯდება და ამიტომ, ბაზარზე ფეხი ვერ მოიკიდა.

საგრძნობლად გადახალისდა ავტომობილის სალონიც, რომელიც უფრო მდიდრული გახდა და მიუახლოვდა წარმომადგენლობითი ავტომობილების სტანდარტს. ინტერიერის გასაწყობად გამოყენებულ იქნება ძვირადღირებული ტყავი და ძვირფასი ხისგან დამზადებული დეკორაციული დეტალები.

ახალ "პასატში" გამოყენებული ტექნიკური ინოვაციებიდან აღნიშვნას იმსახურებს ხელის მუხრუჭის ელექტრომექანიკური ამძრავი - ახალ ავტომობილზე მას ბერკეტის ნაცვლად სპეციალური ღილაკი დაჭიმავს, რომელიც სიგნალს სერვომოტორს გადასცემს, ის კი ბრძანებას ასრულებს. ახალ ავტომობილს ვერც გასაღებით გააღებთ - მას ელექტრონული ბარათი დაიცავს მძარცველისგან. გასაღები არც ავტომობილის დასაქოქად იქნება საჭირო. ის, ვინც მის გაღებას შეძლებს, შესაბამის ღილაკზე თითის დაჭერით შეძლებს ავტომობილის გაღვიძებას.

გარდა ამისა, მყიდველს შეუძლია შეუკვეთოს მრავალნაირი დამატებითი მოწყობილობა, როგორიცაა კრუიზ კონტროლი, რომელიც აკონტროლებს მანძილს წინ მიმავალ ავტომობილთან და თუ ეს მანძილი შემცირდება, მძღოლისგან დამოუკიდებლად ამცირებს სიჩქარეს. მას შემდეგ, რაც მაჩანჩალა წინ მიმავალი გზიდან ჩამოეცლება, სისტემა თავადვე აღადგენს წინანდელ სიჩქარეს.

პრემიერის პარალელურად, კომპანია ჟენევაშივე დაიწყებს სედანზე შეკვეთების მიღებას, მოგვიანებით კი დაიწყება უნივერსალის ძარიანი "პასატების" გაყიდვებიც. ჟენევაშივე გამოცხადდება დებიუტანტის ფასიც.

*გვერდი მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*

## ფოტოგალერეა



სიზმარი. ავტორი: იური ლობოდინი

## TV პროგრამა

6 იანვარი

### რუსთავი - 2

**08.00** "ჯეტიქსი" **09.30** მხ. ფილმი "ეკლიანი გზა ვარსკვლავებისკენ" 1-ლი ს. **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრაფი მონტე კრისტო" **13.20** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსის და დოქტორ ვატსონის თავგადასავალი" **15.20** მხ. ფილმი "პატარა დევნილი" **17.20** სერიალი "ენტერპრაიზი" **18.20** "ჯეტიქსი" **18.50** გასართობი პროგრამა **19.20** მხ. ფილმი "პასპორტი" (გ) **22.15** "ვის უნდა 50 ათასი" **23.45** მხ. ფილმი "გაიხსენე ყველაფერი" (15) **01.15** მხ. ფილმი "ვალმონი" (18)

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.25** ბავშვობა. დოკ. ფილმი. **11.05** ოჯახის კაცები. დოკ. ფილმი. **12.15** აბრეშუმი და ძონძები. ტელესერიალი. **14.05** მხატვრული ფილმის ისტორია. დოკ. ფილმი. **15.30** კულისებიდან დანახული თეატრი. დოკ. ფილმი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ოჯახის კაცები. დოკ. ფილმი. **20.25** გეროლშტეინის წარჩინებული ქალბატონი. ოპერა. **23.00** გადაცემა: პირადი საუბრები. **02.45** დაკარი. ახალი ამბების მიმოხილვა.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** მხ. ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" (გ) **11.30** ქართ. ტელეფილმი "ალილო" **12.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **12.20** ანიმაციური ფილმები **13.00** "სარჩევი" **14.00** დოკ. ფილმი "მეტი ვიდრე გუშინ" **15.00** "მთავარი" -აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ანიმაც. ფილმი "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **16.00** "სახარება მათესი" - კითხულობს გ. ხარაბაძე **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **16.00** "სახარება მარკოზისა" - კითხულობს გ. ხარაბაძე **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** ბერლინის საახალწლო გალა-კონცერტი **22.00** გ. ყანჩელი **23.15** გადაცემა რელიგიაზე **23.45** "ბეთლემის ვარსკვლავი" (ს. ვახტანგოვი) **24.00** "შობა" (ტრანსლაცია)

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ანთიმოზ ივერიელი"

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "სასტუმრო ჟორჟ მე-5" **21.20** სპექტაკლი "სოფლის აშიკი" **22.10** კინოსეანსი "მყუდრო სავანე"

### იმედი

**08.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **08.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **09.20** "დუბლიორი" **10.00** სერიალი "მოჯადოება" **11.15** მხ. ფილმი "მეფე პოლარული დათვი" **13.15** მხ. ფილმი "ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას" **15.00, 16.00, 17.45, 18.00, 19.00, 22.00, 23.15, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **17.00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "პარმა"-"იუვენტუსი" **18.50, 02.25** იმედის მელოდიები **19.35** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.30** ქართ. ფილმი "შერეკილები" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო"-"რომა" **00.20** კონცერტი "სამი ტენორი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "შობა კონექტიკუტში" **10.50** დოკ. ფილმი **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "ზღვარი" **12.15** მხ. ფილმი "ჩვენ ანგელოზები როდი ვართ" **13.55** მუსიკა **14.45** კომედია "ჰავანის ღამეები" **16.10** მულტფილმი **17.45** თრილერი "პირდაპირი ეთერი ბაღდადიდან" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" (ზ.გორგილაძე) **21.00** მხ. ფილმი "ვეპაში და გოგონა" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "მათეს სახარება"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ზეგავლენის ქვეშ" (გ) **14.00** ტუნ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუნ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "დაცვა შეშლილისაგან" (გ) **00.30** ტუნ-ემ

**18.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) მე-2ს. **19.30** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ფობია" (15)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.40** Новости. **09.20** Худ. фильм **"УЗКИЙ МОСТ". 3**-я серия. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфира". Анна Шилова. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Худ. фильм **"ДНИ АНГЕЛА". 3**-я с, закл. **17.00** "Пять вечеров". Четверг. Новогодний выпуск. **18.20** Сериал **"КЛОН". 19.20** "Поле чудес". Праздничный выпуск. **21.00** Время. **21.30** Худ. фильм **"УЗКИЙ МОСТ". 4**-я серия, закл. **22.40** Алексей Булдаков в комедии **"ОПЕРАЦИЯ "С НОВЫМ ГОДОМ!" 00.50** Пьер Ришар в комедии **"Я РОБКИЙ, НО ЛЕЧУСЬ" 02.30** Вуди Харрельсон в комедии **"КАК ЭТО ДЕЛАЮТ КОВБОИ" 04.20** Остросюжетный сериал **"МОНСТРЫ"**. Закл. серия.

### НТВ

**06.45** Мультфильм "Самый маленький гном". **06.55** Худ. фильм **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ЭЛЕКТРОНИКА". 2**-я с. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **08.20** Мультфильм "Маугли". **08.40** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 09.05** Энциклопедия тайн. Пересекая горизонты. **10.25** Кулинарный поединок. **11.20** Линдсей Вагнер в фильме **"ТОЛЬКО РАЗ В ЖИЗНИ" 13.25** "Женский взгляд от всей души". Новогодний выпуск. **15.05** Мультфильм "Ну, погоди!". **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.25** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ". 18.05** Премьера. "Игры разума". **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.30** Любовь Полищук в фильме **"УБИТЬ КАРПА" 21.35** Людмила Гурченко в комедии **"СТАРЫЕ КЛЯЧИ" 00.15** Концерт группы "Секрет". **01.35** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.20** Орнелла Мути в фильме **"ВО ВСЕМ ВИНОВАТ РАЙ" 04.15** Коллекция Национального географического общества. "Совы". **05.15** Сериал **"ОДИССЕЯ-5"**

## სკანვორდი



1. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ფეხსაცმელი; 2. გამომცემლობის ხელმძღვანელი; 3. მსხვილი ფეოდალის ან მონარქის პირადი მსახური შუა საუკუნეების ევროპაში; 4. არქტიკის ამერიკელი მკვლევარი; 5. ცნობილი ფრანგი მეავეჯე; 6. სოფელი ხელვაჩაურის რაიონში; 7. სპორტული მოტორიანი ნავი; 8. ახალზელანდიელი მორბენალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 9. სოფელი ცხინვალის მახლობლად; 10. კოსმოსური წარმოშობის ციური სხეული; 11. კოსტიუმირებული გასართობი საღამო; 12. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 13. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 14. ჭია ან მწერი განვითარების ერთ-ერთ პირველ სტადიაში; 15. პოლიციის მოხელე სოფელში ძველად; 16. მსხვილტანიანი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 17. ხორვატიის ფულადი ერთეული; 18. მზის წლიური მოძრაობის გზა; 19. ამერიკის ბინადარი, ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი; 21. ბალეტის ლატვიელი მოცეკვავე; 22. სპილენძისა და ნიკელის შენადნობი; 23. აშშ-ს პრეზიდენტი 1885-89 და 1893-97 წლებში; 24. "ინტერის" ურუგვაელი ფეხბურთელი; 25. მაღალი საზოგადოების ზნე-ჩვეულებების მიმდევარი ადამიანი; 26. ავტომატური პისტოლეტი; 23. ლათინოამერიკული ცეკვა; 28. ამერიკული სირაქლემა; 29. თანამდებობის პირი საგარეო საქმეთა უწყებაში; 30. იტალიის საავტომობილო კომპანია; 31. მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათებელი, ფილოსოფოსი და მწერალი; 32. თეატრისა და კინოს რუსი მსახიობი; 33. წყალგაუვალი ნივთიერებით გაჟღენთილი ქსოვილი; 34. სისხლის აღების წესი სარდინიასა და კორსიკაზე; 35. ცოცხალ ცხოველზე ჩატარებული ოპერაცია.

მოკლედ

### საქველმოქმედო ჩვენება ოპერაში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში 8 იანვარს ბალეტ "მაკნატუნას" საქველმოქმედო ჩვენება გაიმართება. ჩვენებაზე მშობელთა მზრუნველობას მოკლებული, ინვალიდი და დევნილი ბავშვები არიან მოწვეული.

"მაკნატუნა" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1999 წელს ცნობილმა ქორეოგრაფმა იური გრიგოროვიჩმა დადგა.

*მედიანიუსი*

### კონფლიქტის ზონაში მუზეუმ-ნაკრძალი შეიქმნება

ცხინვალის რეგიონის დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის დაფუძნებას აპირებს.

როგორც მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, მუზეუმ-ნაკრძალის შესახებ დებულება უკვე მზად არის და მას იანვრის ბოლომდე მინისტრი დაამტკიცებს. მუზეუმ-ნაკრძალში ლიახვის ხეობაში არსებული ეკლესიები, მონასტრები, ციხეები და არქეოლოგიური ძეგლები შევა.

*მედიანიუსი*

### ერმიტაჟში უნიკალური გამოფენა გაიხსნება

2005 წელს ერმიტაჟის მთავარ მოვლენად იქცევა გამოფენა, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე I-სა და 1812 წლამდე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობებს ეძღვნება. ამ გამოფენისთვის მუზეუმმა მზადება უკვე დაიწყო და იგი 2005 წლის მაისში გაიხსნება.

გასული წლის 31 დეკემბერს სახელმწიფო ერმიტაჟმა თავისი ახალი ექსპონატი - ნაპოლეონის მინიატურული პორტრეტი წარმოადგინა. მისი ავტორია ცნობილი ფრანგი მხატვარი-მინიატურისტი, აკვარელისტი და ლითოგრაფი, ნაპოლეონის კარის ოსტატი ჟან ბატისტ იზაბე.

მინიატურა 1808 წლით თარიღდება. მისი ბრინჯაოს ჩარჩოს უკანა მხარეს ამოკვეთილია მემორიალური წარწერა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ეს ნამუშევარი ამშვენებდა სათუთუნეს, რომელიც 1808 წელს ნაპოლეონ I-მა მ. მ. სპერანსკის უსახსოვრა ერფურტში.

სპერანსკის შთამომავლებმა მინიატურა ნიუ იორკში ანტიკვარიატის ერთ-ერთ მაღაზიას მიჰყიდეს. ცნობილმა მეცენატმა ევგენი სატანოვსკიმ იყიდა პორტრეტი და მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა.

## საკუთარი რომანის გმირი



ვალების გასტუმრების ეფექტურ მეთოდს "მიაგნო" კორტნი ლავმა. კურტ კობეინის ქვრივმა რომანის დაწერა გადაწყვიტა; უფრო სწორად, ეს იქნება ავტობიოგრაფიული რომანი.

"ამ სასამართლო გარჩევებმა 40 მილიონი დოლარით დამაზარალა. ფრენსისის ფული, ფაქტობრივად, მოიპარეს. მე არ დავუშვებ ამას", - აცხადებდა ჯერ კიდევ გაზაფხულზე მუსიკოსი.

კორტნი ლავის გადაწყვეტილება, დაწეროს ავტობიოგრაფიული რომანი, ალბათ, გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, ყველაფერი, რაც კობეინთან და მის ჯგუფთანაა დაკავშირებული, დიდ აჟიოტაჟს იწვევს და კარგადაც იყიდება. ავანსის სახით, კობეინის ქვრივი წიგნისთვის 540 ათას დოლარს მიიღებს. ამ ყველაფერმა კი ნამდვილად არ გაახარა კურტ კობეინის ახლობლები, რომელთაც სულაც არ უნდათ, კორტნისა და კურტის ურთიერთობის საიდუმლო ფართო საზოგადოებას გაუმჟღავნონ.

## სავარაუდო დუეტი



შესაძლოა, რომ ბრიტანული მუსიკალური ჯილდოების, "ბრიტის" გადაცემის რიგით 25-ე ცერემონიალზე ირლანდიელი მუსიკოსები - ბონო და ჯგუფ The Boomtown Rats-ის ლიდერი ბობი გელდოფი ერთად გამოვიდნენ სცენაზე. ღონისძიება თებერვალში ლონდონში გაიმართება. ცერემონიალზე გელდოფს დამსახურებისთვის უნდა გადასცენ ჯილდო; ამ დროისთვის ცნობილია U2-ს პოზიციაც - ჯგუფი ცერემონიალში მონაწილეობას აპირებს. ცერემონიალის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ მუსიკოსებს დაითანხმებენ რომელიმე სიმღერის დუეტზე. აღსანიშნავია, რომ ადრე ორივე მუსიკოსი მუშაობდა საქველმოქმედო სინგლზე პროექტში - Band Aid.

## ტომ ჰენკსი აშშ-ს ყველაზე პოპულარულ კინომსახიობად აღიარეს



2004 წლის შედეგებით ტომ ჰენკსი აშშ-ს ყველაზე პოპულარულ კინომსახიობად აღიარეს. ტრადიციული გამოკითხვის შედეგად, რომელსაც ლუის ჰარისის სამსახური აწარმოებს, მსახიობმა მეოთხედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა მელ გიბსონი, ხოლო მესამეზე ჯულია რობერტსი, რომელიც გამარჯვებულთა პირველი ათეულის ერთადერთი ქალბატონია. მას მოჰყვებიან ჯონი დეპი, ჰარისონ ფორდი, დენზელ ვაშინგტონი, ჯონ უეინი, კლინტ ისტვუდი, შონ კონერი და ჯორჯ კლუნი.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**ამირანი**
"პოლარული ექსპრესი"
დას: 20:30 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 12:00; 14:00; 16:15; 18:15 სთ.

"ცხრა იარდი 2"
დას: 22:00 სთ.
ფასი: 4-დან 9 ლარამდე

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

"ზღვისეული"
დას: 20:00 სთ.

**გალერეები**
**TMS**
თემო აბუთიძის ფოტონამუშევრების გამოფენა
გახსნა: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ღ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.